# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№275 (12646) 22 ნოემბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

»»» 5

## რანაირია რაინერი?

ერთი ძველი ბაიერნელის თავგადასავალი

# კმარა, მიიღეთ ზომები!



დავით ცაბაძის ფოტოები





## დიდი ჩხუბი ბოლნისში

რეპორტაჟი ბოლნისიდან

»»» 2

# 75 000 000

»»» 8

## ბუფონში








VS

დღეს, 23:30

ინტერი-იუვე

## საომარი მდგომარეობა სან სიროზე

მსოფლიო ფეხბურთი

»»» 6-10

# საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XII ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

21.11. ბოლნისი. თ. სტეფანია
1000 მაყურებელი

**სიონი-მგლები**

**2:2**

0:1 რეხვიაშვილი (4. ქუცურუას პასით), 1:1 ს. იაშვილი (44. პენალტით), 2:1 ჯიქია (61. ალავიძის პასით), 2:2 გ. თოდია (81)

სიონი: ბობლიაშვილი - ქემოკლიძე, სვანიძე, შავგულიძე, ხუბუა - ჯიქია (65. ჩივაძე), კოშკაძე (83. რ. გოცირიძე), დიდავა, ალავიძე - შენგელია (56. დავითაშვილი), ს. იაშვილი.

*სათადარიგოები: ქვაჩახია, ბაჯელიძე, ზ. ჭელიძე, კაკაშვილი*

მგლები: მამალაძე - ჭითანავა, აქუბარდია, ხუხია (64. გრიგოროვიჩი), რეხვიაშვილი - ქუცურუა (75. ხურციძე), გუჩუა, ჯოჯუა, ლომია - მიქაბერიძე (64. ომელიანოვი), გ. თოდუა.

*სათადარიგოები: ქალდანი, დარსანია, ჯიშკარიანი, ბაჯელიძე*

გაფრთხილება: რეხვიაშვილი (44)

გაძევება: გუჩუა (62)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

# ჩხუბი და ზავი ბოლნისში

## ჰქონდათ თუ არა თამაშის უფლება უკრაინელ ლეგიონერებს?



ავტორის ფოტო

მეორე წრის სასტარტო ტურის პირველივე მატჩი სკანდალური აღმოჩნდა. რაც გუშინ ბოლნისში მოხდა, საფეხბურთო საზოგადოების მსჯელობისა და გაკიცხვის საგანი უნდა გახდეს, დამნაშავეებიც, ერთხელ და სამუდამოდ, უმკაცრესად უნდა დაისაჯონ, თორემ იქამდეც მალე მივალთ, რაც ამ რამდენიმე დღის წინ ურუგვაიში მოხდა. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მატჩის დროს მასობრივი ჩხუბი ატყდა და იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ ჩემპიონატი შეწყვიტა. ერთსაც ვიტყვით - არბიტრ **დავით ხარიტონაშვილს** მეტი პრინციპულობა მართებდა. მართალია, მან სტუმართა კაპიტანი **ვალტერ გუჩუა** სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო გააძევა, მაგრამ მატჩის მიწურულს გაჩაღებული ცემა-ტყეპის გამო კიდევ ორი ფეხბურთელისთვის მაინც უნდა ეჩვენებინა წითელი ბარათი. თუმცა ამაზე ქვემოთ...

ბოლნისში შეხვედრა ხუთი წუთის დაგვიანებით დაიწყო. საქმე ის იყო, რომ ზუგდიდელებს ახალწვეული უკრაინელი ლეგიონერების - ნახევარმცველ **ვასილი გრიგოროვიჩისა** და თავდამსხმელ **ალექსანდრ ომელიანოვის** განაცხადში შეყვანა ენადათ. სხვათა შორის, ეს ის ომელიანოვია, გასულ სეზონში „ოლიმპში“ რომ იასპარეზა. სამატჩო განაცხადში უკრაინელი ლეგიონერები არ ფიგურირებდნენ. ბოლნისელთა მტკიცებით, გრიგოროვიჩსა და ომელიანოვს მოთამაშის ბარათი არ ჰქონდათ და მათი განაცხადში შეყვანა წესის დარღვევა იყო. ზუგდიდური კლუბის მესვეურები კი თბილისში პროფლიგის ხელმძღვანელებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. მათმა მცდელობამ შედეგი გამოიღო - პროფლიგამ „მგლებს“ განაცხადში უკრაინელთა შეყვანის უფლება მისცა.

დაპირისპირება დაძაბულ ბრძოლასა და სწრაფ ტემპში წარიმართა. კარში პირველად მასპინძლებმა დაარტყეს, მაგრამ **ალექსანდრე კოშკაძის** ნასროლი მიზანს მცირედით ასცდა. ამის საპასუხოდ შორიდან ძლიერად დაარტყა **ვლადიმერ ჯოჯუამაც**, მაგრამ ესეც ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

...და მალე გოლიც ვიხილეთ. თამაში ჯერ ხეირიანად არ იყო გახურებული, როცა მე-4 წუთზე, **გიორგი ქუცურუას** მიერ მოწოდებული კუთხურის დროს, **გიორგი რეხვიაშვილმა** მცველებს დაასწრო და სტუმრები დაწინაურდნენ. ამან მასპინძლები კი გაახელა, მაგრამ „მგლებიც“ არ მოდუნებულა და ხიფათი ორივე კართან იქმნებოდა. ჯერ იყო და, კოშკაძის დარტყმული ისევ ასცდა კარს, მერე იმავე ჯოჯუას ძლიერად დარტყმულს მეკარე **მინდია ბობლიაშვილი** გადაეფარა.

მალე „სიონმა“ მეტოქეს შტურმი მოუწყო. **გელა ხუბუას** პასის შემდეგ **დავით სვანიძის** თავური ოდნავ უზუსტო იყო. ერთი სიტყვით, ბოლნისელებმა გოლი მოამწიფეს. 42-ე წუთზე **ალავიძემ** საჯარიმოში ჩააწოდა, სტუმრებმა ბურთი კი მოიგერიეს, მაგრამ ამას მასპინძელთა პროტესტი მოჰყვა - **აქუბარდიამ** ბურთი ხელით გამოიტანაო. არბიტრმა თამაში არ გააჩერა.

ორიოდე წუთში მსგავსი რამ სტუმართა საჯარიმოშიც მოხდა. ამჯერად, რეხვიაშვილმა ითამაშა ხელით. არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. თუმც გაჩნდა აზრი, რომ პენალტი პირველ შემთხვევაში უფრო იყო, ვიდრე მეორეში...

ასე იყო თუ ისე, **სანდრო იაშვილმა** 11-მეტრიანი უნაკლოდ შეასრულა და წონასწორობა ალადგინა. გოლიდან წუთიც არ იყო გასული, რომ თამაში მცირე ხნით შეწყდა - სათამაშო ეპიზოდის გამო იაშვილმა და ჯოჯუამ ერთმანეთზე გაიწიეს. რეფერიმ მოჩხუბრები შეარიგა და ტაიმიც დასრულდა.

მეორე ნახევარი უფრო დრამატული გამოდგა, თანაც ვნებათაღელვას მასობრივი ჩხუბიც მოჰყვა. მაგრამ ეს ბოლოსთვის შემოვინახოთ. ჯერ ის ვთქვათ, რომ 47-ე წუთზე „სიონს“ გოლი არ ჩაუთვალეს - კოშკაძე მაღალ ბურთს ვერ შესწვდა, სამაგიეროდ **ირაკლი შენგელიამ** შეაშველა თავური და შეაგდო კიდეც, მაგრამ... ისე, უნდა ითქვას, რომ ხარიტონაშვილმა თამაშგარე მდგომარეობა ზუსტად დააფიქსირა.

მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ არც სტუმრები ყოფილან გულხელდაკრეფილნი. 57-ე წუთზე, კარიდან წინ გამოსულ ბობლიაშვილს **გია თოდუამ** დაასწრო და დაარტყა კიდეც, მაგრამ კუთხე მახვილი იყო და მცირედით ააცილა. ბოლნისელებმა დაწოლა გააძლიერეს და მალე მიზანსაც მიაღწიეს - ალავიძის მიერ მარცხნიდან ჩაწოდებული ბურთი **შოთა ჯიქიამ** კარგად გაისწორა და „სიონი“ ეფექტური გოლით დააწინაურა - 2:1. ამას სტუმართა პროტესტი მოჰყვა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩაწოდებამდე ალავიძეს ბურთი პირით ხაზს იქით გაექცა... ზუგდიდელთა ხმაურს მათი კაპიტნის გუჩუას გაძევება მოჰყვა.

ბოლნისელებმა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეს. „მგლების“ თავკაცმა **ბესიკ შეროზიამ** თავდაცვის საუკეთესო საშუალებად შეტევის გაძლიერება მიიჩნია და საბოლოო შედეგმა აჩვენა, რომ არ შემცდარა. მან მოედანზე შეუშვა 18 წლის ფორვარდი **ზურაბ ხურციძე**, რომელმაც ომელიანოვსა და თოდუას ჩინებული პარტნიორობა გაუწია, შესაბამისად, ზუგდიდელთა შეტევებმა მეტი სიმწვავე შეიძინა. ამას კი ანგარიშის გათანაბრება მოჰყვა - თოდუამ 35 მეტრიდან ძლიერად დასცხო და ეფექტური გოლი გაიტანა - 2:2. აქვე უნდა ითქვას, რომ ჯოჯუასთან ერთად სტუმართა გუნდში თოდუაც აშკარად გამორჩეული იყო. „სიონში“ კი იაშვილმა გაიბრწყინა. მან თითქმის ყველა საჰაერო ბრძოლა მოიგო, თუმცა თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს. კარგად გაისარჯა ჯიქიაც...

და ბოლოს, ჩხუბზეც. 90-ე წუთზე, მაშინ როცა არბიტრმა თამაშის ძირითად დროს 4 წუთი დაამატა, ჯოჯუა გვერდით ხაზთან ახლოს წააქციეს. ხარიტონაშვილმა ჯარიმა დანიშნა. ჯოჯუამ ექიმის დახმარება ითხოვა. ამასობაში, მასთან ერთ-ერთი ბოლნისელი მიიჭრა და გვერდით ხაზს იქით გადაათრია. ამას გაწევ-გამოწევა და სტუმართა ერთ-ერთი მწვრთნელის უხეში ჩარევა მოჰყვა, რაც მასშტაბურ ჩხუბში გადაიზარდა და მატჩი დაახლოებით 20 წუთით შეწყდა. მარაქაში გულშემატკივრებიც გაერივნენ, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო უმართავი გახადა. ბოლოს ისევ დაცვის სამსახურმა იმარჯვა და ვითარება ჩაწყნარდა, თამაში გაგრძელდა, მაგრამ მხოლოდ ორიოდ წუთით... მალე ხარიტონაშვილის საფინალო სასტვენმა 2:2 დააფიქსირა.

თამაში მორჩა, მაგრამ არა და არ მორჩა და ეს ცემა-ტყეპა ქართულ სტადიონებზე. რალაც უნდა ვილონოთ, რომ ამ სისაძაგლეს ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დავუსვათ, თორემ...

### მატჩის შემდეგ

**ოთარ კორღალიძე (სიონის მთავარი მწვრთნელი):** „მატჩი ცუდად დავიწყეთ და დავისაჯეთ კიდეც. მერე კი შევძელით თამაშის დალაგება, მაგრამ მეორე გოლს მაინც ვერ ავცდით... რაც შეეხება ინციდენტს, ფეხბურთელებს შორის შეკამათება ყოველთვის ხდება, მაგრამ თავადვე აგვარებენ ხოლმე საქმეს. ვერ გავიგე, რატომ ჩაერია ამაში ზუგდიდელთა მეორე მწვრთნელი? ყველაფერი ამას მოჰყვა. თავად ახსნას, თუ რატომ გააკეთა ეს... რაც შეეხებათ უკრაინელ ლეგიონერებს, დებულებაში პირდაპირ წერია - თუ მოთამაშის ბარათი არ არსებობს, მაშინ განაცხადში მისი შეყვანა არ შეიძლება. უკრაინელები კი მაინც შეიყვანეს განაცხადში. მეც მკითხეს, რა ვქნათო. ვუთხარი, დებულების მიხედვით ვიმოქმედოთ, წესი არ დავარღვიოთმეთქი. როგორც ჩანს, განაცხადში უკრაინელთა შეყვანა პროფლიგის რომელიმე ხელმძღვანელმა საკუთარ თავზე აიღო და საინტერესოა, რითი ახსნის ამას“...

**ვლადიმერ ჯოჯუა (მგლები):** „ეს უკვე მეორე შემთხვევაა, „ლოკომოტივთან“ მატჩის დროსაც მოხდა ინციდენტი და ახლაც. მსგავსი რამ ნამდვილად არ უნდა ხდებოდეს. წამაქციეს, მოედნიდან გამათრიეს და აქედან დაიწყო ყველაფერი. ამას მწვრთნელების შელაპარაკება მოჰყვა, ბოლნისელმა გულშემატკივრებმაც აგრესიულობა გამოიჩინეს და ჩხუბს ვერ ავცდით. სამწუხაროა, რაც მოხდა“...

**ბესიკ შეროზია (მგლების მთავარი მწვრთნელი):** „4 მატჩი გვქონდა წაგებული და მოსაგებად ჩამოვედით. კარგი თამაში იყო... მართალია, კაცნაკლულნი დავრჩით, მაგრამ ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ქულა მაინც მოვიპოვეთ. მსაჯობაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. მატჩის ბოლოს ინციდენტს ვერ ავცდით, რაც ძალზე სამწუხაროა... მწვრთნელები ფეხბურთელებს ვაწყნარებდით და ვინ ჩაერია ჩვენგან უხეშად, გულწრფელად გეტყვით, ნამდვილად არ ვიცი, არ დამინახავს... რაც შეეხებათ უკრაინელებს, მათ ნამდვილად ჰქონდათ ბარათები. აგერ, გასახდელში გვაქვს... ნებართვა მივიღეთ და ვათამაშეთ. ჩვენ წესი არ დაგვირღვევია“...

**სულიკო დავითაშვილი (სიონი):** „სამწუხაროდ, ჩხუბი ატყდა, მაგრამ ფეხბურთელები არაფერ შუაში ვართ (?! - რედ). მეტს ვერაფერს გეტყვით“.

**დავით ცაბაძე**
ბოლნისი-თბილისი

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 3 | 1 | 15-7 | 21 |
| 2. ზესტაფონი | 10 | 6 | 2 | 2 | 13-6 | 20 |
| 3. დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 20-10 | 19 |
| 4. ლოკომოტივი | 10 | 6 | 0 | 4 | 14-9 | 18 |
| 5. სიონი | 11 | 3 | 6 | 2 | 11-8 | 15 |
| 6. მგლები | 11 | 4 | 1 | 6 | 12-14 | 13 |
| 7. მესხეთი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-12 | 12 |
| 8. ოლიმპი | 10 | 2 | 6 | 2 | 7-7 | 12 |
| 9. გაგრა | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 11 |
| 10. ბორჯომი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-19 | 10 |
| 11. სპარტაკი | 10 | 1 | 0 | 9 | 6-20 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| ვაწაძე (დინამო) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 5 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 5 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 4 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 4 |
| ლომია (მგლები) | 3 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| ცქიტიშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 3 |

### დისკვალიფიცირებულნი

**ბორჯომი**

გივი ქარქუზაშვილი, ლაშა ვაშაკიძე, ირაკლი კიკნაძე.

**ლოკომოტივი**

ლევან ჩაგელიშვილი, გიორგი დიაკვნიშვილი, ზაზა ზამთარაძე (მთავარი მწვრთნელი) ვერ დაჯდება სათადარიგო სკამზე.

**ზესტაფონი**

ერიკ რომეო ჩასემი

22.11. თბილისი
ეროვნული. 14:00

**დინამო – გაგრა** Live

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი
ასისტენტები: ს. სპიცინი, ზ. ჯვარიძე;
მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

22.11. გორი
თ. ბურჯანაძე 14:00

**ვიტ ჯორჯია – ბორჯომი**

არბიტრი: კ. ჭაჭუა
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, გ. ყრუაშვილი;
მეოთხე მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

22.11. ბორჯომი
ჯ. ზეინკლიშვილი. 14:00

**მესხეთი – ლოკომოტივი**

არბიტრი: გ. ვადაჭკორია
ასისტენტები: ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე;
მეოთხე მსაჯი: ხ. გაგნიძე

22.11. ზესტაფონი
ცენტრალური. 14:00

**ზესტაფონი – ოლიმპი**

არბიტრი: ლ. სილაგავა
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, კ. გაბრიაძე;
მეოთხე მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ზესტაფონი

# გეგუჩაძემ დაადასტურა...

## მოლაპარაკებები დაწყებულია

**გია გეგუჩაძემ** „ლელოს“ ინფორმაცია თავად დაუდასტურა: „ზესტაფონმა“ მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზა და მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. შეგახსენებთ, რომ უკვე ოთხი წელია, **თემურ მახარაძე** იმერული კლუბის მთავარი მწვრთნელი გახლავთ. მან გადაღლილობის გამო მუშაობის გაგრძელება აღარ ისურვა და „ზესტაფონის“ პრეზიდენტ **ილია კოკაიას** შემცვლელად გია გეგუჩაძის კანდიდატურა თავად შესთავაზა.

გუშინ გავრცელდა კიდეც ჭორი, თითქოს გეგუჩაძე პოსტზე ოფიციალურად დაინიშნა. ბატონი გიას კომენტარის მოსმენა გაჭირდა, რადგან მობილური ტელეფონი თითქმის მთელი დღე გათიშული ჰქონდა... როგორც იქნა დავუკავშირდით.

*„არ მაწყობს, რომ აღნიშნულ თემაზე არასწორი ინფორმაციები გავრცელდეს. პირდაპირ გეტყვით, დიახაც, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზეს, ჩვენ შორის მოლაპარაკებები ნამდვილად მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ გუნდთან კონტრაქტი ნამდვილად არ გამიფორმებია. მოლაპარაკებები კარგად მიდის. დაველოდოთ შედეგებს. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება“*, - გვითხრა გეგუჩაძემ.

იმედია, სპეციალისტი, რომლის ხელშიც თბილისის „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გააღწია, „გაგრამ“ კი მშვენიერი ახალგაზრდები შეკრიბა, „ზესტაფონში“ წარმატებით იმუშავებს. თუკი სასწაული არ მოხდა, გია გეგუჩაძე უახლოეს დღეებში „ზესტაფონს“ ჩაიბარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი. XIV ტური

**21 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ჰერეთი-ნ/დინამო | 3:3 |
| ჩიხურა-თბილისი | 2:1 |
| დილა-გაგრა 2 | 4:0 |
| დინამო 2-ამერი | გადაიდო |

**22 ნოემბერი**

კახეთი-სიონი 2

*ვიტ ჯორჯია 2 ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 13 | 10 | 2 | 1 | 28-8 | 32 |
| 2. ამერი | 12 | 8 | 2 | 2 | 22-7 | 26 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 12 | 6 | 5 | 1 | 19-5 | 23 |
| 4. დილა | 13 | 6 | 4 | 3 | 20-10 | 22 |
| 5. დინამო 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 15-8 | 21 |
| 6. გაგრა 2 | 13 | 4 | 2 | 7 | 18-27 | 14 |
| 7. სიონი 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 16-31 | 12 |
| 8. თბილისი | 12 | 3 | 2 | 7 | 15-20 | 11 |
| 9. კახეთი | 12 | 2 | 2 | 8 | 6-22 | 8 |
| 10. ნ/დინამო | 13 | 1 | 5 | 7 | 15-24 | 8 |
| 11. ჰერეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-22 | 7 |

### დასავლეთი. XIV ტური

**21 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| მარტვილი-ხობი | 4:1 |
| ბათუმი-ბაია | 0:2 |
| ტორპედო 2008-სამტრედია | 0:1 |
| მეშახტე-ჭიათურა | 2:0 |

**22 ნოემბერი**

კოლხეთი-გურია

*ზესტაფონი 2 ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 13 | 10 | 2 | 1 | 23-4 | 32 |
| 2. სამტრედია | 13 | 9 | 1 | 3 | 25-10 | 28 |
| 3. მარტვილი | 11 | 7 | 3 | 1 | 18-8 | 24 |
| 4. კოლხეთი | 12 | 6 | 2 | 4 | 16-10 | 20 |
| 5. ჭიათურა | 13 | 6 | 1 | 6 | 21-18 | 19 |
| 6. ხობი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-18 | 18 |
| 7. ზესტაფონი 2 | 12 | 4 | 2 | 6 | 11-17 | 14 |
| 8. ტორპედო 2008 | 13 | 4 | 1 | 8 | 8-10 | 13 |
| 9. გურია | 11 | 3 | 3 | 5 | 15-21 | 12 |
| 10. ბათუმი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-24 | 9 |
| 11. მეშახტე | 13 | 1 | 1 | 11 | 9-32 | 4 |

## II ლიგა

### დასავლეთი. XII ტური

**18 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ტორპედო 2-ჭიათურა 2 | 5:2 |

**19 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ნ/ტორპედო-კოლხეთი 2 | 0:0 |
| მარგვეთი-მერცხალი | 0:1 |
| სქური-მარტვილი 2 | 1:2 |
| გურია 2-იმერეთი | C:1 |
| ადელი-ბაია 2 | 2:2 |

*სამტრედია 2 ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერცხალი | 11 | 8 | 3 | 0 | 22-7 | 27 |
| 2. მარტვილი 2 | 11 | 7 | 1 | 3 | 18-11 | 22 |
| 3. ბაია 2 | 12 | 6 | 4 | 2 | 26-13 | 22 |
| 4. სამტრედია 2 | 11 | 5 | 2 | 4 | 14-12 | 17 |
| 5. გურია 2 | 11 | 5 | 1 | 5 | 19-15 | 16 |
| 6. კოლხეთი 2 | 11 | 5 | 1 | 5 | 20-13 | 16 |
| 7. იმერეთი | 11 | 5 | 1 | 5 | 13-14 | 16 |
| 8. ტორპედო 2 | 11 | 4 | 1 | 6 | 22-25 | 13 |
| 9. ჭიათურა 2 | 11 | 4 | 0 | 7 | 16-26 | 12 |
| 10. მარგვეთი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-17 | 12 |
| 11. ადელი | 11 | 3 | 2 | 6 | 16-23 | 11 |
| 12. ნ/ტორპედო | 11 | 3 | 2 | 6 | 8-15 | 11 |
| 13. სქური | 11 | 2 | 1 | 8 | 11-24 | 7 |

## ჭაბუკთა ლიგა

### 1991-92 წწ. XII ტური

**19 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ბორჯომი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| მგლები-სიონი | 4:0 |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 4:1 |
| გაგრა-დინამო | 2:1 |
| ოლიმპი-ზესტაფონი | 1:2 |
| სპარტაკი-ნაკრები U16 | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 12 | 9 | 1 | 2 | 40-13 | 28 |
| 2. გაგრა | 12 | 9 | 0 | 3 | 43-22 | 27 |
| 3. ზესტაფონი | 12 | 8 | 0 | 4 | 35-15 | 24 |
| 4. მგლები | 12 | 7 | 2 | 3 | 30-19 | 23 |
| 5. სპარტაკი | 12 | 6 | 4 | 2 | 27-13 | 22 |
| 6. ნაკრები U16 | 12 | 6 | 1 | 5 | 36-25 | 19 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 12 | 6 | 1 | 5 | 17-13 | 19 |
| 8. ლოკომოტივი | 12 | 4 | 1 | 7 | 16-29 | 13 |
| 9. ოლიმპი | 12 | 3 | 3 | 6 | 27-30 | 12 |
| 10. ბორჯომი | 12 | 3 | 3 | 5 | 15-30 | 12 |
| 11. სიონი | 12 | 2 | 1 | 9 | 11-38 | 7 |
| 12. მესხეთი | 12 | 0 | 1 | 11 | 8-58 | 1 |

### 1993-94 წწ. XII ტური

**20 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-ბორჯომი | 3:1 |
| სიონი-მგლები | 0:2 |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 5:0 |
| ზესტაფონი-ოლიმპი | 2:1 |
| სპარტაკი-ამერი | 1:0 |

**21 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| დინამო-გაგრა | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 12 | 11 | 1 | 0 | 45-1 | 34 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 2 | 2 | 21-11 | 26 |
| 3. ამერი | 12 | 8 | 1 | 3 | 31-13 | 25 |
| 4. ზესტაფონი | 12 | 6 | 2 | 4 | 11-9 | 20 |
| 5. სპარტაკი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-18 | 20 |
| 6. ლოკომოტივი | 12 | 5 | 3 | 4 | 25-12 | 18 |
| 7. მგლები | 12 | 5 | 2 | 5 | 30-19 | 17 |
| 8. გაგრა | 12 | 3 | 4 | 5 | 14-17 | 13 |
| 9. ოლიმპი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-20 | 12 |
| 10. ბორჯომი | 12 | 2 | 4 | 6 | 8-26 | 10 |
| 11. მესხეთი | 12 | 1 | 2 | 9 | 4-48 | 5 |
| 12. სიონი | 12 | 0 | 2 | 10 | 5-30 | 2 |

### 1995-96 წწ. XII ტური

**20 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-ბორჯომი | 1:0 |
| სიონი-მგლები | 0:3 |
| ლოკომოტივი-მესხეთი | 7:0 |
| ზესტაფონი-ოლიმპი | 3:0 |
| სპარტაკი-ამერი | 1:2 |

**21 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| დინამო-გაგრა | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 12 | 10 | 0 | 2 | 37-6 | 30 |
| 2. გაგრა | 12 | 9 | 1 | 2 | 31-6 | 28 |
| 3. ზესტაფონი | 12 | 6 | 2 | 4 | 24-18 | 20 |
| 4. მგლები | 12 | 6 | 2 | 4 | 21-13 | 20 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 12 | 6 | 2 | 4 | 16-16 | 20 |
| 6. დინამო | 12 | 5 | 5 | 2 | 10-10 | 20 |
| 7. ამერი | 12 | 5 | 3 | 4 | 14-12 | 18 |
| 8. ოლიმპი | 12 | 5 | 3 | 4 | 13-13 | 18 |
| 9. ბორჯომი | 12 | 5 | 1 | 6 | 12-11 | 16 |
| 10. სიონი | 12 | 2 | 2 | 8 | 12-27 | 8 |
| 11. სპარტაკი | 12 | 0 | 3 | 9 | 4-27 | 3 |
| 12. მესხეთი | 12 | 0 | 2 | 10 | 0-35 | 2 |

პორტრეტი — თემურ მახარაძე

# მწვრთნელის ხვედრი



გასულ წელს ზესტაფონის მიერ მოგებული თასის ფინალის შემდეგ...

...ყველამ ვიცით, რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ჩატარებული მატჩებით და გატანილი გოლებით **ზურაბ იონანიძის** სარეკორდო მაჩვენებელს დიდხანს ვერავინ შესწვდება; ოქროს მედლებითა და თასის გათამაშებაში გამარჯვებით რეკორდსმენები არიან **ირაკლი ზოიძე** და **გივი დიდავა**; რეკორდსმენი მსაჯებიც გვყავს - ვის თასის ფინალი აქვს ყველაზე მეტჯერ ნამსაჯი, ვის - ჩემპიონატის მატჩები. სამწუხაროდ, მწვრთნელებს შორის ზუსტ მონაცემებზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ, რატომღაც გვგონია, რომ საქართველოს ჩემპიონატებში ყველაზე მეტჯერ გუნდი მოედანზე **თემურ მახარაძეს** გაუყვანია! ერთი მხრივ, ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს - 59 წლის სპეციალისტი საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე გამოცდილი მწვრთნელია და ასაკით მასზე უფროსი მხოლოდ და მხოლოდ „დინამოს“ გერმანელი თავკაცი **რაინერ ცობელია.**

სამწვრთნელო მუშაობის სტაჟი, გამოცდილება, კვალიფიკაცია, ფეხბურთელების შერჩევა - ყველა ამ კომპონენტში თემურ მახარაძე მართლა გამორჩეულია; ერთადერთი, ალბათ, ტიტულების ნაკლებობაა, მცირეოდენ ჩრდილს რომ აყენებს მის სამწვრთნელო კარიერას. თუმცა ამაში ყველაზე ნაკლებად დამნაშავე სწორედ... თემურ მახარაძეა, ვისაც საკუთარი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტად ხშირად და უსამართლოდ ექცეოდნენ. ჰო, მახარაძე ამ „საქმეში“ კი ნამდვილად აბსოლუტური რეკორდსმენია - კლუბების ხელმძღვანელთა მხრიდან მსგავსი უმადურობა არც ერთ სხვა ქართველ მწვრთნელს არ უგრძვნია. მწვრთნელის პროფესიასა და უმადურობაზე ახალი რა უნდა ვთქვათ: ყველგან და ყოველთვის ასე იყო, არის და ალბათ იქნება კიდეც; უბრალოდ, მახარაძის შემთხვევაში, მართლაც, ნამეტან უცნაურობასთან გვქონდა საქმე. გასავარდნად განწირულ გუნდში დაუძახებდნენ, მივიდოდა, გადაარჩენდა და... მალე კარისკენ უთითებდნენ!

რანგით დაბალ ლიგაში მუშაობასაც არ თაკილობდა - თბილისის „მერანი-91“ გახსოვთ? სწორედ მახარაძის ხელმძღვანელობით მოიპოვა ავჭალურმა გუნდმა უმაღლესი ლიგის საგზური; მერე, სადებიუტო სეზონშივე მეოთხე ადგილი დაიკავა და საქართველოს თასის ნახევარფინალშიც გავიდა, მაგრამ... მაინც წამოსვლამ მოუწია! „ლოკომოტივს“ ექვსი ტური მოგება არ ჰქონდა და საქმე ვის უნდა გამოესწორებინა? რა თქმა უნდა, თემურ მახარაძეს; ჰოდა, უფსკრულისკენ მიმავალ გუნდს მეორე სეზონში უკვე ბრინჯაოს მედლები მოაპოვებინა, მაგრამ თასზე ნახევარფინალში წაგება არ აპატიეს და კარისკენ მიუთითეს. მერე, ისევ დაუძახეს, და... ცოტა ხანში სხვა მწვრთნელით ჩაანაცვლეს! ეს ყველაფერი 90-იანი წლების მეორე ნახევარში ხდებოდა; მანამდე კი თელავის „კახეთის“ მშველელად ორჯერ მოგვევლინა და ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ სწორედ თემურ მახარაძემ გაგვაცნო ყველას 16 წლის **გიორგი დემეტრაძე**. ამ ფაქტზე ყურადღებას ტყუილუბრალოდ არ ვამახვილებთ: ჩვენში რატომღაც დამკვიდრებული იყო ისეთი მოსაზრება, რომ თემურ მახარაძე უპირატესობას ასაკოვან ფეხბურთელებს ანიჭებდა. არადა, რალა შორს მივდივართ - ახლანდელი „ზესტაფონი“ ავიღოთ, რომლის საშუალო ასაკი, ალბათ, ერთიანად ჭაბუკებით დაკომპლექტებულ „გაგრას“ თუ აღემატება.

საერთოდაც, სელექცია და ახალგაზრდა ფეხბურთელების მიმართ დამოკიდებულებაც ცალკე საუბრის თემაა: „დინამო-2“-ში მუშაობის დროსაც უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი დააწინაურა, რომლებიც მერე ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდისა და საქართველოს ნაკრების წამყვან მოთამაშეებად ჩამოყალიბდნენ. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, **თემურ ქეცბაიას** ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი რომ იყო! დიახ, დღეს უკვე წარმატებული მწვრთნელი და ახლო წარსულში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, საფეხბურთო ანბანს გლდანის სპორტინტერნატში სწორედ თემურ მახარაძესთან ეუფლებოდა. ისე, მახარაძე-მწვრთნელი ეროვნულ ჩემპიონატში 1992 წლიდან მოღვაწეობს და იქიდან მოყოლებული დღემდე არა ერთი შემთხვევა გვახსოვს, როცა მოწინააღმდეგე გუნდის თავკაცი მისი ყოფილი შეგირდი ყოფილა: **გიორგი ჩიხრაძე, ზაზა ზამთარაძე, ვარლამ კილასონია, ზურაბ ხორგუაშვილი...**

...ალბათ, დასაწყისშივე უნდა გვეთქვა, თუ რატომ მივეცით თავს უფლება, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელის კარიერა კიდევ ერთხელ გაგვეხსენებინა. ამ რამდენიმე დღის წინათ, „ლელომ“ ტურის საუკეთესო მწვრთნელად რომ დაასახელა, ჩვენს კოლეგას **მერაბ მამულაშვილს** გულახდილად უთხრა: *„მწვრთნელობა გაუთავებელი სტრესია, დავიღალე... ყველა მწვრთნელისთვის მოდის ის დრო, როდესაც უნდა დაისვენოს...“* მოკლედ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ უახლოეს პერიოდში თემურ მახარაძე აქტიურ სამწვრთნელო კარიერაში პაუზას გააკეთებს. დიახ, გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს, მართლაც, პაუზა იქნება და არა - სამწვრთნელო კარიერის დასრულება. ჯერ ერთი, ისედაც არ ვართ განებივრებული მაღალი დონის მწვრთნელებით და მეორეც: რატომღაც გვგონია, რომ მახარაძე-მწვრთნელს ფეხბურთში გარკვეული მოტივაცია კიდევ აქვს დარჩენილი; აი, ისეთი, პროვინციული „სიონი“, გუნდის არსებობის განმავლობაში პირველად რომ აიყვანა მაღალ სიმაღლეზე. ისე, 2003 წელი ბოლნისელებისთვის დაუვიწყარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ „დუბლის“ მაგივრად... „ოქროს მატჩიც“ წააგეს და თასის ფინალიც!..

...ბოლოს კი იყო (უფრო ზუსტად, არის) „ზესტაფონი“; ერთადერთი გუნდი, სადაც მახარაძე-მწვრთნელი მეოთხე სეზონია მუშაობს. კი, ორი წლის წინ აქაც აღმოჩნდა „ნაცნობ“ და „შეჩვეულ“ სიტუაციაში, მაგრამ, საბოლოოდ, ეტყობა, საღმა აზრმა და გონიერებამ გადასძალა დილეტანტიზმს და მახარაძეც მესამე სეზონი „გადაბმულად“ მოღვაწეობს „ზესტაფონში“. ბოლოს და ბოლოს, წელს ნანატრი გამარჯვებაც მოვიდა: სამწლიანი ხელმოცარვის მერე „ზესტაფონმა“ შეძლო და თასის ფინალში გაიმარჯვა. გუნდიც იმსახურებდა ამ ტიტულს, კლუბის ხელმძღვანელობაც და... მთავარი მწვრთნელიც! მწვრთნელი, ვინც მალე დასვენებას აპირებს და ვის დაბრუნებასაც, სხვებთან ერთად, ჩვენც სულმოუთქმელად დაველოდებით...

**გია ტუხაშვილი**




თემურ მახარაძის მიერ გაწვრთნილი მერანი საინტერესო გუნდი იყო

ინტერვიუ — დავით დილმელაშვილი

# რატომ ვთქვი უარი კაპიტნობაზე?



დავით დილმელაშვილი თბილისის „დინამოს" კაპიტანი აღარ არის. მან უარი საკუთარი სურვილით თქვა. ეს, ერთი შეხედვით, მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო. თავად ექსკაპიტანი ამის შესახებ ბევრს არ ლაპარაკობს. დათოს „გაგრასთან" მატჩამდე დავუკავშირდით და დღევანდელი ტურის შეხვედრაზეც ვესაუბრეთ და პირადად მასთან დაკავშირებულ საინტერესო თემებზეც.

**- დათო, ვფიქრობ, „გაგრასთან" შეხვედრა თქვენთვის პრინციპული უნდა იყოს. პირველ წრეში საკმაოდ მწარე მარცხი იწვნიეთ.**

- მართლა პრინციპული შეხვედრაა, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ჩვენი დიდი სურვილია, რომ დამაჯერებლად მოვიგოთ და ყველა დავარწმუნოთ, რომ პირველი შეხვედრა შემთხვევით წავაგეთ. თამაშის შემდეგ დღის წესრიგიდან ყველა შეკითხვა უნდა მოიხსნას.

**- „გაგრასთან" ამის გაკეთება ასე იოლი არ უნდა იყოს. საკმაოდ კერკეტი კაკალია.**

- გეთანხმები, უხერხული მეტოქეა, მაგრამ ეს მატჩი უნდა მოვიგოთ. პირადად დარწმუნებული ვარ „დინამოს" უპირატესობაში.

**- „დინამო" ბევრს ჯობია, მაგრამ წელს ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურება. რა სჭირს გუნდს, რატომ დაგჩემდათ არასტაბილურობა?**

- სიმართლე უნდა ითქვას, ეს ჩვენივე ბრალია. თავიდან ცუდად დავიწყეთ და ამას ჰქონდა მიზეზები. შეიძლება, ახალი მწვრთნელის მოსვლამ იმოქმედა... ახალი მწვრთნელი, ახალი სათამაშო ტაქტიკა... ამას ყველაფერს შეჩვევა სჭირდებოდა. სანამ გადავეწყვეთ, იქამდე დიდი დრო გავიდა. ახლა კალაპოტში ჩავჯექით და მოვუმატებთ. ამის დიდი იმედი მაქვს.

**- მოდი, პირადად შენთან დაკავშირებულ თემაზე ვილაპარაკოთ. როგორც ვიცი, დეკემბერში „დინამოსთან" კონტრაქტი გიმთავრდება. რა იქნება მერე? შენი და გუნდის გზები ხომ არ გაიყოფა?**

- კონტრაქტი იანვარში მიმთავრდება. წინასწარი შეთანხმების მიხედვით, თუ ორწლიანი შეთანხმების დასრულების შემდეგ საკომპენსაციო თანხა გადავიხადე, „დინამო" გამიშვებს. თუ არადა, კიდევ ერთი წელი დავრჩები, 2010 წლისთვის კი თავისუფალი აგენტი გავხდები.

**- გსურს დარჩენა? ან თავად გუნდმა ახალი კონტრაქტი თუ შემოგთავაზა?**

- ჯერ არ ვიცი. ეს მთლიანად გუნდის სურვილზეა დამოკიდებული. თუ ენდომებათ, რა თქმა უნდა, დავრჩები.

**- ვხვდები, შენთვის მტკივნეულ თემას შევეხები, მაგრამ გვერდს მაინც ვერ ავუქცევთ - რატომ თქვი უარი „დინამოს" კაპიტნობაზე?**

- ეს ჩემი სურვილი იყო. მეტად ხსენებულ თემაზე ლაპარაკი არ მსურს. უარი ვთქვი და მორჩა. არ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს კაპიტნობა აღარ მოგინდეს?

**- შეიძლება, მაგრამ შენს შემთხვევას წინ საინტერესო ფაქტები უსწრებდა: „ზესტაფონთან" შეცვლაზე ითამაშე, მანამდე ორი თამაში ძირითადში დაიწყე, მაგრამ ორჯერვე შეგცვალეს. გულწრფელად თქვი, ამ ნაბიჯამდე მწვრთნელის უნდობლობამ მიგიყვანა?**

- კაპიტანმაც შეიძლება ძირითადში არ დაიწყოს თამაში და შეიძლება, შეცვალონ კიდეც. თავად აღარ მსურდა კაპიტნობა.

**- კარგი, აღარ ჩაგეძიები, მაგრამ კითხვა პასუხგაუცემელი რჩება. კიდევ ერთ მტკივნეულ თემას შევეხები: თუკი ვიტჯორჯიელი დილმელაშვილის ნაკრებში აყვანას ბევრი ითხოვდა, დინამოელი დილმელაშვილი აღარ არის სალაპარაკო. რა ხდება? ნაკრებზე ოცნება წარსულს ჩააბარე?**

- მე არ ჩამიბარებია წარსულისთვის და სხვისი არ ვიცი. თავად ყველაზე უკეთ მესმის, რომ ახლა საუკეთესო ფორმაში არ ვარ. იმედი არ დამიკარგავს. ალბათ, ნაკრების ღირსად არ მთვლიან. რა გიპასუხო, ეს ჩემთვის მტკივნეული თემაა.

**- სიმართლე გითხრა, თამაშის დროს ძველებური მონდომება და ენთუზიაზმი არ გეტყობა. ესეც ნაკრებში უთამაშებლობის შედეგია?**

- ამის ბრალიც არის და კიდევ მრავალი ფაქტორის. ყველაფერს საჯაროდ არ ვიტყვი. ყოველთვის ვცდილობდი, თანაგუნდელებისთვის მაგალითი ვყოფილიყავი. არ შემიძლია ვარჯიშს თუ თამაშს უგულოდ მოვეკიდო, მაგრამ როდესაც სანაკრებო სტიმული არ გაქვს, ძნელია, შინაგანი მუხტი შეინარჩუნო. ძნელია ცხოვრება, როდესაც შენი არ სჯერათ.

**- ჩემპიონატზეც ვისაუბროთ. „დინამოს" ყველაზე სერიოზულ კონკურენტად რომელი გუნდი მიგაჩნია?**

- რა თქმა უნდა, „ზესტაფონი" და „ვიტ ჯორჯია". დღევანდელი გადასახედიდან ასე მგონია. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ „დინამო" ორივე გუნდს სჯობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ციმაკურიძის გოლმა ზარიას ვერ უშველა

ბუნდესლიგის მე-14 ტურის მატჩში **ალექსანდრე იაშვილის** „კარლსრუემ" დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლა. **ედმონდ ბეკერმა** ქართველი კვლავ მარცხენა გარემარბად გაამწესა, თუმცა შესვენების შემდეგ **ლარს შტინდლით** შეცვალა. „კარლსრუემ" 0:1 წააგო. იაშვილმა კი იაქტიურა, მაგრამ შეტევების გამწვავება ვერ შეძლო.

უკრაინის ჩემპიონატის მე-16 ტურის სამი მატჩი გაიმართა. ჩვენს ინტერესს ხარკოვის შეხვედრა იწვევდა, სადაც „მეტალისტმა" ლუგანსკის „ზარიას" უმასპინძლა. მასპინძელთა რიგებში ჩემპიონატში არ თამაშობს **ლაშა ჯაკობია**. ასე რომ, ქართული დუელი არ შედგა, მოედანზე მხოლოდ ლუგანსკელთა ნახევარმცველი **გიორგი ციმაკურიძე** ვიხილეთ. მატჩის 52-ე წუთზე გიორგიმ პენალტის ნიშნულიდან უშანსოდ დატოვა მასპინძელთა გოლკიპერი. მას 5 წუთში კიდევ ერთი საგოლე მომენტი შეექმნა, მაგრამ ველარ გამოიყენა. ციმაკურიძის გოლმა „ზარია" მარცხისგან ვერ იხსნა - 1:2. გიორგიმ სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა. „მეტალისტი" 34 ქულით მეორე ადგილზე გადავიდა, „ზარია" 21 ქულით კვლავ მერვეა.

ბელარუსში თასის საპასუხო მერვედფინალურ მატჩში ბატე-მ „მინსკთან" დაპირისპირებაში პენალტების წყალობით გაიმარჯვა. ბატე-ში **ლაშა დეკანოსიძეს** არ უთამაშია. ბატე „ვიტებსკს" დაუპირისპირდება, **გივი კვარაცხელიას** „მტზ-რიპო" „ნემანს", **რომან გოგინაშვილის** „შახტიორის" მეტოქე კი „გრანიტია".

ისრაელის რანგით მეორე ლიგაში ჰაიფას „ჰაპოელს" **ირაკლი გეფერიძის** გოლმა მოაგებინა ნაზრათის „მაკაბისთან" - 1:0. გეფერიძე რუსეთის ჭაბუკთა ნაკრების ყოფილი ლიდერია, თუმცა ებრაული წყაროები მას ქართველ ლეგიონერად მოიხსენიებენ. „ჰაპოელი" მეორე ლიგის ერთპიროვნული ლიდერია. გეფერიძე კი 6 გოლით ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუპერთასი — დინამო-ზესტაფონი

# 3 დეკემბერს, ვაკეში...

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო" და ეროვნული თასის მფლობელი „ზესტაფონი" „ვითიბი ბანკის" თასს" (იგივე სუპერთასს) 3 დეკემბერს, „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე გაითამაშებენ. ეს ისედაც დიდი ხნის წინ იყო ცნობილი... დასადგენი იყო მხოლოდ შეხვედრის დაწყების დრო. გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმადაც, თამაში 3 დეკემბერს, 14.30 საათზე დაიწყება. როგორც ცნობილია, საგანგებოდ ამ დღისთვის ახალი სუპერთასი პროფესიული ლიგისა და „ვითიბი ბანკ ჯორჯიის" შეკვეთით დაამზადა **ბიძინა ბიძინაშვილმა**. ახალი თასი წელს პირველ მფლობელს ელის. ლიგის გადაწყვეტილებით, შეხვედრის ბილეთები 2 და 3 ლარი ეღირება. რა მიზეზით დაინიშნა შეხვედრა შუადღით და არა საღამოს? ამ კითხვით პროფესიული ლიგის გენერალურ მდივან **პაატა ბურჯალიანს** მივმართეთ: *„უპირველესად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერესი გავითვალისწინეთ. გამომდინარე იქიდან, რომ 1-ლი დეკემბრიდან მის ეთერში ახალი პროგრამები გადის, შედგა გადაცემათა ახალი ბადე და ა.შ. ვალდებული ვიყავით, საეთერო დრო მათი თხოვნით შეგვერჩია".*

*სხვათა შორის, გვსურს, მაყურებელი შევაჩვიოთ, რომ ფეხბურთის რეპორტაჟები ერთსა და იმავე დროს დაიწყება. ამის გათვალისწინებით, ტელევიზიით ყველა შეხვედრა ორ საათზე დაიწყება, არადა, დებულებით, ნოემბერში სამ საათზეც შეიძლებოდა",* - ამბობს ბურჯალიანი.

სუპერთასი სამშაბათს გათამაშდება, დავუმატოთ დაწყების დრო 14 საათი და 30 წუთი. თავისთავად იბადება კითხვა, სამუშაო დღეს ასეთ დროს მატჩის გამართვა გულშემატკივართა ნაწილს ხომ არ დააბრკოლებს? რადგან ნაწილი სამსახურიდან ვერ გათავისუფლდება.

*„მესმის ასეთი შეშფოთების მიზეზი, მაგრამ არ გვსურდა პირდაპირი რეპორტაჟის დაკარგვა. ვინც სტადიონზე არ მივა, ის ტელევიზიით მაინც იხილავს შეხვედრას. 3 დეკემბერს კი, საღამოს, ვეჭვობ, თამაშზე უფრო მეტი ხალხი მოსულიყო, ვიდრე დღის 2 საათზე. საღამოს სიცივის გამო შეიკავებდნენ თავს, ჩვენი სტადიონი კი კომფორტული არაა. ასე რომ, მომსვლელი მაინც მოვა",* - დარწმუნებულია ლიგის გენერალური მდივანი.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19 — ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი

# დღეს ევროპას დანიით ვიწყებთ

## ლაუდრუპი და ექვსი ფორვარდი

დღეს კვიპროსზე 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი დაიწყება. საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს დანიასთან გამართავს, მოგვიანებით კი კვიპროსი ჩეხეთს შეხვდება. ჩვენი გუნდი ერთი კვირის განმავლობაში იტალიაში ემზადებოდა. შეგახსენებთ, რომ **ზაურ სვანაძის** გუნდმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა - ტოსკანის რეგიონული ნაკრები 2:0, ხოლო „ემპოლის" მეორე გუნდი 1:0 დაამარცხა. ჩვენი ჭაბუკები კვიპროსზე 19 ნოემბერს ჩაფრინდნენ და ლარნაკაში, „სანპოლ ოტელში" დაბინავდნენ. ჩვენი ინფორმაციით, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. ჩვენი გუნდის შემადგენლობა ნომრების მიხედვით ასეთია:

მეკარეები - **1. გიორგი მაკარიძე** (დინამო), **12. ამირან კოტრიკაძე** (გაგრა);

მცველები - **2. გიორგი სარაჯიშვილი** (ოლიმპი), **3. გიორგი გეთიაშვილი, 13. გიორგი კაჭკაჭიშვილი, 18. ლევან კაკუბავა** (ყველა დინამო), **15. დათა რიგვავა** (ანორთოსისი, კვიპროსი), **16. ილია გამრეკლიძე** (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები - **4. გიორგი სალარიძე** (რიმინი, იტალია), **5. ნიკა ჯიშკარიანი** (დინამო), **6. ირაკლი ხუციძე** (ამერი), **7. თორნიკე თარხნიშვილი, 14. თემურ შონია** (ორივე სპარტაკი), **17. ირაკლი კვეკვესკირი** (დინამო მ. რუსეთი);

თავდამსხმელები - **8. მიხეილ ხოკერაშვილი** (გაგრა), **9. ირაკლი შეყილაძე** (ემპოლი, იტალია), **10. ზაქარია ბეგლარიშვილი** (აიაქსი, ჰოლანდია), **11. ზვიად ქანთარია** (დინამო);

ახლა დანიაზეც ვთქვათ. სკანდინაველები დანიშნულების ადგილზე გუშინწინ ჩაფრინდნენ. მათი შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები - **კრისტიან ფისტი** (ვეილე), **მარტინ ჰანსენი** (ლივერპული, ინგლისი);

მცველები - **ალექსანდერ იაკსენ მიოლერი** (ორჰუსი), **იაკობ ალბრეხტსენი** (კოპენჰაგენი), **იონას იაკობსენი, აგაარდ სუნ კილერიხი** (ორივე მიდტიულანდი), **ოლივერ ლუნდი** (ოლბორგი), **ოსამა აკარაზი** (ბრონდბიუ);

ნახევარმცველები - **კრისტიან ლუნდ გინკიაერი** (ლუნგბიუ), **იესპერ ბოკე პედერსენი, მადს ვინტერ მალბეკი, ზაკარია ჰაასენი** (ყველა მიდტიულანდი);

თავდამსხმელები - **ანდერს კრისტიანსენი, ანდრეას რეტც ლაუდრუპი** (ორივე ლუნგბიუ), **დევიდ ბოისენი** (ოლბორგი), **მორტენ ნილსენი** (ჩელსი, ინგლისი), **ოლივერ ფელდბალ პეტერსენი** (ოდენსე), **საბან ოზდოკანი** (კოპენჰაგენი).

როგორც ხედავთ, დანიელებს მხოლოდ 4 ნახევარმცველი ჰყავთ, თვალშისაცემია ფორვარდთა სიმრავლე - შემადგენლობაში ერთბაშად 6 თავდამსხმელია. აქედან მარტივი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს - დანია შემტევ ფეხბურთს ითამაშებს.

საქართველო-დანიის მატჩს ფრანგები განსჯიან. არბიტრი **ტონი შაპრონი** გახლავთ. თბილისის დროით მატჩი 18:30-ზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

ფუტზალი

# გამგელებული პორტუგალიის ხახაში...

## ქართველი ფუტზალელები პირენეებზე

საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები დღეს პორტუგალიაში გაემგზავრება. 25 და 26 ნოემბერს ჩვენი გუნდი პორტუგალიის ეროვნულ გუნდს ამხანაგურად შეხვდება. ნაკრები უკვე მესამე კვირაა, თბილისში, „ქარიშხალას" სპორტკომპლექსში ვარჯიშობს. ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **ავთანდილ ასათიანს** „ლელო" მომზადებასა და მომავალ შეხვედრებზე ესაუბრა.

*„19-დან 25 თებერვლის ჩათვლით მალტაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრები გვაქვს. შევხვდებით მასპინძლებს, ბერძნებსა და ალბანელებს. გვინდა, რაც შეიძლება უკეთ მოვემზადოთ ამ მატჩისთვის. პორტუგალიაშიც ამისთვის მივემგზავრებით, თუმცა რა დაგიმალოთ და, ძალიან ცუდი დრო შევარჩიეთ სათამაშოდ - პორტუგალიამ შესარჩევი ციკლი ჩააგდო, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიდა და ჩავარდნის შემდეგ პირველივე მატჩს ჩვენთან გამართავს. წინასწარ ვხვდებით, რა მონდომებით შემოგვიტევენ, მაგრამ სწორედ ასეთ მეტოქეებთან უნდა გაიზარდოს ნაკრები. ჩვენთვის ეს შეხვედრა იმიტომაც არის რთული, რომ პირველი მატჩი თბილისის დროით ღამის პირველ საათზე იწყება, მეორე კი საღამოს ცხრაზე",* - ამბობს ასათიანი.

*„ნაკრები სამი კვირაა, თბილისში ვარჯიშობს. პირველი დღიდანვე სერიოზულად ვემზადებით, რადგან ვიცით, რა დონის გუნდებთან მოგვიწევს თამაში. ფიზმომზადებას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ, რადგან ჩვენს სახეობაში ძალიან დიდი დატვირთვებია. მიმაჩნია, რომ დღეისთვის ფიზიკური მომზადების დონით საკმაოდ მაღალ დონეზე ვართ",* - დარწმუნებულია 28 წლის მწვრთნელი.

საქართველოს ნაკრებში ოთხი ლეგიონერია. მათგან ორი აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა - **კუბლაშვილი** და **დარჩია**. რაც შეეხება კვიპროსზე მოთამაშე ფეხბურთელებს, **თოთლაძესა** და **დევდარიანს**, მათი კლუბების ხელმძღვანელები საქართველოს ფუტზალის ასოციაციას დაუკავშირდნენ, აუხსნეს, რომ ჩემპიონატში უმნიშვნელოვანესი შეხვედრები ჰქონდათ გასამართი. ქართულმა მხარემ კუნძულელთა თხოვნა გაითვალისწინა.

სამწუხაროდ, პორტუგალიაში ვერ ითამაშებს კიდევ სამი ფეხბურთელი. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **აკაკი კაკაშვილი**, რომელსაც ფეხის ტრავმა აწუხებს, ასევე ვერ იასპარეზებენ **ალთუნაშვილი** და **ქარჩავა**.

სულ პორტუგალიაში 13 ფეხბურთელი მიემგზავრება. თავად ავთანდილ ასათიანს აქტიური კარიერა დღემდე არ დაუსრულებია - ის გუნდის მოთამაშე-მწვრთნელია, მას **ბესო არველაძე** ეხმარება. ნაკრების სრული სია ასე გამოიყურება (კლასიკური ფეხბურთისგან განსხვავებით ფუტზალს მხოლოდ მცველები და თავდამსხმელები თამაშობენ):

მეკარეები: **ლევან ზაქაიძე, ლევან გაბუნია.**

მცველები: **შოთა კუბლაშვილი, დათო დარჩია, კახა მაისაია, დათო ბობოხიძე, ავთანდილ ასათიანი, ნიკა ოსეფაშვილი, ლაშა ცნობილაძე.**

თავდამსხმელები: **გიორგი სოზაშვილი, კახა ახალაძე, არჩილ ბოკერია, ირაკლი შელეგია.**

დაბოლოს, მინიფეხბურთში გამორჩეულად ძლიერები ბრაზილიელები არიან. მათ იმდენი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავთ, მთელ დუნიას არიან მოდებულები. სამხრეთამერიკელთა ნახვა ყველა ევროპული ქვეყნის ნაკრებში შეიძლება და არა მხოლოდ ევროპულში. ხომ არ ცდილობს ჩვენი ფუტზალის ხელმძღვანელობა გაკვალული გზით სიარულს და ორი-სამი ძლიერი ბრაზილიელის ნატურალიზაციას?

*„ბრაზილიელების ჩამოსაყვანად სერიოზული თანხებია საჭირო, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. ამას გვირჩევნია, ისევ ქართველი ბიჭები გავზარდოთ. ასე რომ, ნატურალიზაციის თემა გამორიცხულია",* - გვითხრა ასათიანმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეპიზოდები ჩემი კარიერიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რანაირია რაინერი და მიუნხენის ბაიერნი

## აგრესიული ბეკენბაუერი, ჯამბაზი მაიერი და მორცხვი რუმენიგე



თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი რაინერ ცობელი უბრალო ვინმე არ გეგონოთ - ჩემპიონთა თასი სამჯერ აქვს მოგებული. ესეც რომ არა, ცობელი საინტერესო ტიპია - ერთი ქვეყნიდან მეორეში დადის სამუშაოდ. როგორც თვითონ გვითხრა, უყვარს ისეთ ქვეყნებში წასვლა და მუშაობა, რომლებიც გერმანული კულტურისგან მკვეთრად განსხვავებულნი არიან.

1970-76 წლებში ცობელი გერმანიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, მიუნხენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი იყო. იმდროინდელმა „ბაიერნმა“ ზედიზედ სამჯერ (1974-76) მოიგო ჩემპიონთა თასი. ბავარიელებს მაშინ ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავდათ. ცობელი არ იყო ვარსკვლავი, მაგრამ დიდი ანსამბლის საკვანძო წევრი კი გახლდათ.

ცობელს უყვარს ძველი ამბების მოყოლა, საერთოდაც, მეგობრული და ურთიერთობებში სასიამოვნო ადამიანი ჩანს, თანამედროვე პრობლემატიკაზეც დიდი მონადინებით გაგიბამთ საინტერესო საუბარს, თუმცა ამჯერად ის 70-ანი წლების „ბაიერნზე“ სასაუბროდ მოვაცდინეთ.

მაშ ასე, რაინერ ცობელი მიუნხენის „ბაიერნის“ დიდებულ ეპოქასა და თავის ბაიერნულ თავგადასავალზე მოგვითხრობს...

დავით თავართქილაძე

- მიუნხენის „ბაიერნამდე“ სამი წელი „ჰანოვერში“ ვთამაშობდი. ვიყავი გერმანიის 19-წლამდელთა და ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელი, ამ ორივე გუნდს **უდო ლატეკი** თავკაცობდა. 1970 წლის მუნდიალზე ის **ჰელმუტ შიონის** ასისტენტი იყო და იმავე წელს მიუნხენის „ბაიერნში“ დანიშნეს მთავარ მწვრთნელად. ცხადია, ლატეკი კარგად მიცნობდა, სამი წელიწადი ვიყავი მისი ფეხბურთელი 19-წლამდელთა და ოლიმპიურ ნაკრებებში. ლატეკმა „ბაიერნში“ გადასვლა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, ეს ძალიან გამიხარდა, მაგრამ ამავე დროს, შემეშინდა კიდეც - „ჰანოვერიდან“ დიდ გუნდში უნდა გადავსულიყავი, მაშინ ჯერ კიდევ უმაღლეს სკოლაში ვსწავლობდი, დილემის წინაშე დავდექი - სწავლის გაგრძელებაც მინდოდა და ფეხბურთის თამაშიც. თუ „ბაიერნში“ გადავიდოდი, ვიცოდი, რომ სწავლას ველარ მოვახერხებდი. მოკლედ, არცთუ ადვილი იყო გადაწყვეტილების მიღება.

„ჰანოვერში“ ხელფასი 1200 მარკა მქონდა, „ბაიერნმა“ კი რვაჯერ (!) მეტი შემომთავაზა. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილება მყისვე არ მიმიღია, „ჰანოვერს“ 4000 მარკამდე რომ გაეზარდა ხელფასი, შესაძლოა, არსადაც არ გადავსულიყავი.

„ბაიერნში“ ცენტრალური ნახევარმცველი ვიყავი, ოთხი მცველის (ლიბერო, სტოპერი და ფლანგელები) წინ ვთამაშობდი. გუნდის ნამდვილი ლიდერი, რა თქმა ნუდა, **ფრანც ბეკენბაუერი** გახლდათ. მოედანზე და მოედნის მიღმა ის სხვადასხვა იყო. მოედნის მიღმა ბეკენბაუერი ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ, მინდორზე კი ის ყველას მიმართ აგრესიული იყო, რაც მას უნდოდა, ყველა ფეხბურთელს ის უნდა გაეკეთებინა. ყველა მას შეჰყურებდა და ეს გუნდისთვის კარგი იყო. მაგალითად, „ჰანოვერში“ შემტევი ნახევარმცველი ვიყავი და „ბაიერნშიც“ მსურდა, ხშირად წავსულიყავი შეტევაში, მაგრამ... ბეკენბაუერს პატივს ვცემდი და მის მითითებებს გაგებით ვეკიდებოდი. ის ნამდვილი ლიდერი იყო და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ბეკენბაუერი თანაგუნდელებისთვის ბევრი რამით იყო სამაგალითო. ცხადია, ჩვენ ფულის გამო დავრბოდით მინდორზე, მაგრამ არა მხოლოდ - გულშემატკივრების გამოც ვთამაშობდით და საამისო მაგალითს ფრანცი გვაძლევდა. თამაშის შემდეგ ავტობუსში რომ ვსხდებოდით, ბეკენბაუერი გულშემატკივრებთან მიდიოდა და ავტოგრაფებს არიგებდა. დიდი რიგი ედგა და სანამ ყველას არ დააკმაყოფილებდა, არ წამოვიდოდა, ჩვენ კი ავტობუსში ვისხედით და ხანდახან ერთ საათსაც კი ველოდით. სხვათა შორის, ასეთი ფეხბურთელი იყო **უვე ზეელერიც**, თუმცა მას „ბაიერნში“ არასდროს უთამაშია...

გარდა იმისა, რომ ძლიერი ფეხბურთელი იყო, საინტერესო ტიპიც გახლდათ **პაულ ბრაიტნერი**. თუ მასზე ვინმე ამბობს, რომ სმა უყვარდა, არ არის მართალი. ის ყოველთვის მზად იყო ბრძოლისთვის, მას ყოველთვის გამარჯვება უნდოდა. დალევა კი თამაშის შემდეგ ჩვეულებრივი რამ იყო - ყველა ბაიერნელი ერთად მივდიოდით ცოტაოდენი ლუდის თუ ღვინის დასალევად და დიდ სიგარებსაც ვეწეოდით. ამაზე არც ბრაიტნერი ამბობდა უარს, ოღონდაც, მხოლოდ მაშინ მოწევდა სიგარას, როცა თამაშს მოვიგებდით და ისიც მხოლოდ ერთ ცალს.

და თქვენ იცით, ვინ იყო **ზეპ მაიერი**? იუმორის უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული კაცი, ნამდვილი ჯამბაზი, მოედნის იქით ის მხოლოდ ოხუნჯობდა, სხვას არაფერს აკეთებდა. მიუხედავად მისი ასეთი ხასიათისა, თამაშის დროს კონცენტრაციას ყოველთვის ინარჩუნებდა. ერთხელ „ოლიმპიაშტადიონის“ მინდორზე გარეული იხვი დაფრინდა. მაიერი როგორც ბურთზე, ისე გადახტა იხვისკენ და ვერ დაიჭირა ის, მერე ისევ გადახტა მისკენ მეკარის ნახტომით. მე ჩვენი კარისკენ ზურგით ვიდექი და გამიკვირდა, რა აცინებდა გულშემატკივარს, ისიც კი ვიფიქრე, ხალხი ჩვენ ხომ არ დაგვცინის-მეთქი, მაგრამ... როცა მოვიხედე, ნამდვილი ჯამბაზის ნომერი ვიხილე...

ყველაფერი ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მაიერმა ერთ-ერთ ბანკეტზე ჩაიდინა. 1974-75 წლების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში „მაგდებურგს“ რომ შევხვდით, თამაშის წინაც და მერეც ბანკეტი გაიმართა, სადაც იყვნენ წარმომადგენლები გერმანიის ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობებიდან. ისინი ერთ მაგიდასთან გვერდიგვერდ დასხდნენ და საუბარი გააბეს. მაიერი კი მაგიდის ქვეშ შეძვრა და მათი ფეხსაცმელების თასმები ერთმანეთზე გადაასკვნა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ერთ-ერთი მათგანი რომ წამომდგა სკამიდან... მოკლედ, ძალიან სასაცილო რამ ჩაიდინა მაიერმა - გეუბნებით, ის ნამდვილი კლოუნი იყო...

ნამდვილი ვარსკვლავი გახლდათ **გერდ მიულერიც**. ცხადია, ის ნიჭიერი იყო, მაგრამ გოლის ალღო, ბომბარდირული თვისებები ვარჯიშით გამოიმუშავა. მასზე ვერ იტყოდი, ყველაფერი ღმერთისგან აქვსო, ის ძალიან ბევრს შრომობდა. ბურთის მიღება, მობრუნება და კარში დარტყმა - ამაზე სულ მუშაობდა ვარჯიშის შემდეგ. დაბალი და ჩაფსკვნილი იყო, რაც თავისებურად ეხმარებოდა კიდეც გოლების გატანაში.

„ბაიერნში“ ჩემი საუკეთესო მეგობარი კი დანიელი მცველი **ჯონი ჰანსენი** იყო. მასთან ახლაც ვმეგობრობ, ტელეფონით ხშირად ვსაუბრობთ და მისვლა-მოსვლაც გვაქვს.

...1974 წელს ჩვენი გუნდი პირველად გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში. მე-



ატლეტიკოსთან ფინალის შემდეგ

ტოქედ მადრიდის „ატლეტიკო“ გვერგო. უნდა ვაღიარო, რომ ესპანელებმა გვაჯობეს, თუმცა 90 წუთი კარი მშრალად შევინახეთ და თამაში დამატებით დროში გაგრძელდა. **ლუის არაგონესმა** საჯარიმო დარტყმით გაგვიტანა. ესპანელები უკვე ზეიმობდნენ გამარჯვებას, თამაშით გვჯობდნენ და გოლიც გაგვიტანეს, რაღა უნდა მომხდარიყო, რომ ვერ მოეგოთ? მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლეთ, რაც დაგვიფასდა კიდეც: **ჰანს-გეორგ შვარცენბეკმა** ოცდაათიოდე მეტრიდან დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა. მაშინ პენალტების სერია არ იყო და ორი დღის შემდეგ ისევ შევხვდით „ატლეტიკოს“. ძალიან დიდი მოტივაცია გვქონდა და მეტოქე ჩვენი შემჩერებელი აღარ იყო - 4:0 მოვიგეთ, გერდ მიულერმა და **ული ჰიონესმა** ორ-ორი გოლი გაიტანეს. ჩემს კარიერაში საუკეთესო მატჩი ვითამაშე, „ბაიერნშიც“ ერთ-ერთი საუკეთესო იმ შეხვედრაში სწორედ მე გახლდით. თამაშის შემდეგ პირველი ვიყავი, ვინც ჩემპიონთა თასი თავზე დავიხურე. ეს დიდი გამარჯვება დილის 8 საათამდე ვიზეიმეთ, არადა, ფინალის მეორე დღეს ბუნდესლიგაში მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ გვქონდა მატჩი. ფინალი ბრიუსელში გაიმართა, საიდანაც მიონხენგლადბახი ახლოსაა და იქ ნაბახუსევი გუნდით გავეშურეთ. ლატეკმა მხოლოდ ერთ ფეხბურთელს, ჰანსენს აუკრძალა დალევა, იმიტომ, რომ გლადბახელი **იუპ ჰაინკესი** ბუნდესლიგის ბომბარდირობისთვის იბრძოდა და მიულერს ორი გოლით ჩამორჩებოდა. ჰაინკესი იმ შეხვედრაში სწორედ ჰანსენს უნდა აეყვანა. 0:5 წავაგეთ და ჰაინკესმა ორი გოლი გაიტანა, დაეწია მიულერს, მაგრამ ვერ გადაასწრო და ორივე ბომბარდირი გახდა. რა გაეწყობოდა, ერთმა ფხიზელმა ფეხბურთელმა საქმეს ვერ უშველა...

იმავე წელს გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და „ბაიერნის“ გამარჯვებაც, ცოტა არ იყოს, დაიჩრდილა, არადა, ეს მართლაც დიდი წარმატება იყო - „ბაიერნი“ პირველი გერმანული გუნდი გამოდგა, ჩემპიონთა თასი რომ მოიგო, გერმანიის ნაკრები კი მსოფლიოს ჩემპიონი 1954 წელსაც გახდა.

მომდევნო წელსაც გავედით ჩემპიონთა თასის ფინალში და „ლიდს იუნაიტედს“ დავუპირისპირდით. „ლიდსი“ ორი ფორვარდით თამაშობდა და ამის გამო ჩვენც ორი სტოპერით ვითამაშეთ - შვარცენბეკი და მე. **ალან კლარკის** მეურვეობა დამავალეს. ის ინგლისის ნაკრების თავდამსხმელიც იყო. „ლიდსმა“ ჩვენზე უკეთესად ითამაშა, ძალიან კარგი გუნდიც იყო, მაგრამ ჩვენ დიდი კონცენტრაციისა და მკაცრი სათამაშო დისციპლინის ხარჯზე 2:0 გავიმარჯვეთ. **ფრანც როთმა** და გერდ მიულერმა კონტრშეტევებზე გაიტანეს გოლები. მაშინ ჩვენ უკვე სხვა მწვრთნელი გვყავდა - **დიტმარ კრამერი**.

მომდევნო სეზონისთვის „ბაიერნში“ მოყვარულთა გუნდი „ლიპშტადიდან“ მოვიდა ფეხბურთელი, ვინც მალე დიდი ვარსკვლავი გახდა - **კარლ-ჰაინც რუმენიგე**. ის არაჩვეულებრივი დრიბლიორი იყო და გოლის გატანაც ეხერხებო-



გიუნტერ ნეტცერთან (მარცხნივ) ერთად

და. კრამერი მას ჯერ 15-20 წუთით თუ შეიყვანდა თამაშში, მაგრამ კალე მაინც ძალიან სწრაფად იზრდებოდა. 1976 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში ის სასტარტო შემადგენლობაშიც იყო. „სენტ ეტიენს“ როთის გოლით მოვუგეთ, მე კი სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი - ფინალამდე ცოტა ხნით ადრე ტრავმა მივიღე და კონდიციები სრულად არ მქონდა აღდგენილი.

რუმენიგე საკმაოდ მორცხვი ბიჭი იყო, ის ხომ მოყვარულთა გუნდიდან მყის „ბაიერნში“ მოხვდა. მახსოვს, 80-იან წლებში ტაბლოიდ „ბილდში“ დაიწერა, რუმენიგემ ხუთი ათასი მარკა შესთავაზა **ჰანს-პეტერ ბრიგელს**, თუ ის ლაზათიანად მიბეგვავდა **ული შტილიკეს**. ამაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ რუმენიგე პატიოსანი კაცია. ასეთი რომ არ იყოს, ახლა ვერ იქნებოდა „ბაიერნის“ ერთ-ერთი ბოსი. კალეს ახლა საქველმოქმედო მატჩებზე ვხვდები ხოლმე. მას დრიბლინგიც ჰქონდა, ჩინებულ პასებსაც აკეთებდა და გოლებიც გაჰქონდა, მაგრამ გერმანიის ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელად მაინც გერდ მიულერი მიმაჩნია, მეორე ადგილზე **კლაუს ფიშერს** გავიყვანდი, მესამეზე კი **რუდი ფიოლერს** - ჩემი აზრით, ფორვარდისთვის მთავარი მაინც გოლის გატანაა და მათ ეს სხვებზე უკეთ შეეძლოთ.

70-იან წლებში გერმანიაში კიდევ ერთი ძალიან კარგი გუნდი იყო, სადაც მშვენიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ - მიონხენგლადბახის „ბორუსია“. ამ გუნდს ასეთი თიკუნიც ჰქონდა - „გლადბახელი კვიცები“, თუმცა ჩვენ უფრო ახალგაზრდული გუნდი გვყავდა. „ბაიერნში“ რომ მივედი, 21 წლის ვიყავი, ბრაიტნერი და ჰიონესი 18-18 წლის, ბეკენბაუერი და მიულერი 24 წლისანი იყვნენ, ყველაზე „ხანდაზმული“ კი 27 წლის მაიერი გახლდათ.

1976 წლის ფინალის შემდეგ „ბაიერნთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა. ხელშეკრულების გაგრძელება შემომთავაზეს, თუმცა უკვე გაცილებით ნაკლებ ხელფასზე. „ჰამბურგში“ შემეძლო გადასვლა, მაგრამ მაშინ სხვანაირი სატრანსფერო სისტემა იყო. ჩემი სატრანსფერო თანხა „ბაიერნში“ აღებული ხელფასისა და პრემიალურის დაჯამებით ითვლებოდა და კოეფიციენტზე მრავლდებოდა - 2 მილიონი მარკა დაგროვდა და ცხადი იყო, რომ „ჰამბურგი“ ამდენს ვერ გადაიხდიდა, თანაც 28 წლის ვიყავი და მაშინ ამ ასაკის ფეხბურთელი ვეტერანად ითვლებოდა. გადავწყვიტე, ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა და სწავლა გამეგრძელებინა. იურისტობა მინდოდა, დიპლომის აღებამდე ორი წელი მრჩებოდა, მაგრამ გულმა ისევ ფეხბურთისკენ გამიწია - კიოლნის სამწვრთნელო სკოლაში შევედი. „ბაიერნი“ კი 1976 წელს ჩემ გარდა არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა და მომდევნო სეზონში გუნდი ბუნდესლიგაში მე-11 ადგილზე გავიდა...



ის და ბეკენბაუერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასტონ ვილის მთავარი მწვრთნელი მარტინ ონილი

ინგლისი, პრემიერლიგა. XIV ტურის წინ

# ასტონ ვილა, დიდი ოთხეულის კონკურენტი

| დღეს | |
|---|---|
| ჩელსი-ნიუკასლი | 19:00 |
| ლივერპული-ფულჰემი | 19:00 |
| მანჩესტერ სიტი-არსენალი | 19:00 |
| მიდლსბრო-ბოლტონი | 19:00 |
| პორტსმუთი-ჰალ სიტი | 19:00 |
| სტოკ სიტი-ვესტ ბრომვ. | 19:00 |
| ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ. | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ტოტენჰემი-ბლექბერნი | 17:30 |
| სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 20:00 |
| **ზეგ** | |
| ვიგანი-ევერტონი | 24:00 |

"ასტონ ვილა" პრემიერლიგის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრას აპირებს. ერთი კვირის წინ მან "არსენალი" დაამარცხა (2:0, ლონდონში). ამჯერად, ის "მანჩესტერ იუნაიტედს" მიიღებს. გამარჯვების შემთხვევაში **მარტინ ონილის** გუნდი "ეშმაკებს" გაასწრებს და მესამე ადგილზე დასკუპდება.

აქვე გეტყვით, რომ შუა კვირაში, როდესაც ინგლისმა გერმანიას მოუგო (2:1), **ფაბიო კაპელოს** გუნდში ოთხი ბირმინგემელი ირიცხებოდა - **კერტის დევისი, გაბრიელ აგბონლაორი, გარეთ ბერი და ეშლი იანგი.**

გუნდის ყველაზე დიდი პრობლემა არასტაბილურობაა. "ასტონ ვილამ" რამდენიმე შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა, მაგრამ ამავე დროს, "მიდლსბროსა" და "ნიუკასლთან" წააგო. "ვილამ" ინგლისის პირველობა უკანასკნელად 1981 წელს მოიგო.

"მანჩესტერთან" მატჩი სერიოზული გამოცდაა. "იუნაიტედი" ბირმინგემელებისათვის ყველაზე უხერხული მეტოქეა. "ვილამ" "ეშმაკებთან" საშინაო მატჩში უკანასკნელი ქულა 2001 წელს მოიპოვა. ასეთი სტატისტიკის მიუხედავად, **სერ ალექს ფერგიუსონი** ყურადღების მოდუნებას არ აპირებს. ის ძირითადში დააბრუნებს **უეინ რუნის,** რომელმაც გასულ უქმეებზე, "სტოკ სიტისთან" მატჩი (5:0) გამოტოვა. ფერგის იმედი აქვს, რომ **რიო ფერდინანდიც** ითამაშებს, თუმცა მანჩესტერელთა ვიცე-კაპიტანს ზურგი აწუხებს და მისი ასპარეზობა საეჭვოა. ცნობისათვის, რუნისა და ფერდინანდს გერმანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში არ უთამაშიათ.

"იუნაიტედს" ქულების განიავების უფლება აღარ აქვს. მას ლიდერებისაგან რვა ქულა აშორებს, თუმცა მათზე ერთით ნაკლები მატჩი ჩაატარა. სტუმრებს **დიმიტარ ბერბატოვი** ვერ დაეხმარებათ. ის სანაკრებო თამაშისას დაშავდა და ორკვირიანი შვებულება გამოიწერა. დაშავებულია **ვესლი ბრაუნიც,** რომელსაც ორი დღის წინ კოჭის მსუბუქი ოპერაცია გაუკეთეს.

"ჩელსი" "ნიუკასლს" მასპინძლობს. ჯორდებს ნახევარმცველი **ჯოი ბარტონი** დააკლდებათ. ამ უკანასკნელმა მუხლის ტრავმა მიიღო და გაურკვეველი დროით ჩამოშორდა მინდორს. საკადრო პრობლემები აქვთ "არისტოკრატებს". ბოლო ინფორმაციით, **ფრენკ ლემპარდი** ძირითადში იქნება. მას ნეკნის ტრავმის გამო გერმანიასთან ამხანაგური მატჩი გაუცდა. განაცხადში იქნება **ჯო კოული.** ვერ ითამაშებს **დიდიე დროგბა.** ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

**პეტრ ჩეხმა** წვივის ტრავმა მოიშუშა. ამ ტრავმის გამო ფეხბურთელს "ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან" წინა ტურის შეხვედრა გაუცდა. საეჭვოა პორტუგალიური ლეგიონის ასპარეზობა. **დეკუ, ჟოზე ბოსინგვა და პაულუ ფერეირა** ბრაზილიაში იმყოფებოდნენ. პორტუგალიამ პენტაკამპეონებთან ამხანაგური მატჩი გამართა (2:6). "ჩელსის" ვარსკვლავები ალბიონზე ხუთშაბათ საღამოს დაბრუნდნენ. მათ 15 საათი იმგზავრეს. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ამ ფეხბურთელების ძირითადში დაყენება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

"ლივერპულს" **სტივ ჯერარდი** უნდა დაუბრუნდეს. მერსისაიდელთა კაპიტანმა გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში საზარდულის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. გუშინ ფეხბურთელმა სრული დატვირთვით ივარჯიშა, მაგრამ რაკი "ლივერპულს" მოკრძალებული მეტოქე ჰყავს ("ფულჰემი"), ჯერარდმა შეიძლება არ ითამაშოს. მწყობრშია **რობი კინი.** ირლანდიელ თავდამსხმელს მხარის ტრავმა აწუხებდა. ესპანელთა სანაკრებო შეკრებიდან უვნებლად დაბრუნდა **ფერნანდო ტორესი.** მადრიდელ ბომბარდირს აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ.

"არსენალი" რთულ მდგომარეობაშია. ერთი კვირის წინ "მეთოფეები" "ასტონ ვილასთან" შერცხვნენ. **თეო უოლკოტმა** ინგლისის ნაკრებში ყოფნისას მხარი ამოიგდო. მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს. ახალგაზრდა თავდამსხმელმა სამთვიანი შვებულება გამოიწერა. ლონდონურ გრანდს ლიდერებისაგან ცხრა ქულა აშორებს. მორიგი ქულების განიავება საჩემპიონო მარათონიდან ნაადრევად გამოთიშვის ტოლფასი იქნება.

**არსენ ვენგერის** საკადრო პრობლემები მარტო უოლკოტის ტრავმით არ ამოიწურება. ვერ ითამაშებს მცველი **კოლო ტურე.** მას წვივის ტრავმა აწუხებს. ხუთი ყვითელი ბარათის გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა **ფრანსესკ ფაბრეგასს. ემანუელ ადებაიორი** და **კარლოს ველა** სანაკრებო შეკრებებიდან გვიან დაბრუნდნენ. მათ დღევანდელი მატჩისათვის მოსამზადებლად დრო ფაქტობრივად არ ჰქონიათ. სამმატჩიანი სასჯელის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს **რობინ ვან პერსი,** რომელმაც შვედეთთან ამხანაგური მატჩისას (3:1) დუბლი შეასრულა.

"სიტის" კარს დანიელი **კასპერ შმაიხელი** დაიცავს. ის **ჯო ჰარტის** ადგილს დაიჭერს. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერი "ჰალ სიტისთან" ერთი კვირისწინანდელ შეხვედრაში დაშავდა და კიდევ 2-3 კვირით დაისვენებს.

მრისხანე დებიუტანტი "ჰალ სიტი" **ტონი ადამსის** "პორტსმუთს" შეეჭიდება. მასპინძლებს დაშავებული ჰყავთ **ჯერმეინ დეფო.** მისი ასპარეზობა საეჭვოა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 13 | 10 | 2 | 1 | 32-4 | 32 |
| 2. ლივერპული | 13 | 10 | 2 | 1 | 21-8 | 32 |
| 3. მანჩესტერ იუნ. | 12 | 7 | 3 | 2 | 25-10 | 24 |
| 4. არსენალი | 13 | 7 | 2 | 4 | 25-15 | 23 |
| 5. ასტონ ვილა | 13 | 7 | 2 | 4 | 22-16 | 23 |
| 6. ჰალი | 13 | 6 | 3 | 4 | 19-21 | 21 |
| 7. ევერტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 19-21 | 19 |
| 8. მიდლსბრო | 13 | 5 | 3 | 5 | 14-18 | 18 |
| 9. პორტსმუთი | 13 | 5 | 3 | 5 | 13-18 | 18 |
| 10. ფულჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 12-11 | 17 |
| 11. სანდერლენდი | 13 | 4 | 3 | 6 | 12-19 | 15 |
| 12. მანჩესტერ სიტი | 13 | 4 | 2 | 7 | 26-22 | 14 |
| 13. ბოლტონი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-15 | 14 |
| 15. ვესტ ჰემი | 13 | 4 | 2 | 7 | 16-22 | 14 |
| 15. სტოკი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-24 | 14 |
| 16. ვიგანი | 13 | 3 | 4 | 6 | 15-18 | 13 |
| 17. ნიუკასლი | 13 | 3 | 4 | 6 | 17-22 | 13 |
| 18. ბლექბერნი | 13 | 3 | 4 | 6 | 14-24 | 13 |
| 19. ტოტენჰემი | 13 | 3 | 3 | 7 | 16-20 | 12 |
| 20. ვესტ ბრომვ. | 13 | 3 | 2 | 8 | 10-24 | 11 |

ვესტ ჰემი

# ჩაქუჩები აუქციონზე

## ძოლა: მე ამისგან გავაკეთებ...

უახლოეს ხანებში "ვესტ ჰემ იუნაიტედი" გაიყიდება, გვამცნობს "დეილი მეილი". კლუბის მმართველმა კომპანია "ჰანსამ" მისთვის კუთვნილი აქტივების რესტრუქტურიზაცია დაიწყო. კომპანიის წარმომადგენელმა **ასგეირ ფრიდგერსონმა** დაადასტურა, რომ ასეთი გეგმა მართლა არსებობს, მაგრამ მფლობელ **ბიორგოლფურ გუდმუნდსონის** მიერ საკონტროლო პაკეტის გაყიდვაზე გადაწყვეტილება მიღებული ნამდვილად არ არის. *"გვჯერა, რომ არ მოგვიწევს "ვესტ ჰემის" აქციათა საკონტროლო პაკეტის გაყიდვა. დაგროვილი ვალი არსებობს და ამას არც უარვყოფთ. იმედია, მოვახერხებთ მის დაფარვას. კლუბის მიმდინარე ბიუჯეტი დიდი ხანია, დამტკიცებულია და მას შეკვეცა არ ემუქრება. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვა ვალის დაფარვის მიზნით გამორიცხულია"*, - მოჰყავს ისლანდიელი საფეხბურთო ჩინოსნის ციტატა "სქაი სპორტსს". აქვე გეტყვით, რომ კლუბს უახლოეს თვეებში 55 მილიონი გირვანქის დაფარვა მოუწევს.

"ჩაქუჩების" თავკაცი **ჯანფრანკო ძოლა** კლუბში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე ინფორმირებულია. ის პანიკაში არ ვარდება მიუხედავად იმისა, რომ მისი გუნდი მე-14 ადგილზეა და გასავარდნ ზონას სულ რაღაც ქულით უსწრებს. *"ვიცი, რომ ლონდონში სამუშაოდ გადმოსვლით ძლიერ ვრისკავდი. რაც უფრო მაღალია ადამიანის მდგომარეობა კონკრეტულ სფეროში, მით უფრო მეტი ყურადღება ექცევა მას. როცა პრესას ხელისგულზე ჰყავხარ და შენს ყოველ ნაბიჯს მიკროსკოპით აკვირდება, დაძაბულობაც თავისთავად მატულობს. შეიძლება, ასეთ დროს შეცდომა დავუშვა... მაგრამ იცით, რა? შეცდომის არ მეშინია. ფეხბურთელობის დროსაც ასე იყო. ყველაზე მეტს ყოველთვის წარუმატებლობების დროს ვსწავლობდი. ყოველი შეცდომა გულსატკენია, მაგრამ ფიქრი და ანალიზი მუდამ მეხმარებოდა შემდგომ პროგრესში. შეიძლება, ჩემი მხრივ თამამი განცხადებაა, მაგრამ მე "ვესტ ჰემიდან" კარგი გუნდის გაკეთებას ვაპირებ. აი, რაზე ვფიქრობ ყველაზე მეტად"*.



არსენალი

# გალასი კაპიტანი აღარ იქნება?

## ინგლისელი ფრანგს ურჩევს

დღეს "მანჩესტერ სიტისთან" გასვლითი შეხვედრის შემდეგ **არსენ ვენგერი ვილიამ გალასს** გუნდის კაპიტნობას ჩამოართმევს. ფრანგმა ცენტრალურმა მცველმა საკუთარ თავს უფლება მისცა, საჯაროდ ელაპარაკა კლუბის შიდა სამზარეულოზე. მასმედიელთა ვარაუდით, ახალი კაპიტანი **ფრანსესკ ფაბრეგასი** გახდება.

ინგლისის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **გრემ ტეილორი** გუშინ BBC-ის რადიოს ეთერში სტუმრად იყო. მან არ დაიზარა და არსენ ვენგერს რჩევა მისცა: *"მგონი, არ იქნება სწორი, თუკი გალასი "არსენალის" კაპიტნად ამის შემდეგაც დარჩება. არც ის იქნება სწორი, თუკი ვენგერი ახალ კანდიდატს სწრაფად დაასახელებს. აუცილებელია განსხვავებული ტიპის კაპიტნის არჩევა. ფრანგი სპეციალისტი თავის შეგირდებს ყოველ ჩვენგანზე უკეთ იცნობს, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამონახავს იდეალურ კანდიდატს. ვენგერის კალიბრის პროფესიონალმა კარგად იცის, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ნამდვილ ლიდერს"*.

გალასის განცხადებას, რომელმაც ამდენი ხმაური გამოიწვია, აქვე გთავაზობთ: *"ჩვენს გუნდში ისეთი რაღაცები ხდება, რაც, წესით, არ უნდა ხდებოდეს. არანორმალურია სიტუაცია, როდესაც ჩემთან მოდის ერთი თანაგუნდელი, რათა მეორეს უჩივლოს. მე მივდივარ ხსენებულ მეორესთან და ვეუბნები, რომ მისი საქციელით გუნდში ვიღაც უკმაყოფილოა. საპასუხოდ კი, იცით, რას ვიღებ? შეურაცხყოფას. შეიძლება ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ ასე გაგრძელება მართლა აღარ შეიძლება. რა თქმა უნდა, არ დავასახელებ არც ერთი ფეხბურთელის გვარს, მაგრამ არც ის მინდა, რომ პასუხისმგებლობა მთლიანად საკუთარ თავზე ავიღო. გეტყვით ერთს, რომ ეს ფეხბურთელი ჩემზე 6 წლით უმცროსია. პირველი უსიამოვნება ფეხბურთელებს შორის "ტოტენჰემთან" შეხვედრისას მოხდა. მათ მაშინვე მკაცრად მივუთითე, რომ ერთმანეთში პრობლემები მინდორს მიღმა გაერჩიათ.*

*დღეს შექმნილ მდგომარეობაში საჭიროა ერთად დგომა. სხვა გუნდები ჩვენ წინააღმდეგ ბინძურად იბრძვიან, მაგრამ ამასაც უნდა გავუძლოთ. დიდი ხანია, არაფერი მოგვიგია. წელს კი ყველაფერი უნდა გავაკეთოთ რომელიმე ტიტულის მოსაგებად. "ჩელსისგან" მთელი ცხრა ქულა გვაშორებს, მაგრამ ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ საჩემპიონო ბრძოლა ჯერ დამთავრებული არ არის"*.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

### საგანგებო მდგომარეობა სიტიში

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "მანჩესტერ სიტის" სპეციალური ნებართვა მისცა, რათა ჯერ კიდევ სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე მეკარე დაიმატოს. მოგეხსენებათ, "ქალაქელთა" ძირითადმა კარის დარაჯმა **ჯო ჰარტმა** ტრავმა მიიღო. ის 2-დან 3 კვირამდე გამოტოვებს და არა თვე-ნახევარს, როგორც ამას ადრე ვიუწყებოდით. ამას გარდა, სერიოზულად გახლავთ დამტვრეული გუნდის მესამე მეკარე **რიჩარდ მარტინიც.** გუნდს ერთადერთი ჯანმრთელი მეკარე დარჩა, ვისთანაც პროფესიული ხელშეკრულება აკავშირებს. ლაპარაკია **კასპარ შმაიხელზე.** პრემიერლიგის მატჩებში დანიელი გოლკიპერის დუბლიორი ჯერჯერობით 18 წლის **ტობიას იოჰანსენი** იქნება, ვინც აქამდე მხოლოდ დუბლების განაცხადში იყო. ამიერიდან მანჩესტერელებს შეეძლებათ დროებითი კონტრაქტი გაუფორმონ სასურველ კანდიდატს. "სიტის" ბოსებმა ყურადღება უკვე მიაპყრეს გამოცდილ **მაგნუს ჰედმანს.** ვეტერანმა შვედმა კარიერა 2007 წლის ივნისში დაასრულა. ბოლოს ის "ჩელსიში" ირიცხებოდა, თუმცა თამაშით არც ერთხელ უთამაშია.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, მომავალი წლისთვის ინგლისელები "იუვენტუსიდან" **ჯანლუიჯი ბუფონის** გადაბირებას აპირებენ, რისთვისაც ფულს არ დაზოგავენ.

### ლიონს ბოდმე გამოაკლდა

"ლიონის" ნახევარმცველმა **მატიო ბოდმემ** ტრავმა რომ მიიღო, ამაზე უკვე ვწერდით. გუშინწინ მას სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა, რომლის შემდეგაც ექიმებმა დაასკვნეს, რომ ფეხბურთელი გუნდს 2.5 თვე-ნახევრით გამოაკლდება. არადა, თითქოს ასეთი საგანგაშო არაფერი იყო. მატიოს ოპერაცია საზარდულზე უახლოეს დღეებში ელის. საყრდენ ნახევარმცველს წელს პრემიერდივიზიონში სულ 8 შეხვედრა აქვს გამართული. ტრავმა მას სეზონის დასაწყისშიც აწუხებდა.

### ბორდო და ბლანი

"ბორდოს" ხელმძღვანელებმა გუნდის თავკაც **ლორან ბლანთან** კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვიტეს. გუნდი, ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის პარალელურად, ახერხებს და ევროთასებზე გამსვლელ ზონაში ტრიალებს. 14 ტურის შემდეგ ჟირონდელები 24 ქულით მე-6 ადგილზე არიან, მეორეადგილოსან "მარსელს" კი სულ 2 ქულით ჩამორჩებიან. ხელშეკრულება დამატებით ორი წლით გაგრძელდება.

### პარქსი ლაიტერტის ნაცვლად

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ **ხუანდე რამოსის** მიერ "მამლებში" მიყვანილი მეკარეთა მწვრთნელი **ჰანს ლაიტერტი ჰარი რედნაპმა** გუნდიდან გაუშვა. მისი შემცვლელი გუნდმა უმალ გამონახა. ლაპარაკია რედნაპის ყოფილ შეგირდ **ტონი პარქსზე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტურის წინ



ჩრდილოეთის დერბის მთავარი გმირები: კლაუდიო პისარო (ვერდერი) და მლადენ პეტრიჩი (ჰამბურგი)

# მთავარია ჩრდილოური დერბი

## ჰამბურგი ცუდ ფორმაშია, ვერდერი ბრუნდება!

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| კარლსრუე-ბორუსია (დ) | 0:1 |
| **დღეს** | |
| ბოხუმი-ჰერტა | 18:30 |
| აინტრახტი-ჰანოვერი | 18:30 |
| ბაიერნი-კოტბუსი | 18:30 |
| კიოლნი-ჰოფენჰაიმი | 18:30 |
| არმინია-ლევერკუზენი | 18:30 |
| ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 18:30 |
| შალკე-ბორუსია (მ) | 18:30 |
| **ხვალ** | |
| ჰამბურგი-ვერდერი | 20:00 |

მე-13 ტურის შემდეგ, „კოტბუსი“ და ბილეფელდის „არმინია“ ყველაზე გაჭირვებულები არიან. ეს გუნდები 9-9 ქულით ბოლო და ბოლოსწინა ადგილებს იყოფენ და მათ საქმეს სასიკეთო პირი ჯერჯერობით ნამდვილად არ უჩანს. პირველ რიგში იმის გამო, რომ ბოლოადგილოსანი „კოტბუსის“ მეტოქე დღეს მიუნხენის „ბაიერნია“ (თანაც მატჩი „ალიანს არენაზე“ იმართება), „არმინიის“ მოწინაალმდეგე კი ლიდერი „ლევერკუზენი“ („ფარმაცევტებს“ მარჯვენა მცველი **გონსალო კასტრო** ჰყავთ დისკვალიფიცირებული) გახლავთ (ბილეფელდში). „არმინიამ“ მიმდინარე სეზონში საკუთარ მოედანზეც და საერთოდაც, მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო (კიოლნთან 2:0). „კოტბუსმა“ კი ორი მატჩის მოგება მოახერხა და მათ შორის, ერთი გასვლაზე „ჰერტასთან“ - 1:0. თუმცა „ენერგის“ (რა გასაკვირია და) მიუნხენში 1 ქულაც კი არასდროს მოუპოვებია. თანაც, „კოტბუსს“ „ბაიერნთან“ გასვლით მატჩებში ბურთების ასეთი შეფარდება აქვს: 2:18. შესაბამისად, ეს ციფრები ალბათ ყველაფერზე მეტყველებს და ძალიან ცოტას თუ წარმოუდგენია ის, რომ „კოტბუსმა“ მიუნხენში თუნდაც ქულის მოპოვება შეძლოს - „ბაიერნისთვის“ საკუთარ მოედანზე „ენერგისთან“ წაფორხილება, სხვა თუ არაფერი, დიდი სირცხვილია.

ესეც არ იყოს, „ბაიერნს“ ან „ბაიერს“ ქულების დაკარგვის უფლება ნამდვილად არ აქვთ, რადგან მეორე ადგილზე მყოფი „ჰოფენჰაიმი“ სენსაციურ სვლას აგრძელებს. **რალფ რანგნიკის** გუნდი, რომელსაც იმდენივე ქულა აქვს, რამდენიც „ლევერკუზენს“ და ლიდერს მხოლოდ ბურთების შეფარდებით ჩამორჩება, დღეს კიოლნში, **კრისტოფ დაუმის** მოძლიერებული სამნყსოს წინააღმდეგ ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ „ჰოფენჰაიმს“ დღეს მარჯვენა მცველი **ანდრეას ბეკი** დააკლდება (დისკვალიფიკაცია). „კიოლნს“ კი იგივე მიზეზით **მიშო ბრეჩკო** აკლია. საინტერესო დეტალი: ამ შეხვედრაში ერთმანეთს ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირები, **ვედად იბიშევიჩი** (ჰოფენჰაიმი, ბოსნია) და **მილოვოიე ნოვაკოვიჩი** (კიოლნი, სლოვენია) დაუპირისპირდებიან. არადა, სამი დღის წინ მათ უკვე ითამაშეს ერთმანეთის წინააღმდეგ - ბოსნიამ სლოვენიას 4:3 მოუგო და ორივე თავდამსხმელმა დუბლი შეასრულა. ახლა თქვენ განსაჯეთ, არის თუ არა ეს იმის მიზეზი, რომ დღეს „რაინენერგიშტადიონზე“ გოლების ფესტივალი ვიხილოთ.

ბერლინის „ჰერტამ“ ბოლო დროს ძალიან მოუმატა. დედაქალაქელებმა ბოლო ორ ტურში საკმაოდ ხმაურიანი გამარჯვებები იზეიმეს: 1:0 „ჰოფენჰაიმთან“ და 2:1 „ჰამბურგთან“. შესაბამისად, **ლუსიენ ფავრის** გუნდი ახლა მეოთხე ადგილზეა, რაც ბერლინელთა მხრიდან ერთგვარ სიურპრიზად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ გუნდის დაცვის ბურჯი **იოზიპ შიმუნიჩი** სიფრთხილეს იჩენს და ამბობს: *„ცხრა წელია, „ჰერტაში“ ვთამაშობ და ამ ხნის განმავლობაში ძალიან ხშირად ვყოფილვართ კარგ ადგილებზე, მაგრამ ბოლოს გუნდი მაინც ტყდებოდა და ცხრილის შუაში მკვიდრდებოდა ხოლმე“.* დღეს ბერლინელები „ბოხუმს“ ხვდებიან და ეს მატჩი შვეიცარიელი მწვრთნელების დაპირისპირებაა - „ბოხუმს“ ხომ **მარსელ კოლერი** წვრთნის. ბოხუმელებს, რომლებსაც სავარაუდოდ ლაზარეთიდან შესტაკი დაუბრუნდებათ, ამ სეზონში ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი აქვთ მოგებული.

ფრანკფურტის „აინტრახტისა“ და „ჰანოვერის“ დაპირისპირება აბსოლუტურად იდენტური მაჩვენებლების მქონე გუნდების ჯახია: ორივეს 13 ქულა აქვს, ბურთების შეფარდება 15:23 და მხოლოდ სამი გამარჯვება. ლოგიკურად, მატჩი ფრედ უნდა დამთავრდეს - ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. სხვა მხრივ, აღსანიშნავი ის არის, რომ ჰესენელებს საშინაო მატჩებში ძალიან ცუდი ბალანსი აქვთ (1/2/3), ქვემო საქსონიელები კი გასვლით მატჩებში ვერ ბრწყინავენ (0/1/5). ფაქტია, ორივე გუნდს გაცილებით მეტი ამბიცია აქვს, ვიდრე მე-12 და მე-13 ადგილების ერთმანეთში გაყოფა.

სპორტული მდგომარეობით მხოლოდ „ჰანოვერსა“ და „აინტრახტში“ როდი არიან უკმაყოფილოები. ეს „შტუტგარტსაც“ ეხება, გუნდს, რომელიც მე-11 ადგილზეა. გერმანიის ჩემპიონობიდან წელიწადნახევრის შემდეგ შვაბები საშუალო დონემდე დაეცნენ. ამჯერად „შტუტგარტის“ მეტოქე „ვოლფსბურგია“, თანაც მატჩი „ფოლკსვაგენარენაზე“ იმართება, სადაც „მგლები“ ძალიან კარგად გამოიყურებიან: 5 მოგება, 1 ფრე, 0 მარცხი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვრცელდება სპეკულაციები, რომელთა თანახმადაც, თუ კრიზისი გაგრძელდა, **არმინ ფეეს** შვაბური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდხანს არ გააჩერებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგები ამ უკანასკნელის ბედს მეორე ბუნდესლიგურ კლუბს, „აუგსბურგს“ უკავშირებენ. ეს ფეეს მშობლიური ქალაქი და გუნდი გახლავთ.

„შალკე“ ამ ეტაპზე ჩემპიონობისთვის ბრძოლიდან გამოთიშულია: „ლევერკუზენთან“ მარცხის შემდეგ, გელზენკირხენში განგაშის ზარებს შემოჰკრეს. გუნდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, **კლემენს ტიონისის** თქმით, „ხუმარებმა“ პირველი წრის დარჩენილ 4 თამაშში მინიმუმ 10 ქულა უნდა მოიპოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბალანსი უარყოფითად შეფასდება. ფაქტია, რომ ამ განცხადებით ბოსმა გუნდის მთავარი მწვრთნელი **ფრედ რუტენი**, რომლისაც ძლიერ ეიმედებოდათ, წნეხის ქვეშ მოაქცია. ამრიგად, „შალკემ“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ აუცილებლად უნდა მოუგოს. „გლადბახში“ ყოფილი შალკელი **ბაუმიოჰანი** თამაშობს, რომელიც ამბობს, თუკი 0:0-ს დიდხანს შევინარჩუნებთ, მერე ფანები „შალკეს“ სტვენას აუტეხავენ, რაც ამ გუნდზე უარყოფითად იმოქმედებს და მერე ჩვენ ვიცითო.

ხვალ კი მხოლოდ ერთი მატჩია და მერე რა მატჩი! „ჰამბურგი“ „ვერდერის“ წინააღმდეგ, რიგით 167-ე ჩრდილოეთის დერბი. სეზონი ორივე გუნდმა სხვადასხვანაირად დაიწყო - „ჰამბურგი“ ერთი ხანობა ლიდერობდა კიდეც, „ვერდერი“ კი პირიქით, კრიზისში იყო. მაგრამ ახლა ორივე მომხვდური ცხრილის ზედა ნაწილშია და ამ ეტაპზე ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. განსხვავება მათ შორის მხოლოდ სამი ქულაა. „ვერდერმა“ ბოლო სამ მატჩში 7 ქულა აიღო და შეიძლება ითქვას, რომ კრიზისიდან გამოდის. „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელი **მარტინ იოლი** ამბობს, ჩემი ფეხბურთელები ზედმეტად ბევრ შეცდომას უშვებენ ხოლმეო. ბრემენელთა მცველი **ნალდო:** *„დერბიში გამარჯვება სწორედ ის არის, რაც დღეს „ვერდერს“ ყველაზე მეტად სჭირდება. თუ ამ თამაშს მოვიგებთ, დარწმუნებული ვარ, რომ საქმეები ძალიან კარგად წავივა და სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი!“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 13 | 9 | 1 | 3 | 31-15 | 28 |
| 2. ჰოფენჰაიმი | 13 | 9 | 1 | 3 | 34-19 | 28 |
| 3. ბაიერნი | 13 | 7 | 4 | 2 | 29-20 | 25 |
| 4. ბორუსია (დ) | 14 | 6 | 6 | 2 | 25-18 | 24 |
| 5. ჰერტა | 13 | 7 | 3 | 3 | 18-16 | 24 |
| 6. ჰამბურგი | 13 | 7 | 2 | 4 | 20-21 | 23 |
| 7. ვერდერი | 13 | 5 | 5 | 3 | 31-24 | 20 |
| 8. შალკე | 13 | 5 | 5 | 3 | 19-12 | 20 |
| 9. ვოლფსბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 28-21 | 19 |
| 10. კიოლნი | 13 | 6 | 1 | 6 | 14-17 | 19 |
| 11. შტუტგარტი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-17 | 18 |
| 12. აინტრახტი | 13 | 3 | 4 | 6 | 15-23 | 13 |
| 13. ჰანოვერი | 13 | 3 | 4 | 6 | 15-23 | 13 |
| 14. ბორუსია (მ) | 13 | 3 | 2 | 8 | 14-24 | 11 |
| 15. ბოხუმი | 13 | 1 | 7 | 5 | 15-20 | 10 |
| 16. კარლსრუე | 14 | 3 | 1 | 10 | 12-25 | 10 |
| 17. არმინია | 13 | 1 | 6 | 6 | 12-22 | 9 |
| 18. კოტბუსი | 13 | 2 | 3 | 8 | 7-20 | 9 |

ბაიერნი

# კლინსმანი დონოვანს იტოვებს!

## არენდა მინიმუმ მარტამდე, პოდოლსკის სათადარიგოთა სკამზე ახალი მეგობარი ეყოლება

ზუსტად ათი დღის წინ „ბაიერნში“ ამერიკელი **ლენდონ დონოვანი** გამოჩნდა. 26 წლის შემტევმა ნახევარმცველმა, რომელსაც თავდამსხმელის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია, რეკორდმაისტერს იმ მიზნით მიაშურა, იქნებ მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლინსმანს** თავი მოვაწონოო. ბავარიელთა დამრიგებელი, ისევე როგორც გუნდის ხელმძღვანელები, მას ამ ათი დღის განმავლობაში ძალიან გულმოდგინედ აკვირდებოდნენ. როგორც ჩანს, დონოვანმა კლინსის თავი მოაწონა, რადგან გუშინ გადაწყდა, რომ ამერიკელი „ბაიერნში“ რჩება - არენდის წესით, მინიმუმ მარტამდე.

ამრიგად, გადაწყვეტილია, რომ დონოვანი მიუნხენური კლუბის განაცხადში მინიმუმ მარტამდე იქნება, მაგრამ როგორც გაირკვა, კლინსმანს მისი დატოვება მინიმუმ სეზონის ბოლომდე სურს. სწორედ ამიტომ, ბავარიული გრანდის გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** უახლოეს მომავალში აშშ-ს საფეხბურთო ლიგა MLS-თან მოლაპარაკებებს გამართავს. *„მოლაპარაკებების მიზანი ის არის, რომ ჩვენ შევძლოთ და დონოვანი მინიმუმ სეზონის ბოლომდე ვინათხოვროთ,“* - აცხადებს კლინსმანი. დონოვანი „ბაიერნის“ სრულფასოვანი წევრი იანვრიდან გახდება.

*„აუცილებლად მჭირდება მეოთხე თავდამსხმელი. ლენდონი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და შეუძლია როგორც თავდასხმაში, ასევე ნახევარდაცვაში ასპარეზობაც და მჯერა, რომ ის გამოგვადგება. ტრანსფერის განხორციელება, უბრალოდ, აუცილებელი იყო, რადგან დღეს გუნდში მხოლოდ სამი ფორვარდი მყავს და რომელიმე მათგანმა ტრავმა რომ მიიღოს, სერიოზული პრობლემები შეგვექმნება. დონოვანის გადმობირებით კი თავს ვიზღვევთ,“* - ამბობს კლინსი, რომელსაც განაცხადში სამი ნომინალური თავდამსხმელი ჰყავს: **მიროსლავ კლოზე, ლუკა ტონი** და **ლუკას პოდოლსკი**. ამ უკანასკნელს სულაც არ ეპიტნავა, რომ ახალი კონკურენტი გამოუჩნდა და როგორც იცით, ხშირია საუბრები იმის შესახებ, რომ პოლდი ზამთარში მიუნხენს დატოვებს (მას „კიოლნსა“ და „დორტმუნდში“ ეპატიჟებიან). მაგრამ კლინსმანი ამბობს: *„ლუკასმა უნდა მოინდომოს და კონკურენცია დაძლიოს!“*

დონოვანი რეკორდმაისტერს 2 იანვარს შეუერთდება და გუნდს დუბაის შეკრებაზე გაჰყვება. შეკრების შემდეგ ამერიკელი (105 მატჩი აშშ-ის ეროვნულ ნაკრებში) სამშობლოში დაბრუნდება, სადაც მას წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებით დააჯილდოებენ. *„ვფიქრობ, მომწიფებული ვარ იმისთვის, რომ უმაღლეს დონეზე ვითამაშო. „ბაიერნი“ ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა!“* - აცხადებს დონოვანი, რომელსაც თავისუფლად შეეძლება, რეკორდმაისტერს ჩემპიონთა ლიგაშიც დაეხმაროს.

აქვე კიდევ ორი ინფორმაცია, რაც „ბაიერნის“ ფანებს ძლიერ გაახარებს. **ფრანკ რიბერი** ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩში ნაადრევად შეცვალეს, რადგან ტრავმა მიიღო. გაირკვა, რომ მიუნხენური კლუბის ფრანგი ლიდერი სერიოზულად არ დაშავებულა. ასე რომ, რიბერი „კოტბუსთან“ უპრობლემოდ ითამაშებს (თუ კლინსმანმა არ დაასვენა). „გლადბახთან“ 2:2-ის შემდეგ, ტრავმა აწუხებდა **ლუსიოსაც**, მაგრამ ბრაზილიელი მცველის დროულად გამოჯანმრთელდა და სრულ მზადყოფნაშია. ისე, ბავარიელთათვის „კოტბუსთან“ არც ორივე მათგანის დანაკლისი უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც პრობლემატური...



იურგენ კლინსმანმა ლენდონ დონოვანი ბაიერნში დატოვა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კლოპმა პოდოლსკი მოითხოვა!

## პოლდის დორტმუნდის სახით ახალი მთხოვნელი გამოუჩნდა, კიოლნს კი კონკურენტი

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, **ლუკას პოდოლსკისთვის** ბრძოლაში დორტმუნდის „ბორუსიაც“ ჩაერთო. ეს ცნობა გუშინ „კიოლნერ ექსპრესმა“ გაავრცელა. როგორც იცით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზამთარში პოლდი „ბაიერნს“ დატოვებს. მისი გადაბირება „კიოლნს“ უნდა, მაგრამ როგორც ირკვევა, „თხებს“ „ბორუსიის“ სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ.

როგორც ზემოთ ხსენებული გამოცემა წერს, დორტმუნდელთა მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** 23 წლის თავდამსხმელის შეძენა გადაწყვიტა. სპეკულაციების თანახმად, „ბორუსიის“ ხელმძღვანელები „ბაიერნისთვის“ შეთავაზებას ამზადებენ. რაც არ უნდა იყოს, „დორტმუნდს“ „კიოლნზე“ დიდი პერსპექტივები აქვს და წესით, ლუკასმა „თხებს“ „შავ-ყვითლები“ უნდა ამჯობინოს. თუმცა ყველასათვის ცნობილია, რასაც ნიშნავს „კიოლნი“ პოდოლსკისთვის. ფაქტი ის გახლავთ, რომ თუკი „ბაიერნი“ ლუკასის შესახებ რომელიმე კლუბთან მოლაპარაკებებს დაიწყებს, პირველ რიგში, ამის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს „კიოლნის“ ხელმძღვანელებს.

გვერდი მოამზადა

**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XIII ტურის წინ

# დიდი ვნებათაღელვა იტალიური დერბის გამო

| დღეს | |
|---|---|
| ფიორენტინა-უდინეზე | 21:00 |
| ინტერი-იუვენტუსი | 23:30 |
| **ხვალ** | |
| ბოლონია-პალერმო | 18:00 |
| კიევო-სიენა | 18:00 |
| ლაციო-ჯენოა | 18:00 |
| ლეჩე-რომა | 18:00 |
| ნაპოლი-კალიარი | 18:00 |
| რეჯინა-ატალანტა | 18:00 |
| სამპდორია-კატანია | 18:00 |
| ტორინო-მილანი | 23:30 |





დიდი იტალიური დერბი, ასე ეძახიან იტალიაში „ინტერისა" და „იუვენტუსის" დაპირისპირებას. როგორ ფიქრობთ, რატომ დაერქვა ეს სახელი მაინცდამაინც ამ გუნდთა პაექრობას? - პასუხი მარტივია, სწორედ „ნერაძურის" და „ბიანკონერის" ჰყავთ აპენინებზე ყველაზე მეტი გულშემატკივარი. მხოლოდ მათ შემდეგ მოდის „მილანი", რომელსაც ამ მხრივ მესამე ადგილი მყარად უკავია. ერთი სიტყვით, შაბათს დიდი მატჩია, რომელსაც მთელი იტალია მოუთმენლად ელის. აღნიშნულ პაექრობას დამატებით ინტრიგას ისიც სძენს, რომ გუნდები სატურნირო ცხრილში ლიდერთა შორის იმყოფებიან და სკუდეტოს მოპოვების მთავარი პრეტენდენტები გახლავან. ასეთ დროს ამბობენ ხოლმე - თამაში ექვს ქულაზეაო და მართლაც ასეა, გამარჯვებული გუნდი მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს სატურნირო მდგომარეობას.

„ინტერი"-"იუვეს" დაპირისპირებაზე იტალიაში კვირის დასაწყისიდან ლაპარაკობენ. ამას ხელი **ჟოზე მოურინიომაც** შეუწყო, ვინაც კიდევ ერთხელ „გაკრა კბილი" ტურინულ გრანდს და მის დამრიგებელ კლაუდიო **რანიერის**. ალბათ გახსოვთ, პორტუგალიელმა ვანაცხადა, რომ კლაუდიო ვერასდროს დააგროვებს იმდენ ქულას, რამდენსაც თვითონ და რომ „ინტერს" „იუვენტუსის" არ ეშინია. ჟოზეს ამ გამონათქვამს ტურინელთა მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ თემას აღარ განვავრცობთ. უმჯობესია, შაბათის მატჩსა და გუნდებში არსებულ ვითარებაზე ვისაუბროთ.

„ნერაძურის" ლაზარეთში კვლავაც სამი ფეხბურთელი რჩება: **ფიგუ, რივასი** და **კივუ**. მოურინიოს მათ გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, თუმცა, დაგვეთანხმებით, დანაკლისი არც თუ სერიოზულია. იტალიურ პრესაში კი მთელი ყურადღება სულ სხვა რამეზეა გადატანილი. მიმდინარე სეზონში „ინტერი" პირველად ითამაშებს 4-4-2 სისტემით. ძნელია იმის თქმა, რა აიძულებს ჟოზეს ტაქტიკის შეცვლისკენ, მაგრამ ფაქტია, რომ აბსოლუტურად ყველა აპენინური წყარო სწორედ ამას წინასწარმეტყველებს. იტალიელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ მწვრთნელი მხოლოდ ორი ფორვარდის სათამაშო კონდიციით არის კმაყოფილი და ტაქტიკასაც ამ მიზეზით ცვლის. თავდასხმაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ხულიო კრუსი** გაირჯებიან, ნახევარდაცვის ცენტრს **ესტებან კამბიასო** და **პატრიკ ვიეირა** გაამაგრებენ, მარჯვენა ფლანგზე **ხავიერ ძანეტი** ითამაშებს, მარცხნიდან კი - **სალი მუნტარი**, დაცვის ხაზში **მაიკონს, სამუელს, ბურდისოს** და **მაქსველს** ვიხილავთ.

საინტერესოა, რამდენად გაუმართლებს 4-4-2 ჟოზე მოურინიოს. ბოლო დროს შეტევის მთელი სიმძიმე მაინც ზლატან იბრაჰიმოვიჩის მხრებზე გადადიოდა და ეტყობა, ნაკლებეფექტური გარემარბების მოხსნით პორტუგალიელმა სპეციალისტმა შუა ხაზის გამაგრება გადაწყვიტა. თუმცა, ახალ ტაქტიკას შეიძლება სხვა სარჩულიც ჰქონდეს, „იუვე" შეტევების უმეტესობას ცენტრიდან იწყებს და ამ ზონის გადაკეტვა ჟოზესთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მოურინიო ჭკვიანი კაცია, მან მილანური დერბი არასწორი ტაქტიკის გამო წააგო და მიხვდა, რომ იტალიაში სქემა მეტოქის სათამაშო სტილის მიხედვითაც უნდა შეარჩიო. „ინტერზე" საუბარი ხავიერ ძანეტის კომენტარით დავასრულოთ, რომელიც ტრადიციულად ენაწყლიანია მნიშვნელოვანი მატჩების წინ: *„წინ დიდი მატჩია, ერთმანეთს ხომ ორი უდიდესი გუნდი დაუპირისპირდება. მომავალი პაექრობისთვის ჩვეულებრივად ვემზადებით, თუმცა განწყობა, ბუნებივია, ამაღლებულია. ყველანი მოტივირებული ვართ და ვეცდებით, ტიფოზები კიდევ ერთხელ გავახაროთ. „იუვე" ბრწყინვალე ფორმაშია, მათ შვიდმატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხვეს, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს და სამი ქულის ასაღებად ვემზადებით".*

ტურინში ცდილობენ, მოურინიოს ენამწარე განცხადებებს ყურადღება არ მიაქციონ და მატჩისთვის მშვიდ გარემოში მოემზადონ. ერთადერთი, ვინც ჟოზეს განცხადებას გამოეხმაურა, **მაურო კამორანეზი** გახლავთ, რომელიც შაბათს, წესით, სასტარტო შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ. რანიერი თავდასხმაში კვლავაც **დელ პიერო-ამაურის** წყვილს დაეყრდნობა, მიუხედავად იმისა, რომ **ვინჩენცი იაკვინტა** ვარჯიშებზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლავთ. ნახევარდაცვაში ოთხი ფეხბურთელი იმოქმედებს, ზემოთ აღნიშნულ კამორანეზის **სისოკო, ტიაგო** და **ნედვედი** დაეხმარებიან - დაცვას კი **მოლინარო, კიელინი, ლეგროტალიე** და **გრიგერა** დააკომპლექტებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ტურინელები ბოლო ხანს შესანიშნავად ასპარეზობენ და შვიდმატჩიანი მოგებათა სერიაც გამოაცხვეს. „ბებერი ქალბატონის" გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ წარმატებული სვლა მილანში არ შეწყდება და გუნდი მორიგ გამარჯვებას მოიპოვებს. ასეთ შემთხვევაში, დიდია შანსი „იუვე" სულაც თავში მოექცეს სერია A-ს სატურნირო ცხრილს. არადა, ახლო წარსულში „ბიანკონერი" კრიზისში იყო და ერთი ხანობა მხოლოდ მე-14 პოზიცია ეკავა. მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ „იუვე" სკუდეტოს პრეტენდენტთა რიცხვში ასე მალე დაბრუნდებოდა. საფეხბურთო ექსპერტების აზრით, რანიერი მეტ წილ ყურადღებას საკუთარი კარის უსაფრთხოებას დაუთმობს და გუნდს კონტრშეტევებზე განაწყობს. გახსოვთ ალბათ, ამ ხერხით „იუვემ" „სანტიაგო ბერნაბეუზე" თვით „რეალს" გამოუყვანა წირვა. თავად რანიერი მატჩისწინა კომენტარში ტაქტიკა-სტრატეგიას არ ამხელს, მაგრამ სავარაუდო შემადგენლობაზე საუბრობს: *„არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი ტაქტიკით ითამაშებს გუნდი. მთავარია, ფეხბურთელებმა კარგად შეასრულონ ჩემი დავალება და მთელი 90 წუთის განმავლობაში კონცენტრირებულნი იყვნენ. „ინტერის" დამარცხება კიდევ უფრო რთული იქნება, ვიდრე „რეალის" გახლდათ, მაგრამ ჩვენ ეს ხელგვეწიფება. „იუვენტუსს" ჯერ საუკეთესო თამაში არ უჩვენებია და იმედია, „ჯუზეპე მეაცაზე" ჩვენ ძალას ბოლომდე წარმოვაჩენთ. წინა შეხვედრებთან შედარებით ტაქტიკა დიდად არ შეიცვლება, დელ პიეროსა და ამაურის დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, გამიმართლებენ კიდეც".*

როგორც ხედავთ, გუნდები მოსაგებად არიან განწყობილნი და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, შაბათს, გვიან საღამოს დიდი ფეხბურთით დავტკბეთ.

მართალია, მთელი საფეხბურთო იტალიის ყურადღება „ინტერი"-"იუვენტუსის" ჯახისკენაა მიმართული, მაგრამ ორიოდე სიტყვით სხვა პაექრობებსაც შევეხოთ. ტური ძალიან საინტერესო მატჩით იხსნება, „არტემიო ფრანკიზე" „ფიორენტინა" „უდინეზეს" უმასპინძლებს. ფრიულელები მიმდინარე სეზონს ძალიან კარგად ატარებენ, თუმცა წინა ტურში წაიფორხილეს და საკუთარ კედლებში აუტსაიდერ „რეჯინას" სამი ქულა ჩაახუტეს. ბუნებრივია, უდინელები უხასიათოდ არიან და დაკარგულის ანაზღაურებას ფლორენციაში გეგმავენ. მისია რთულად შესასრულებელია, მაგრამ **პასკუალე მარინო** მაინც იმედიანადაა განწყობილი. „გაძეტას" მტკიცებით, მძიმე გასვლითი პაექრობის მიუხედავად, მწვრთნელი სასტარტოში სამ შემტევს დააყენებს და მოსაგებად ითამაშებს. მარინო ამჯერად ალბათ **ფაბიო კვალიარელას** დაასვენებს, ძირითადში კი **ანტონიო დი ნატალეს, ფლორო ფლორესს** და **სომინე პეპეს ვიხილავთ.** რაც შეეხება „ფიორენტინას", **პრანდელის** გუნდს საქმეები მთლად კარგად ვერ მისდის, ფლორენციელები სამი ქულის მოპოვებას უსიკვდილოდ შეეცდებიან. სრულ მზადყოფნაში არიან **ადრიან მუტუ** და **ალბერტო ჯილარდინო**, მათ მხარდამხარ ითამაშებს ბრაზილიელი **სანტანაც**.

კვირის მატჩებიდან შეგვიძლია „ლაციო"-"ჯენოას" შეხვედრა გამოვყოთ. **დელიო როსის** გუნდმა წინა კვირას დერბი წააგო და მწვრთნელმა დაიქადნა, რომ გულშემატკივარს მომავალი გამარჯვებით მოუხდიდა ბოდიშს. თუმცა, უნდა აღვნიშნით, რომ „ბიანკოჩელესტეს" სარეაბილიტაციოდ ნამდვილად არ აქვს საქმე, ტიფოზებმა საყვარელი გუნდი წაგებული დერბის შემდეგ ტაშით დააჯილდოვეს. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს და ალბათ ეს ის შემთხვევაა, როცა მარცხითაც უნდა იამაყო. როსი ძირითადში კვლავ სამ ფორვარდს დააყენებს: გორან **პანდევს, ტომაზო როკის** და **მარიო სარატეს**. ძლიერი თავდასხმა ჰყავს „ჯენოასაც", შეტევაში **პალადინო - მილიტოს** წყვილი იმოქმედებს და წესით, გვარიანი პრობლემებიც უნდა შეუქმნან მასპინძელთა უკანახაზელებს. ჟურნალისტთა აზრით, გენუელები კონტრიერიშებზე ითამაშებენ და შეტევაში ზემოთ აღნიშნული ფორვარდების სისწრაფის იმედად იქნებიან.

ტური ტურინული მატჩით დასრულდება, „ტორინო" „მილანს" მიიღებს და შეეცდება, მრისხნე მეტოქეს ქულები აართვას. „როსონერი" კი მოსაგებად ემზადება, მით უმეტეს, დიდია შანსი, სამმა ქულამ **ანჩელოტის** გუნდს ლიდერობა დაუბრუნოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „იუვენტუსი" მილანში არ დამარცხდება და „ინტერს" მინიმუმ ორს, მაქსიმუმ კი სამ ქულას დააკარგვინებს. სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება **ფილიპო ინძაგი**, მას უკნიდან **კაკა** და **რონალდინიო** მიეშველებიან. შუა ხაზს **ფლამინი, ზეედორფი** და **გატუზო** გაამაგრებენ, დაცვაში კი შემდეგ ოთხეულს ვიხილავთ: **ფავალი, კალაძე, ბონერა** და **იანკულოვსკი.** ვიქრობთ, ურიგო მატჩი არც ტურინის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 12 | 8 | 3 | 1 | 19-7 | 27 |
| 2. მილანი | 12 | 8 | 2 | 2 | 17-8 | 26 |
| 3. იუვენტუსი | 12 | 7 | 3 | 2 | 17-8 | 24 |
| 4. ნაპოლი | 12 | 7 | 2 | 3 | 17-11 | 23 |
| 5. ლაციო | 12 | 7 | 1 | 4 | 21-13 | 22 |
| 6. უდინეზე | 12 | 6 | 3 | 3 | 19-10 | 21 |
| 7. კატანია | 12 | 6 | 3 | 3 | 14-11 | 21 |
| 8. ჯენოა | 12 | 6 | 2 | 4 | 19-14 | 20 |
| 9. ფიორენტინა | 12 | 6 | 2 | 4 | 14-10 | 20 |
| 10. ატალანტა | 12 | 5 | 2 | 5 | 13-12 | 17 |
| 11. პალერმო | 12 | 5 | 1 | 6 | 15-17 | 16 |
| 12. კალიარი | 12 | 4 | 1 | 7 | 12-15 | 13 |
| 13. სიენა | 12 | 3 | 4 | 5 | 9-12 | 13 |
| 14. სამპდორია | 11 | 3 | 4 | 4 | 10-15 | 13 |
| 15. ლეჩე | 12 | 2 | 6 | 4 | 12-15 | 12 |
| 16. ტორინო | 12 | 3 | 2 | 7 | 12-17 | 11 |
| 17. რომა | 11 | 3 | 2 | 6 | 11-18 | 11 |
| 18. ბოლონია | 12 | 2 | 2 | 8 | 10-21 | 8 |
| 19. რეჯინა | 12 | 2 | 2 | 8 | 9-23 | 8 |
| 20. კიევო | 12 | 1 | 3 | 8 | 6-19 | 6 |

მეგატრანსფერი?

# 75 000 000 ბუფონში

რამდენიმე დღის წინ, **ჯანლუიჯი ბუფონმა** იტალიურ პრესასთან გაისაუბრა და განაცხადა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებდა „იუვეს", თუ მის სანაცვლოდ რომელიმე გუნდი 50 მილიონ ევროს გაიღებდა. ჯიჯიმ დასძინა, რომ ეს თანხა კლუბის განვითარებას დიდად შეუწყობდა ხელს. ბუფონის ამ გამონათქვამს უმალ მოჰყვა გამოხმაურება. იტალიურმა პრესამ გუშინ სენსაციური და შოკისმომგვრელი ინფორმაცია გაავრცელა - „მანჩესტერ სიტი" მზადაა, იტალიის ნაკრების კიპერის სანაცვლოდ 75 მილიონი ევრო გადაიხადოს. ჯიჯის წლიური ანაზღაურება კი 15 მილონი ევროთი განისაზღვრება. თანხა მართლაც ასტრონომიულია, წლიური ჯამაგირი კი სარეკორდო მთელი კონტინენტის მასშტაბით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „სიტის" მესვეურებს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებიათ, ინგლისელები დუმილს ამჯობინებენ და გავრცელებულ ინფორმაციაზე ტურინელთა გამოხმაურებას ელიან.

გუშინ, „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი „იუვეს" მმართველ დირექტორს, **ჟან-კლოდ ბლანს** ესტუმრა და სიტყვა ბუფონის შესაძლო გასხვისებაზე ჩამოუგდო:

*„წინადადებით არავის მოუმართავს და შესაბამისად, სერიოზულ კომენტარს ამ საკითხზე ვერ გავაკეთებ. ჯიჯის არასდროს უთქვამს, რომ კლუბის დატოვება სურს და ბუნებრივია, მის გაშვებას არც ჩვენ ვაპირებთ. კარგად გვესმის, რომ ბუფონის სანაცვლოდ დიდძალი თანხის აღება შეიძლება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ჩვენთვის ჯიჯის გუნდისადმი ერთგულება ნებისმიერ თანხაზე ძვირფასია".*

აქვე გამცნობთ, რომ 75 მილიონი ევრო „იუვენტუსის" ახალი სტადიონის ასაშენებლად მოსაზიდი თანხის სამ მეოთხედს შეადგენს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# კალდერონი ანჩელოტის იწვევს

## იტალიელთან მოლაპარაკებები დაწყებულია

ბოლო რამდენიმე დღეა, მადრიდის „რეალში" არსებულ უმწვავეს კრიზისზე საუბარი გვიწევს. თუ ვინმე მოვლენათა განვითარებას თვალ-ყურს ვერ ადევნებდა, მოვახსენებთ, რომ **რამონ კალდერონმა ბერნდ შუსტერს** ულტიმატუმი წაუყენა, თუ „ვალიადოლიდს" არ დაამარცხებ, მთავარი მწვრთნელის გადაყენებაზე მთელი სერიოზულობით დავფიქრდებითო. რომელ მოგებაზეა ლაპარაკი, როცა სამეფო კლუბი თავად დამარცხდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა მწვრთნელი სახლში არ გაუშვა. მას მდგომარეობის გამოსასწორებლად ხუთმატჩიანი ვადა მისცეს, მაგრამ შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ ხუთი თამაშის გასვლას არ დაელოდონ და გერმანელი სპეციალისტი ნებისმიერ წამს გააგდონ. ასეა თუ ისე, ესპანურ პრესაში შუსტერის სავარაუდო შეცვლელებზე უამრავი სტატია იწერება. წინა დღეებში არაერთ სპეციალისტზე საუბრობდნენ. თითქოს, საუკეთესო შანსს **კიკე სანჩეს ფლორესი** ფლობდა, მაგრამ ახლა ისეთი ინფორმაცია ვრცელდება, რომ ახალგაზრდა ესპანელი მწვრთნელი თითქმის ყველას გადაავიწყდა...

„დიარიო მარკას" მტკიცებით, რამონ კალდერონი და მისი თანამშრომლები **კარლო ანჩელოტის** მენეჯერთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. თუ მადრიდულ გაზეთს დავუჯერებთ, ანჩელოტი კალდერონის უპირველესი სამიზნეა. თურმე სენიორ რამონს დირექტორატში მოწინააღმდეგეებიც ჰყოლია. მათი აზრით, ანჩელოტის ახლა ყველაზე კარგი დრო არ უდგას და მისი „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაყვანა სრულიად გაუმართლებელი ნაბიჯი იქნება... საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად, კალდერონმა უახლოესი გარემოცვის თანადგომით საკუთარი პოზიციის დასაბუთება და დაცვა შეძლო. „დიარიო მარკა" სრული სერიოზულობით გვატყობინებს, სამეფო კლუბი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და კარლო ანჩელოტისთან კონტრაქტის გაფორმებაზე მუშაობას ინტენსიურად დაიწყებსო. საგულისხმოა, რომ კალდერონი „მილანის" მწვრთნელით ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე იყო დაინტერესებული, მაგრამ მაშინ „როსონერიმ" მწვრთნელის გაშვება არ ისურვა და სენიორ რამონს **ფაბიო კაპელოსთან** მოუხდა კონტრაქტის გაფორმება.

ესპანელმა ჟურნალისტმა **დელფინ ვალერომ** ინფორმაციის გადამოწმებისა და მისი გამდიდრების მიზნით თავად ანჩელოტისთან გასაუბრება დაგანყვიტა, მაგრამ აპენინელმა სპეციალისტმა ამ თემაზე ლაპარაკი არ ისურვა. ჩვენი კოლეგა შემდეგ მის მენეჯერს შეეხმიანა, მაგრამ შედეგს მაინც ვერ მიაღწია, ანჩელოტის წარმომადგენელმა ჟურნალისტს მოუბოდიშა, ვერ დაგელაპარაკებით, მეუღლე საავადმყოფოში მიმყავსო. ვალერომ მას მოგვიანებით კიდევ ერთხელ გადაურეკა, მაგრამ მენეჯერმა ტელეფონი აღარ აიღო. იტალიელთა უცნაური საქციელის მიუხედავად, „დიარიო მარკა" მაინც სრული სერიოზულობით წერს, რომ ანჩელოტისთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს და თუ მხარეები ყველა დეტალს შეათანხმებენ, ბერნდ შუსტერს მალე „მილანის" თავკაცი შეცვლის.

ამასობაში, რამონ კალდერონმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, თუ ჩვენი გუნდი მომდევნო ხუთი ორთაბრძოლიდან ხუთივეს მოიგებს თითოეულ ფეხბურთელსა და მწვრთნელს პრემიის სახით 120 ათას ევროს გადავუხდითო. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ პრეზიდენტი ამ გზით მოტივაციის ამაღლებას ცდილობს.

ილია ნიკოლაიშვილი

უჩვეულო პროექტი

# ვალდესი ესპანური ოჯახების სიმშვიდისთვის გაშიშვლდა

## ესპანეთში ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა

დღე ისე არ ჩაივლის, სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში ქმრის მიერ ცოლის ცემაზე სიუჟეტი არ გავიდეს. ხშირია მკვლელობების შემთხვევებიც. ქვეყნის ხელისუფლება და არასამთავრობო ორგანიზაციები ამ სამარცხვინო ტენდენციის წინააღმდეგ უამრავ აქციასა თუ პროექტს ახორციელებენ, მაგრამ სიტუაცია არ უმჯობესდება. ეს იმდენად მწვავე სერიოზული სოციალური პრობლემაა, რომ ცნობილი ადამიანები თავს ვალდებულად თვლიან, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთონ და პრობლემის მოგვარებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ. ამჯერად, კეთილშობილური საქმის გაკეთება **ვიქტორ ვალდესმა** ითავა. უნდა აღინიშნოს, რომ „ბარსელონის" მეკარე ფრიად უჩვეულო პროექტში მონაწილეობას დათანხმდა. ვალდესი ფოტოკამერების წინაშე გაშიშვლდა. ამ აქციას ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. პროექტს დიდი ავტორიტეტის მქონე ესპანელი ფსიქოლოგები ხელმძღვანელობდნენ. მათი განმარტებით, ამ შემთხვევაში სიშიშვლე ადამიანურ საწყისს განასახიერებს. საწყისში კი ყველა თანასწორია. თანასწორობა ძალადობასა და უპირატესობის მტკიცებას, რა თქმა უნდა, საფუძველშივე გამორიცხავს. ძნელი სათქმელია, ვალდესის ფოტოსესია როგორ შედეგს გამოიღებს, მაგრამ მისი ძალისხმევა ესპანეთში დიდად დააფასეს.

ილია ნიკოლაიშვილი

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" საჩუქრად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" ან აირჩიეთ გამომცემლობა „პალიტრა L-ის" ამ სამი ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„ვეფხისტყაოსანი"

„დიდი საბავშვო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"



მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის განმავლობაში | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათინაი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი
თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XII ტურის წინ

# შუსტერის მორიგი გამოცდა

## წაფორხილება უმუშევრობის ტოლფასია

| დღეს | |
|---|---|
| რეალი-რეკრეატივო | 23:00 |
| ვილიარეალი-ვალიადოლიდი | 23:00 |
| სევილია-ვალენსია | 01:00 |
| **ხვალ** | |
| მალიორკა-მალაგა | 20:00 |
| ოსასუნა-ალმერია | 20:00 |
| ნუმანსია-ატლეტიკო | 20:00 |
| რასინგი-ესპანიოლი | 20:00 |
| სპორტინგი-ბეტისი | 20:00 |
| ბარსელონა-ხეტაფე | 22:00 |
| დეპორტივო-ბილბაო | 00:00 |

წარმოიდგინეთ, ალესილი დანის პირზე რომ გიხდებოდეთ სიარული, სწორედ ასეა **ბერნდ შუსტერის** საქმე. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, რომ გერმანელ სპეციალისტს სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ ხუთმატჩიანი ვადა მისცა. მომდევნო ხუთ ტურში „რეალმა“ თამაშის ხარისხი და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** შუსტერს მაინც და მაინც ერთი თვე დაელოდებიან. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი „რეკრეატივოსთანაც“ წაიფორხილებს შესაძლოა, ჰერ ბერნდი თანამდებობიდან დაითხოვონ. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ესპანური გრანდის თავკაცს მუდმივად დანის პირზე უწევს სიარული.

„ყოფნა, არ ყოფნა, საკითხავი აი, ეს არის“. აი, ასე შექსპირისეულად შეგვიძლია შუსტერის მდგომარეობის შეფასება. ესპანელი მიმომხილველები 100 პროცენტით არიან დარწმუნებული, რომ უელველებთან თუნდაც ორი ქულის დაკარგვის შემთხვევაში სამეფო კლუბში მწვრთნელი შეიცვლება. კალდერონი იმასაც არ მორიდება, რომ „რეალს“ მომავალ სამშაბათს საჩემპიონთალიგო შეხვედრის გამართვა უწევს. მართალია, „ბატე“ „რეალის“ კალიბრის გუნდი არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამაბულობამ სამეფო კლუბი მორიგ სენსაციურ ფიასკომდე შეიძლება მიიყვანოს.

და მაინც, უამრავი პრობლემის მიუხედავად, სასწაული უნდა მოხდეს, რომ შუსტერის ბიჭებმა „რეკრეატივოსთან“ ქულები დაკარგონ. უელველებს ღრმა კრიზისის ხანა უდგათ. ისინი ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებიან და პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან. სტუმრები „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მნიშვნელოვნად შესუსტებული შემადგენლობით იასპარეზებენ. დისკვალიფიკაციის გამო **ლუკას ალკარასს არსო** ვერ დაეხმარება. საეჭვოა **ხავი გერეროს** თამაში. „რეკრეატივოს“ წამყვან ფეხბურთელს ქუსლის მყესი აქვს დაჭიმული და ჯერჯერობით უცნობია შეძლებს, თუ არა მოედანზე გასვლას. აქვე მოგახსენებთ, რომ დისკვალიფიცირებული არსოს ნაცვლად **ხავი ფუეგო** ითამაშებს.

საკადრო პრობლემები ბერნდ შუსტერსაც შეექმნა. გუშინ გაირკვა რომ „რეკრეატივოსთან“ **ფაბიო კანავარო** ვერ ითამაშებს. იტალიელი მცველი სავარაუდოდ „ბატესთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრასაც გამოტოვებს. მას მარჯვენა ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. ფაბიომ ეს ტრავმა იტალიის ნაკრებში მიიღო. მოგეხსენებათ, სკუადრა აძურა საბერძნეთის ნაკრებს შეხვდა. შუსტერს ამ ტურში **გაბრიელ ჰაინცეც** ვერ დაეხმარება. გემახსოვრებათ, რომ არგენტინელმა მცველმა წინა თამაში წითელი ბართი მიიღო და პროფესიულმა ლიგამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. კანავაროსა და ჰაინცეს ნაცვლად სავარაუდოდ **პეპესა და მეტცელდერის** დუეტი იასპარეზებს. სამეფო კლუბის 18-კაციანი შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: კასილიასი, დუდეკი, სალგადო, სერხიო რამოსი, ტორესი, პეპე, მეტცელდერი, მარსელო, გაგო, ხავი გარსია, გუტი, ვან დერ ვაარტი, დრენტე, სნეიდერი, რაული, იგუაინი, სავიოლა, ბუენო.

„ვალიადოლიდთან“ საშინაო შეხვედრაში „ვილიარეალი“, რა თქმა უნდა, გამარჯვებაზე იფიქრებს, მართალია, **მენდილიბარის** გუნდმა წინა ტურში „რეალი“ დაამარცხა, მაგრამ „ელ მადრიგალზე“ გამარჯვების უკეთეს შანსს მაინც მასპინძლები ფლობენ. **მანუელ პელეგრინი** დაუფარავად ამბობს, რომ „ვალიადოლიდთან“ დამარცხება კატასტროფა იქნება. ასეთი რადიკალური შეფასების მიზეზი ის არის, რომ „ვილიარეალი“ ლიდერობისთვის იბრძვის და „ბარსელონის“ გამგელებული მადის გათვალისწინებით მისთვის ნებისმიერ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ყვითლებს“ უმაღლესი მოტივაცია აქვთ, თუმცა ჩილელ სპეციალისტს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. **ნიჰათის** ტრავმის შესახებ ყველას კარგად მოგეხსენებათ. გაჩნდა იმედი, რომ თურქი ფორვარდი შედარებით ადრე გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. ნიჰათი ისევ ლაზარეთში მკურნალობს. გარდა ამისა, **ხოსება ლორენტეს, გოდინი, ალტიდორე** და **ედმილსონი** არ ითამაშებენ. დაგვეთანხმებით, ეს ძალიან სერიოზული დანაკლისია. შესაძლოა, „ვალიადოლიდის“ მთავარი მწვრთნელი მენდილიბარი ოპტიმისტურად ამიტომაცაა განწყობილი: *„ვილიარეალი“ ჯერჯერობით დაუმარცხებელი გუნდია, მაგრამ ჩვენ მისი არ გვეშინია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შინ სამი ქულით დავბრუნდეთ. „რეალის“ დამარცხების შემდეგ განწყობა მნიშვნელოვნად გაგვიუმჯობესდა. თუ სამეფო კლუბს ვაჯობეთ, ახლა რატომ ვერ უნდა მოვიგოთ? მით უმეტეს, მასპინძლებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ. წინასწარ საუბარს, რა თქმა უნდა, აზრი არ აქვს. ყველაფერს თამაში გამოაჩენს. მე უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ იმედიანად ვართ განწყობილი და გვჯერა, რომ გამარჯვების უნარი შეგვწევს.“*

ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა „სანჩეს პისხუანზე“ გაიმართება. „სევილიისა“ და „ვალენსიის“ დაპირისპირება ყოველთვის დიდ აჟიოტაჟთან და ინტრიგასთანაა დაკავშირებული. ანდალუსიელებს ამ შეხვედრის წინ სერიოზული პრობლემა შეექმნათ. ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში მოგახსენებდით, რომ **მანოლო ხიმენესს** დიდი უსიამოვნება შეხვდა. მან ბარში იჩხუბა და რამდენიმე საათი პოლიციის განყოფილებაში გაატარა. „სევილიის“ გულშემატკივრები შიშობენ, რომ მთავარი მწვრთნელის ხულიგნური გამოხდომა გუნდზე ცუდად იმოქმედებს, თუმცა თავად ხიმენესი მშვიდადაა და აცხადებს, რომ კლუბში ყველაფერი რიგზეა. სევილიელთა თავკაცს პრინციპული დაპირისპირების წინ სამი ტრავმირებული ფეხბურთელი დაუბრუნდა. საუბარია, **დუშერზე, კაპელსა** და **დრაგუტინოვიჩზე**. გამორიცხული არ არის, სერბი მოთამაშე ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს. საქმე ის არის, რომ **ესკუდე** მარჯვენა ფეხს იტკიებს და კვირის განმავლობაში სრული დატვირთვით ვარჯიშს ვერ ახერხებდა. სავარაუდოა, რომ დრაგუტინოვიჩი სწორედ მის ნაცვლად იასპარეზებს. დუშერსა და კაპელს რაც შეეხებათ, მოსალოდნელია, რომ ისინი სათადარიგოთა სკამზე დასხდებიან. ხიმენესის აზრით, დღეისათვის **მარესკა** და **ადრიანო** გაცილებით უკეთეს ფორმაში არიან.

„ვალენსიას“ რაც შეეხება, სავარაუდოა, რომ „ღამურები“ „სანჩეს პისხუანზეც“ იმავე ტაქტიკით იასპარეზებენ, რომლითაც „ხეტაფეს“ დაუპირისპირდნენ. ნახევარდაცვაში, ალბათ, **მარჩენას, ბარახასა** და **მანუელ ფერნანდესის** ტრიო იასპარეზებს. ყოველ შემთხვევაში, **უნაი ემერი** ამ ბიჭებს მთელი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ამზადებდა. საგულისხმოა, რომ „ხეტაფესთან“ მარჩენას ნაცვლად **ალბელდამ** ითამაშა, მაგრამ დავიდი ახლა დისკვალიფიცირებულია და დასვენება მოუწევს. სტუმართა შემადგენლობაში ყველაზე საშიში რგოლი თავდასხმაა. ესპანელი მიმომხილველების მტკიცებით, სენიორ ემერი „სევილიას“ **მატას, ვილიასა** და **ხოაკინის** ტრიოს დაუპირისპირებს.

„ბარსელონისა“ და „ხეტაფეს“ დაპირისპირებაში ფავორიტი, რა თქმა უნდა, კატალონიური გრანდი იქნება. **პეპ გვარდიოლას** ბიჭები ზედიზედ მეათე გამარჯვების მოსაპოვებლად ემზადებიან, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს სერიოზული პრობლემა ემუქრება. **ლიონელ მესის** ბარძაყის კუნთი სტკივა და მისი თამაში საეჭვოა. ლეომ გასული ორი დღე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გაატარა. სამედიცინო შტაბს ზუსტი დასკვნის დადება უჭირს. მათი თქმით, არგენტინელი ვარსკვლავის ბედი ბოლო მომენტში გაირკვევა. როგორც ჩანს, საქმე სერიოზულადაა, რადგან „ბარსას“ ექიმები ლეოს ტრავმატოლოგიურ კინიკაში ატარებდნენ და ფიზიოთერაპიული მკურნალობის ინტენსიურ კურსს უტარებდნენ. მესის გარდა კატალონიური გრანდის სხვა ვარსკვლავები მწყობრში არიან. თუ ლეო გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს, გამორიცხული არ არის, მისი ადგილი **ბოიან კრკიჩმა** დაიკავოს.

„ატლეტიკომ“ წინა ტურში ნანატრი გამარჯვება იზეიმა და განწყობა გაიუმჯობესა. მადრიდელები ახლა „ნუმანსიის“ დასამარცხებლად ემზადებიან. **ხავიერ აგირეს** საპასუხისმგებლო მატჩის წინ **ტომას უიფალუში, მანიშე** და **სიმაო** დაუბრუნდნენ. მექსიკელი სპეციალისტი გამარჯვებაში 100 პროცენტითაა დარწმუნებული.


დღეს კანავარო არ იქნება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 11 | 9 | 1 | 1 | 36-8 | 28 |
| 2. ვილიარეალი | 11 | 7 | 4 | 0 | 21-11 | 25 |
| 3. ვალენსია | 11 | 7 | 2 | 2 | 25-12 | 23 |
| 4. რეალი | 11 | 7 | 2 | 2 | 28-17 | 23 |
| 5. სევილია | 11 | 7 | 2 | 2 | 18-8 | 23 |
| 6. ატლეტიკო | 11 | 5 | 2 | 4 | 23-17 | 17 |
| 7. დეპორტივო | 11 | 4 | 3 | 4 | 10-13 | 15 |
| 8. ალმერია | 11 | 4 | 3 | 4 | 13-17 | 15 |
| 9. სპორტინგი | 11 | 5 | 0 | 6 | 19-25 | 15 |
| 10. ბეტისი | 11 | 4 | 2 | 5 | 16-14 | 14 |
| 11. მალაგა | 11 | 4 | 2 | 5 | 15-19 | 14 |
| 12. ხეტაფე | 11 | 3 | 4 | 4 | 10-14 | 13 |
| 13. ვალიადოლიდი | 11 | 4 | 1 | 6 | 10-17 | 13 |
| 14. რასინგი | 11 | 3 | 3 | 5 | 11-15 | 12 |
| 15. მალიორკა | 11 | 3 | 3 | 5 | 12-17 | 12 |
| 16. ესპანიოლი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-15 | 12 |
| 17. ნუმანსია | 11 | 3 | 1 | 7 | 14-24 | 10 |
| 18. ბილბაო | 11 | 2 | 3 | 6 | 12-20 | 9 |
| 19. რეკრეატივო | 11 | 1 | 4 | 6 | 5-17 | 7 |
| 20. ოსასუნა | 11 | 0 | 5 | 6 | 3-11 | 5 |

# ქუჩური გარჩევა ხეტაფეს ვარჯიშზე


კოზმინ კონტრა

პარასკევს „ხეტაფეს“ ვარჯიშზე ძალიან უსიამოვნო ფაქტი მოხდა. გუნდი პრიმერა დივიზიონის მომდევნო ტურისთვის ინტენსიურად ემზადებოდა. ბიჭები შემართებით მუშაობდნენ, მაგრამ იძულებული გახდნენ, ვარჯიში 40 წუთით შეეწყვიტათ. ამის მიზეზი, **მარიო კოტელოსა და კოზმინ კონტრას** ჩხუბი გახდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთელები ორ ნაწილად გაყო და მათ ერთმანეთისთვის ბურთის ხელით მიწოდება დაავალა. ერთი შეხედვით სრულიად ბანალური და მარტივი ვარჯიში დიდი დაპირისპირების საბაბი გახდა. კოტელომ კონტრას ბურთი ხელიდან ძალით გამოსტაცა. რუმინელმა ლეგიონერმა მას უხეშად უპასუხა, კოტელომ კი ეს იუკადრისა და თანაგუნდელს სახეში მუშტი უთავაზა. კონტრამ მას წიხლებით უპასუხა და ერთ წამში ქუჩური, დაუნდობელი ჩხუბი გაჩაღდა. **ვიქტორ მუნიოსმა** შეგირდებს სიმშვიდისკენ მოუწოდა, მაგრამ მთავარ მწვრთნელს ყური არავინ დაუგდო. ჩხუბი გაგრძელდა. სენიორ მუნიოსი იძულებული გახდა, შუაში ჩამდგარიყო. მან შეგირდები გააშველა, თუმცა კოტელომ და კონტრამ ერთმანეთს სერიოზული ტრავმები მიაყენეს. რუმინელს ცხვირიდან სისხლი წასკდა. კოტელოს კი მარჯვენა თვალი საშინლად გაუსივდა.


ხოსე ანტონიო კამაჩო

# კამაჩოს გადაყენება ემუქრება

„პრობლემებით დაუძლურებული „ოსასუნის“ ხელმძღვანელობამ **ხოსე ანტონიო კამაჩო** მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდი იმედებით დანიშნა. პამპლონელები დარწმუნებული იყვნენ, რომ გამოცდილი ესპანელი სპეციალისტის მოსვლა მყისიერ შედეგს გამოიღებდა, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. ნავარელებს ჯერჯერობით ერთი გამარჯვებითაც არ შეუძლიათ თავის მოწონება. ამ უქმეებზე კამაჩო პრიმერა დივიზიონში საიუბილეო მე-600 შეხვედრას ჩაატარებს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სენიორ ხოსე ანტონიო დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტია, მაგრამ შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ მას საიუბილეო შეხვედრა კოშმარად ექცეს. ესპანურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად „ოსასუნის“ ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, იმ შემთხვევაში, თუ გუნდი „ალმერიას“ ვერ დაამარცხებს, ხოსე ანტონიო კამაჩოს სახლში გაუშვებენ.

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი XXXVIII ოლიმპიადა, დრეზდენი 2008

# გაბრაზებაც ამას ჰქვია!



ნანა ძაგნიძე

მეექვსე ტურში პოლონეთის ნაკრებთან ქართველ ქალთა კრებულის მარცხმა ძალიან კი დაგვალონა, მაგრამ ვგონებ სასიკეთოდაც კი წაგვადგა ერთობ მოულოდნელი შედეგი: ზედიზედ ორი ტურია ჩვენი გოგონები ქვას ქვაზე არ ტოვებენ და მეტოქეებს ნახევარი ქულა რაა, ისიც არ დაანებეს. გუშინ მათი მსხვერპლი მოლდოვის ნაკრები გახდა და მიუხედავად იმისა, რომ მოლდოველები ჩვენი ტოლ-სწორები არ არიან, ასეთი უპირატესობით ჯობნა მაინც რთული საქმე იყო. ყველაზე კარგი, რაც ბოლო ორი გამარჯვებიდან ჩანს, ის არის, რომ ლიდერები სათამაშო ფორმას იბრუნებენ და მთელი გუნდი სტაბილური ხდება. თვითრწმენა, ვფიქრობ, დაბრუნებულია და ამის შემდეგ საპრიზოზე ფიქრიც რეალური გახდა.

დიდი უპირატესობით მოგებულ მატჩში სათქმელიც თითქოს არაფერია, ანუ პარტიის მიმდინარეობაზე ბევრს ვერ მოგახსენებთ, მაგრამ აღნიშვნას იმსახურებს ოთხივე წევრის უშეცდომო და ძლიერი თამაში - მეტოქე მოკლე დროში დავამარცხეთ. **მაია ჩიბურდანიძემ** შავებით 43 სვლაში აჯობა **სვეტლანა პეტრენკოს**, მეორე დაფაზე **ნანა ძაგნიძემ** თეთრებით დააშამათა **კაროლინა სმოკინა**, მესამეზე **ლელა ჯავახიშვილმა ელენე პარტაცი** აიძულა საათი გაეჩერებინა, ხოლო მეოთხე დაფაზე **სოფიკო ხუხაშვილმა ირინა ბულმაგას** მოაწერინა კაპიტულაციაზე ხელი.

ამ გამარჯვებამ ლიდერებში კი დაგვაბრუნა, მაგრამ ჯერაც ბევრი გვიწევს კონკურენციას და იმედია, დისტანციის დარჩენილ მანძილზე მათ გადასწრებას შევძლებთ. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ჩემპიონობაზე ფიქრს მოვეშვათ - ჩინეთის ნაკრები შეუჩერებელია - გუშინ უკრაინაც დაიბრიყვა და ჩვენთან რომც დამარცხდნენ აზიელები, ეს შეხვედრა კი აუცილებლად მოხდება დღეს თუ არა ხვალ, მაინც ვერ გადავსწრებთ... ამიტომ, მთავარია, მეორე-მესამე ადგილები არ დავანებოთ სხვებს...

ბევრი რამ წილისყრაზე იქნება დამოკიდებული და იმაზეც, ჩინელები გააგრძელებენ მოგებას თუ ჩვენს კონკურენტებს ქულებს უწილადებენ.

ვაჟებმა, სამწუხაროდ, წააგეს, მაგრამ ასეთი გულდაწყვეტილი ამ ოლიმპიადაზე ჯერ არ ვყოფილვართ. დაფის მეორე მხარეს ინგლისის ნაკრები იჯდა და თუ რა ძალისაა ინგლისური ჭადრაკი, ყველას კარგად მოეხსენება. პირველ დაფაზე ობობად ცნობილი **მაიკლ ადამსი** იბრძვის, მეორეზე - **ნაიჯელ შორტი**, რომელსაც ჭადრაკში ბევრი უნახავს და იცის. მესამე და მეოთხე დაფებზე ახალგაზრდა ბრიტანელები - **დავიდ ჰოუელი** და **გევან ჯოუნსი** ათამაშეს. ობიექტურად, ალბათ ჩვენი უპირატესობა უნდა გამოკვეთილიყო, რადგანაც მესამე და მეოთხე დაფებზე უფრო ძლიერები ვართ, პირველ-მეორეზე კი ინგლისელთა უპირატესობა მცირე იყო.

შორტის ბევრისმნახველობაზე და ცოდნაზე რომ მოგახსენეთ, თურმე ინტრიგებშიც გვარიანად გარკვეული ყოფილა და პარტიის დაწყების წინ ისეთი რამ მოიმოქმედა, რომ თვალები შუბლზე აგვივიდა ყველას: მსაჯთან იჩივლა, ზვიად იზორიამ, ჩემმა მეტოქემ, ქუდი მოიხადოსო(?!) ზვიადს სჩვევია და უყვარს სხვადასხვა ფორმის თავსაბურავით თამაში, რომელიც არც ერთი კანონით არ ისჯება და ფიქრადაც არ მოსვლია დღემდე არავის, ქუდით ასპარეზობა აეკრძალა მოჭადრაკეებისთვის. ასე რომ იყოს, ოლიმპიადიდან რამდენიმე ათეული ქვეყნის, ძირითადად, რა თქმა უნდა, მუსულმანური სარწმუნოების ქვეყნების ნაკრებ გუნდების გაძევება გახდებოდა საჭირო; სხვადასხვა გუნდშიც ბლომად მოიძებნებიან ასეთები და რაღა შორს წავიდეთ, კარგა ხანია, მაია ჩიბურდანიძე სისტემატიურად თავსაბურავით თამაშობს. ცხადია, შორტს წესები მშვენივრად მოეხსენება, მაგრამ აშკარად მეტოქის ნერვებზე ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ იზორია არ გახლავთ მწყობრიდან იოლად გამოსაყვანი, შედეგით თუ ვიმსჯელებთ, ვერაგი ჩანაფიქრი ნამდვილად გამოუვიდა - ინგლისელმა გაიმარჯვა და თანაც - შავი ფერით. არადა, პარტიის მსვლელობა ისეთი იყო, შორტს თავის დაცვაზე ფიქრი უფრო უწევდა - მიტელშპილში ხარისხი კი შესწირა, მაგრამ ზვიადმა თავი კარგად დაიცვა კონტრთამაშისგან და შეტევის განვითარების შესანიშნავი პერსპექტივებიც მიიღო. სამწუხაროდ, შეცდა და ინგლისელს მოგების შანსი მისცა. შორტის გამოცდილების დიდოსტატს კი ასეთი საჩუქრის შერგების მრავალწლიანი პრაქტიკა გააჩნია...

პირველ დაფაზე ჯობავა ტოლ-სწორად ეპაექრა სუპერრეიტინგის მქონე „ობობას" და არ მისცა უფლება, ჩვეულად მოექსოვა სულისშემხუთველი ქსელი - ყაიმზე შეთანხმდნენ. მესამე და მეოთხე დაფებზე კი ლამის იდენტური სცენარი გათამაშდა: **მჭედლიშვილიც** და **ფანცულაიაც** უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მეტოქეებმა ორივე შემთხვევაში გადარჩენის ერთადერთი გზა მოძებნეს - სვლების გამეორებით იძულებული გახადეს ქართველები სამშვიდობო ზავისთვის მოეწერათ ხელი.

მატჩი 1,5:2,5 წავაგეთ და ამით ყოველგვარი ოცნება, საპრიზო სამეულში მოვხვედრილიყავით, მოვიშალეთ. ყოველ შემთხვევაში, გამოუსწორებელი ოპტიმისტი თუ შემოგვედავება და ასეთი თუ გვყავს გუნდში, ნამდვილად ვერ გეტყვით.

სხვა მატჩებიდან გამოვყოფთ რუსეთის ქალთა წაგებას ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან - 1:3 დამარცხდნენ და ამით ჩვენი საქმეც გააკეთეს - ერთი ქულით ჩამოგვრჩნენ.

ჩვენმა დამმარცხებელმა პოლონეთმა უნგრეთი არ დაინდო და 3:1 მოუგო, ინდოეთმა კი სერბეთს აჯობა მინიმალური ანგარიშით - 2,5:1,5.

ვაჟთა შორის კი სომხებს არა ჰყავთ ბადალი: გუშინ საფრანგეთი გაანადგურეს - 3,5:0,5 და ისე ჩანს, ორი წლის წინათ ტურინში მოპოვებულ ტიტულს, წელსაც შეინარჩუნებენ. რუსებმა ამერიკას კი მოუგეს, მაგრამ ძლივს ძლიობით - 2,5:1,5 და ვგონებ, მათი პრეტენზიები მაღალ ადგილებზე ცოტა გადამეტებულია.

რუსებმა თავისი იდარდონ, ჩვენ ჩვენი საფიქრალი გვაქვს - დღევანდელი დღე გადამწყვეტი უნდა გახდეს ჩვენი ქალბატონებისთვის... ვაჟებს კი ლოკალური პრობლემების გადაჭრალა მოუწევთ და ეგებ ამ ფრონტზე მაინც მივაღწიოთ მნიშვნელოვან წარმატებას.

**ზვიად შათირიშვილი**
დრეზდენიდან

ოლიმპიზმი სოჭი 2014

# ავსტრიელებს იმედი მიეცათ, რუსები კი გაღიზიანდნენ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივამ, სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სხვა ქალაქში გადატანის შესახებ დიდი რეზონანსი გამოიწვია ოლიმპიურ წრეებში. თავი წამოყვეს 2014 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის დამარცხებულმა კანდიდატებმა, ხოლო საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სპეციალური განმარტება გააკეთა. განსაკუთრებით კი რუსები გაღიზიანდნენ, ისინი აქეთ აპირებენ შეტევაზე გადასვლას...

სტამბოლში გამგზავრების წინ, სადაც ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა ასამბლეა იმართება (ასამბლეა წუხელ გაიხსნა), სეოკ-ის ახალმა ხელმძღვანელმა **გია ნაცვლიშვილმა** სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სანამ რუსეთი არ ასრულებს სარკოზი-მედვედევის ხელშეკრულების ყველა პუნქტს, ჩვენ ოლიმპიური თამაშების სხვა ქალაქში გადატანას მოვითხოვთ.

პირველი ჩვენების ინიციატივას ზალცბურგის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი გამოეხმაურა. გაზეთ „ვირტშაფტბლატთან" ინტერვიუში ავსტრიის ამ ქალაქის მერმა **გაბი ბურგშტალერმა** განაცხადა, რომ თუკი „სოკ-ი გადაწყვეტს სოჭისთვის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების ჩამორთმევას, ზალცბურგი მზადაა ჩაატაროს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა. სოჭს ტერორისტული შეტევების საფრთხის გარდა, სერიოზული პრობლემები აქვს ოლიმპიური არენების დროულად აშენების კუთხითაც. 250 ობიექტიდან მათ ჯერ 20 აქვთ აშენებული. ჩვენი უდიდესი უპირატესობა კი ის არის, რომ თითქმის ყველა არენა მზადაა.

სოკ-ის სპიკერმა **ემანუელ მორომ** არც მწვადი დაწვა და არც შამფური, მან განაცხადა, რომ სოკ-ისთვის სპორტსმენთა უსაფრთხოებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იქვე დაურთო, რომ უსაფრთხოება მასპინძელმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს: „სოკ-ისთვის ოლიმპიადის უსაფრთხოდ გამართვა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. უსაფრთხოებზე პასუხისმგებელი კი ორგანიზატორი მხარეა, მათ ყველა რესურსი უნდა გამოიყენონ, რომ პრობლემები არ შეექმნათ სპორტსმენებს, მაყურებელს და ოლიმპიადაზე მომუშავე პერსონალს".

რუსების პოზიცია აგრესიული იყო - რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ლეონიდ ტიაგაჩევი** მიიჩნევს, რომ ქართველები აქეთ დაზარალდებიან და მათ სოკ-ი ლიცენზიას ჩამოართმევს. „არანაირი მიზეზი ოლიმპიადის გადატანის შესახებ საქართველოს მთავრობა და საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს არ აქვს. ეტყობა მათ არ იციან რა წერია ოლიმპიურ ქარტიაში და ვერ აკონტროლებენ სიტუაციას. ასეთი გამონათქვამები გვარწმუნებს, რომ მათ არც განათლება აქვთ და არც კულტურა. პეკინში საქართველომ ძალიან წარმატებულად იასპარეზა, მაგრამ ამის შემდეგ მათი ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა **გოგი თოფაძის** თავკაცობით მოხსნეს. ამის გამო სოკ-მა შეიძლება მოხსნას საქართველო ოლიმპიადიდან". როგორც ხედავთ, ტიაგაჩევი დაუკრეფავში გადადის და ფაქტებსაც ამახინჯებს. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში სეოკ-ის მორიგი, დაგეგმილი საარჩევნო სესია გაიმართა და ძველი ხელმძღვანელები არავის მოუხსნია.ოლიმპიური ქარტიის არცოდნა და უვიცობა სწორედ ესაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ხუციშვილი ზაგრებში მესამეა

გუშინ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში დაიწყო ევროპის ახალგაზრდული (23-წლამდელთა) ჩემპიონატი ძიუდოში. სამდღიან ტურნირში **ბორის ფირცხელიანის** გუნდიც ჩაება და პირველივე დღეს მედალი მოიპოვა – 66 კგ. წონით კატეგორიაში კვარცხლბეკზე ავიდა ბათუმელი **უჩა ხუციშვილი**. უჩა ერთადერთია საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან, რომელსაც სექტემბრის ბოლოს საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში არ უმარჯვია. მაშინ მან ფინალში **ვანო დავითაშვილთან** დათმო. ფირცხელიანმა საევროპო შემადგენლობა აღნიშნული ტურნირის შედეგების მიხედვით დააკომპლექტა, გამონაკლისი მხოლოდ 66 კგ. წონით კატეგორიაში გააკეთა, რადგან უჩამ ბაქოს საერთაშორისო ტურნირში გამოიჩინა თავი. შეგირდმა მწვრთნელს გაუმართლა და ზაგრებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ტურნირის ოფიციალური საიტი კრიტიკას ვერ უძლებს, სხვა წყაროები კი შეჯიბრების თანმიმდევრობას სხვადასხვანაირად ასახელებდნენ. საბოლოოდ, ყველაფერი ჩვეულად წარიმართა, გუშინ 60 და 66 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე ძიუდოისტები ჩაერთვნენ ბრძოლაში. ყველაზე დაბალ წონაში **ბეთქილ შუკვანის** გვეიმედებოდა, რომელიც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად საკმაოდ გამოცდილი ძიუდოისტია. სამწუხაროდ, ბეთქილმა ვერ გაამართლა მწვრთნელთა იმედები. პირველ წრეში ბეთქილმა ჰოლანდიელი **მიკოს სალმინენი** დაამარცხა იუკოთი. მეორეში მან ფინელ **იუჰო რეინვალს** მოუგო დამატებით დროში, იპონით. მესამე წრეში იტალიელ ელიო ვერდესთან იპონით წააგო. შუკვანი დამამშვიდებელ ტურნირში მოხვდა, მაგრამ იქაც დამარცხდა – თუკი ინტერნეტვერსიას დავუჯერებთ, შეხვედრის პირველივე წამზე იპონით წააგო გერმანელ **ტობიას ენგლმაიერთან**. სხვათა შორის, ამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი უკრაინის სახელით ქართველმა **გიორგი ზანთარაიამ** მოიპოვა. წონაში კიდევ ერთი ქართველი იყო, საბერძნეთის სახელით გამოდიოდა **დიმოკრიტოს მანუსარიდისი**.

66 კგ. წონით კატეგორიაში უჩა ხუციშვილმა იუკოთი მოუგო იტალიელ **იური კონტეგრეკოს**, 38 წამში დაამარცხა სერბი **ფილიპ კრიჟანი**, 22 წამში აჯობა ბულგარელ **მარტინ ივანოვს** და ნახევარფინალში გავიდა. ძალიან დაძაბული გამოდგა უჩას და რუსი **ქამალ ხან-მაგომედოვის** ორთაბრძოლა. მეტოქეებმა თითო ვაზარი მიითვალეს, შემდეგ კი, სამწუხაროდ ხან-მუგამედოვმა კიდევ ერთხელ შეძლო ვაზარის ართმევა ქართველისთვის. საღამოს მესამე ადგილისთვის შეხვედრაში უჩა ხუციშვილმა ესპანელი **დავიდ რამირესი** დაამარცხა 59 წამში და საქართველოს ნაკრებს პირველი მედალი მოუპოვა.

73 კგ. წონით კატეგორიაში **თენგიზ პაპოშვილი** თურქ **ჰასან ვანლიოღლუს** ეჭიდავება. 81 კგ-ში **გიგა ნიკლაური** გერმანელ **სვენ მარეშს** შეხვდება, **გიორგი ეპიტაშვილის** (90 კგ) პირველი მეტოქე უკრაინელი **ვლადისლავ პოტაპოვია**. 100 კგ-ში **დავით ლორიაშვილი** ბოსნიელ **გორან კომპლენოვიჩს** დაუპირისპირდება, მძიმე წონაში **ადამ ოქრუაშვილი** სლოვენიელ **მიტია იენუშს** ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**60 კგ.**

1. პაველ პეტრიკოვი (ჩეხეთი); 2. ელიო ვერდე (იტალია); 3. გიორგი ზანთარაია (უკრაინა); 3. მურად აბდულაევი (რუსეთი).

**66 კგ.**

1. ტომაშ კოვალსკი (პოლონეთი); 2. ქამალ ხან-მაგომედოვი (რუსეთი); 3. უჩა ხუციშვილი (საქართველო); 3. დან ფასიე (რუმინეთი).

ჩოგბურთი

# შაფათავა წყვილთა ფინალშია



19 წლის **სოფიო შაფათავას** (253) შესანიშნავი შანსი ჰქონდა მისთვის წარმატებული სეზონი ტიტულის მოპოვებით დაესრულებინა – ქართველი ჩოგბურთელი ასტანას საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) მეორე ნომრად იყო განთესილი. მან ორი წრე გაიარა და მეოთხედფინალშიც, თითქოს, იოლად დასაძლევი მეტოქე ჰყავდა,- 15 წლის ყაზახი **ზარინა დიასი**. ეს ჩოგბურთელი ტურნირის ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდით" მიიწვიეს. დიასი ყაზახური ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ სერიოზული რეიტინგის მქონე ქართველს მაინც არ უნდა წაეგო ბავშვთან (ზარინა 15 წლის ერთი თვის წინათ გახდა), მით უფრო ასე უშანსოდ – 3:6, 1:6. სამაგიეროდ, სოფიო კარგად ასპარეზობს წყვილთა თანრიგში და ტიტულის მოპოვების შანსიც აქვს – ის და რუსი **მარინა შამაიკო** (412) ფინალში გავიდნენ. ასტანური ტურნირის ფინალში მათი მეტოქეები რუსები, **მარინა მელნიკოვა** (484) და **ანასტასია პოლტორაცკაია** (319) არიან. ქართულ-რუსული დუეტი მე-4 ნომრად არის განთესილი, რუსული – მესამედ. პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ, შამაიკომ და შაფათავამ უკრაინელები (**პივენი, ვასილიევა**) დაამარცხეს – 7:5, 7:6 (5). ნახევარფინალში მათ კიდევ ერთი უკრაინული წყვილი (**კაპშაი, რიბაკოვა**) არ გამოუცხადდათ.

პოლონურ ოპოლეში (25 ათასი $) წყვილთა თანრიგის იმედზე დარჩა **მაკა ჩახნაშვილი** (222). ქართველი ლიტველ **ლინა სტანჩიუტესთან** (226) ერთად თამაშობს და მეოთხედფინალშია გასული. მათი მეტოქეები მე-4 ნომრად განთესილი ბრიტანელები, **სარა დელ ბარიო-არაგონი** (324) და **ჯორჯია სტუპი** (210) არიან. პირველ წრეში ჩახნაშვილმა და სტანჩიუტემ **მედენსს** (ჰოლანდია) და **ოზგას** (გერმანია) აჯობეს – 6:4, 6:4.

დუბაიში (10 ათასი $) მე-4 ნომრად განთესილმა 19 წლის **მანანა შაფაქიძემ** (662) მეოთხედფინალში ჩეხი **ჟუჟანა ლინჰოვა** დაამარცხა – 1:6, 6:3, 6:3. ნახევარფინალში მანანა მე-2 ნომრად განთესილ რუმინელ **ალექსანდრა დამაშჩინს** (634) შეხვდა და ორ სეტში დამარცხდა – 3:6, 3:6. მანანა შაფაქიძე უკრაინელ **კრისტინა კაზიმოვასთან** ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი, ნახევარფინალში მათ მე-4 ნომრად განთესილ ინტერნაციონალურ წყვილთან (**ალ ნაბანი** (ომანი), **დე ლატრე** (პორტუგალია) დათმეს – 7:6 (1), 4:6, 4:10.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი



დინამო-ავიამშენი. წინასამატჩო პრესკონფერენცია

# ფავორიტი ავიაა

ორშაბათს გითხარით, რომ საქართველოს ჩემპიონატის მე-6 ტური, კვირის ნაცვლად, შაბათს გაიმართება. ოთხი მატჩის გადმოტანის მიზეზი ის არის, რომ 23 ნოემბერს გიორგობაა. ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ "ნტდ\თბილისი"-"ენერჯის" დაპირისპირებაა, თუმცა ტელევიზიით "დინამო"-"ავიამშენის" მატჩს გადასცემენ. იმედია, მომავალში კალათბურთის ქართველ ქომაგს ყველაზე საინტერესო მატჩებს შესთავაზებენ. ასევე, დავიტოვოთ იმედი, რომ გუშინდელი მატჩიც გაამართლებს და ქომაგი დაძაბულ ბრძოლას იხილავს.

გუშინ ტოტალიზატორ "აჭარაბეთში" გამართულ პრესკონფერენციაზე "დინამოსა" და "ავიამშენის" წარმომადგენლებმა ისაუბრეს. შეხვედრა "ავიატორთა" გუნდის უფროსმა **ლევან ჭალისურმა** გახსნა:

- გუნდი სათამაშოდ მზად არის. დაგვაკლდება მხოლოდ **ირაკლი ხოშტარია**, რომელსაც ხელი აწუხებს და შეიძლება პლეი ოფებამდე ვერ დაგვეხმაროს. რაც შეეხება ხვალინდელ თამაშს, პირდაპირ გეტყვით – უნდა მოვიგოთ. "დინამო" შარშანდელი სეზონის შემდეგ ცოტა დასუსტდა, რაც სამწუხაროა. ხოლო "ავიამშენი" იმ გუნდთა შორისაა, რომლებიც მაღალი მიზნებისთვის იბრძვიან.

საუბარი "ავიამშენის" მსროლელმა **ნოდარ ბერაიამ** განაგრძო:

- გუნდში კარგი განწყობაა. მოსაგებად მზად ვართ და ვეცდებით "დინამოს" გამარჯვება არ დავუთმოთ.

დინამოელთა თავკაცი, **ზაზა ცაგარეიშვილი** შეხვედრაზე ოპტიმიზმით საუბრობს:

- შემადგენლობა გავაახალგაზრდავეთ და ახლა ჩვენი სტილის ძიების პროცესში ვართ. შეთამაშებაც გვაკლია, თუმცა ყველა მატჩზე მოსაგებად გავდივართ. ასე იქნება "ავიამშენთანაც", თუმცა ფავორიტად მეტოქე მიმაჩნია.

პრესკონფერენცია "დინამოს" ლიდერმა **ლექსო ლაფანაშვილმა** დაასრულა:

- სეზონის დაწყების შემდეგ ფორმას ნელ-ნელა ვიბრუნებთ. ვფიქრობ, ხვალინდელი მატჩისთვისაც სათანადოდ ვართ მომზადებულნი. მეტოქე ძლიერია, "ავიამშენი" არა მხოლოდ შაბათის მატჩის, არამედ მთლიანად ჩემპიონატის ფავორიტია. ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ. სხვათა შორის, ბევრს ეგონა, რომ დუდუ დადიანის მემორიალზე აუტსაიდერის როლით დავკმაყოფილდებოდით, მაგრამ პირველ ტურში "ნტდ\თბილისიც" დავამარცხეთ, ხოლო თსუ-სთან ბოლო წამებზე წავაგეთ.




# ცისარტყელა ნაომარ ცაზე

## ფარლალავა და ჰავაი

საქართველოს ნაკრებში ამ ზაფხულს გამოძახებული იყო ლაშა ფარლალავა, თუმცა იგი მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა ვერ იხილა. ლაშა გასულ ზაფხულს საკლუბო საკითხებს აგვარებდა – ფლორიდული "პენსაკოლადან" ჰავაის "ცისარტყელის მეომრებში" გადავიდა. მან ამერიკის კოლეჯების უმაღლეს ლიგაში სამი მატჩი ჩაატარა და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. ასე რომ, ფარლალავას დახმარება ნაკრებს აუცილებლად დასჭირდება. თუ მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი ლაშას ამერიკაში არ ნახავს, საქართველოში აუცილებლად უნდა გასინჯოს.

ახლა უფრო კონკრეტულად ფარლალავას ახალ კლუბზე. ჰონოლულუს "ცისარტყელას მეომრები" კოლეჯების უმაღლეს ლიგაში, დასავლეთ ატლანტიკის კონფერენციაში თამაშობს, სადაც ჰავაელთა გარდა კიდევ 8 გუნდია. სამი მატჩის შემდეგ ლაშას თანაკლუბელები ბოლოდან მეორე პოზიციაზე არიან – 2 წაგება და 1 მოგება აქვთ. მათ პირველ ტურში "სან ფრანცისკოსთან" ბოლო წუთებზე დათმეს– 70:75. კოლეჯების ლიგის სადებიუტო შეხვედრა ლაშა ფარლალავასთვის დასამახსოვრებელი გამოდგა. მან 36 წუთი ითამაშა, 14 ქულა ჩააგდო, 3-ჯერ მოხსნა და 2-ჯერ ჩაჭრა. 10-დან 4 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი და 4 საჯარიმო გამოიყენა.

მეორე შეხვედრა "ცისარტყელის მეომრებმა" "ფულერტონთან" ჩაატარა და 14 ქულის სხვაობით წააგო – 76:90. ქართველი უკანახაზელი ამ მატჩშიც სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და 25 წუთში 5 ქულა და თითო მოხსნა-პასი მიითვალა.

მესამე თამაშის შემდეგ ლაშამ ჰავაური პრესაც აალაპარაკა. "აიდაჰოსთან" დაპირისპირების უკანასკნელ წამებზე, როდესაც ანგარიში საყაიმო იყო, ქართველმა ორი სამქულიანი ისროლა და ორივე ააცილა. დამატებით დროში უკეთესად ჰონოლულუელებმა ითამაშეს და სეზონის პირველი გამარჯვებაც მოიპოვეს – 67:64.

გაზეთ "სტარბიულეტენში" ფარლალავას მატჩის შემდგომი კომენტარი გამოქვეყნდა:

- პოზიციით მსროლელი ვარ და მნიშვნელოვანი ტყორცნების შესრულება ჩემი მოვალეობაა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ შორეული სროლები საბოლოოდ მაქვს დახვეწილი. ამ კომპონენტზე ბევრს ვმუშაობ. ყოველ დილას, საწვრთნელი პროცესის შემდეგ დარბაზში ვრჩები და სროლაზე ვვარჯიშობ. მინდა, ყველა ტყორცნა მიზანში მოვარტყა.

სადღეისოდ ფარლალავას სამქულიანების 21.1 პროცენტი აქვს გამოყენებული (19-დან 4).

"აიდაჰოსთან" მატჩში ლაშას თანაგუნდელ **ფლემინგს** 17 ქულა მოუგროვდა. ამერიკელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რატომ დაუთმო მან ფარლალავას გადამწყვეტი სროლების უფლება. ფლემინგმა მიუგო:

- ამ საკითხზე მე და ლაშასაც გვისაუბრია. ჩვენს გარდა შორეულ სროლას ყველა ერიდება. სამქულიან ტყორცნებზე სერიოზულად მხოლოდ მე და ფარლალავა ვმუშაობთ და გადამწყვეტ მომენტში ან მე ვისვრი, ან - ის.

კინალამ დაგვავიწყდა: "აიდაჰოსთან" ლაშამ 37 წუთი ითამაშა (სათადარიგო იყო), 2-2 ორქულიანი (10-დან), სამიანი (8-დან), საჯარიმო (ორიდან)

- ჩემს სამშობლოში რუსეთის ჯარი შევიდა. ეს ჩემთვის მძიმე იყო, რადგან ამერიკაში ვიყავი, ახლობლებთან დაკავშირება მიჭირდა და არ ვიცოდი როგორ იყვნენ. საბოლოოდ ჩემი ოჯახი არ დაზარალებულა, თუმცა ბევრი ჯარისკაცი დავკარგეთ. აგვისტოში ძალიან დამეხმარა "პენსაკოლას" კოლეჯის მწვრთნელი **პოლ სვენსონი,** რომელიც ახლაც მხარში მიდგას.

მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს ყურადღება პეკინის ოლიმპიადისკენ იყო მიპყრობილი, საქართველო რუსეთს ეომებოდა.

- რესტორანში ვიყავი და ჭამას ვამთავრებდი, როცა პატარა ტელევიზორში საქართველოში დაწყებული ომის ამბავი გამოაცხადეს. ეს ხომ ჩემი სამშობლოა, ვთქვი ხმამაღლა... ყველაზე მეტად მამაჩემის ამბავი მაღელვებდა, რომელიც ყოფილი სამხედროა და როცა ქვეყანას უჭირს, ყოველთვის მზადაა ხელში იარაღი აიღოს. ამჯერად მას არ უომია, იგი 60 წლისაა. ჩემი მეგობრებიც მშვიდობიანად დაბრუნდნენ ომიდან.



ლაშა ფარლალავა

ჩააგდო და 8 ქულას 2 ჩაჭრა და თითო მოხსნა-პასი წაუმატა.

"ცისარტყელას მეომრების" (გუნდის ასეთი დასახელება ცოტა უცნაურად ჟღერს) ქართველი ახალწვეულის ჰავაური პუბლიკისთვის გაცნობა გაზეთმა "სტარბიულეტენმა" იკისრა. ჩვენ კი საკუთარ თავზე ამ პუბლიკაციის თარგმნას ვიღებთ. წაკითხვა თქვენთვის მოგვინდია.

*"ჰავაის კოლეჯის ახალწვეულმა, ლაშა ფარლალავამ გუნდს დაცვაში სიმყარე, საიმედოობა შესძინა და უკანა ხაზი სათანადოდ შეავსო. იგი საქართველოდან ჯერ ფლორიდის სამხედრო სკოლაში ("ეარ აკადემი") სწავლობდა, შემდეგ იმავე შტატის იუნიორთა კოლეჯ "პანსაკოლაში" ჩაირიცხა. ამ სეზონის წინ კი ჰონოლულუს უნივერსიტეტში ჩააბარა.*

- ჩემი კალათბურთელობა და აქ ყოფნა, უმთავრესად დედაჩემის (მარინა ზარიძე) დამსახურებაა. მშობლებს სურდათ, რომ კალათბურთის პარალელურად განათლებაც მიმეღო. საქართველოში ორივეს ვერ მოასწრებ, ან სპორტით უნდა დაკავდე, ან – სწავლით. სწორედ ამიტომ მშობლების რჩევით ამერიკაში ჩამოვედი, სადაც თუ არ ისწავლი, საკალათბურთო გუნდშიც არავინ მიგიღებს, - ამბობს ლაშა ფარლალავა. იგი ოჯახის გამო ამ ზაფხულს ბევრს წუხდა – აგვისტოში ხომ რ...ეთმა საქართველო დაბომბა.

ჰავაიზე გადმოვერთოთ. მწვრთნელის, **ბობ ნეშის** თქმით, ფარლალავა კარგი დამცველია, ტიპური მსროლელია (მეორე ნომერი), თუმცა ფიზიკური სიძლიერის გათვალისწინებით მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზეც სასარგებლოა:

- ლაშა მშრომელი კალათბურთელია. ბევრს მუშაობს დაცვაზე, რათა მეტოქეებს მოედნის ერთი "ინჩიც" არ დაუთმოს. შეტევისას ქართველი აგრესიულია, კარგად შეუძლია სამქულიანების რეალიზება, დრიბლინგიც აქვს, ფარქვეშაც თამამად შედის. ლაშას გუნდის შეტევით სქემებთან მორგების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

ლაშა ფარლალავა იხსენებს 17 წლის ასაკში როგორ ჩამოვიდა ამერიკაში და როგორ ეხმარებოდა მას ამ საქმეში მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია.

- აქაურობასთან შეგუება თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მენტალურად კოლეჯში სათამაშოდ მზად ვიყავი. ვარჯიშებისას თავი არასოდეს დამიზოგავს. შავი სამუშაოს შემსრულებელი უკანახაზელი ვარ, თუმცა მწვრთნელს რაც სურს, ვცდილობ ყველაფერი კარგად შევასრულო. გამოგიტყდებით, არ მიყვარს წაგება. ვერც იმას ვიტან, როცა ვინმე მჯობნის და ამიტომ ყველაფერს ვაკეთებ გამარჯვების მისაღწევად."

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

სუმო — ნოემბრის ბაშო

# გაგამარუ დიდი ნახტომის წინ

ნოემბრის ბაშოს მე-13 დღე ნავსიანი აღმოჩნდა ქართველი სუმოისტებისთვის, ელიტის ორივე ჩვენებური წევრი დამარცხდა. აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია) ტაკამისაკარისთან** დამარცხდა, ხოლო დასავლეთის მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** ფუტენოსთან წააგო. კოკაის 8-5 ბალანსი აქვს, ხოლო ტოჩინოშინს – 2-11. დღეს ელიტის ყველაზე ახალგაზრდა რიკიში ტოჩინოშინი (21 წლისაა) კომუსუბი **ამინიშიკის** (8-5) შეხვდება. აქამდე ტოჩინოშინს არასოდეს უჭიდავია ამინიშიკისთან, რომელსაც თავისებური სტილის გამო „მატადორს" უწოდებენ. კოკაის მეტოქე მე-16 მაეგაშირა **ჩიოჰაკუჰოა** (7-6). 25 წლის იაპონელისთვის კიუშუს ბაშო ელიტაში მესამეა. კოკაიმ სექტემბრის ტურნირზე დაამარცხა ჩიოჰაკუჰო. ქართველის მეტოქეს ჰაერივით სჭირდება გამარჯვება, რათა დივიზიონში ადგილი შეინარჩუნოს.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოასპარეზე **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ბაშო დაასრულა. ქართველმა ბოლო ორთაბრძოლაში **კიტაჰარიმას** ჰატაკიკომის ილეთით აჯობა. გაგამარუმ ბაშო დიდებული ბალანსით 6-1 დაასრულა. ქართველი ახლა მაკუშიტას 32-ე ნომერია. სპეციალისტთა მტკიცებით, დეკემბრის რეიტინგში მას დიდი წინს[illegible]ლა ელოდება. თუკი მას მე-5 ან მე-6 ბაკუშიტას მიანიჭებენ, მომავალ ბაშოზე მეორე დივიზიონში გადასვლის შანსი მიეცემა. გაგამარუ 21 წლისაა, ის კისეს ბეიაში ვარჯიშობს. ქართველის დებიუტი სუმოში სწორედ კიუშუს ბაშოზე შედგა სამი წლის წინათ. თავიდან ყველაფერი დიდებულად დაიწყო, 2006 წლის იანვარში 7-0 შედეგით ჯონოკუჩის დივიზიონი მოიგო, ერთი ამოსუნთქვით გაიარა ქვედა დივიზიონები და 2006 წლის კიუშუს ბაშოზე მესამე დივიზიონ მაკუშიტაში შესანიშნავი დებიუტი ჰქონდა – 6-1. სამწუხაროდ, შარშან თეიმურაზს ცუდი სეზონი ჰქონდა - წლის ექვსიდან ოთხ ტურნირში უარყოფითი ბალანსი აჩვენა, მაგრამ კვლავ კიუშუზე წარმატების (6-1) შემდეგ დაუბრუნდა მაკუშიტას. წლეულს მან ზედიზედ მესამე ტურნირი დაასრულა დადებითი ბალანსით, რაც მომავლის იმედს გვიტოვებს. გაგამარუ სიმაღლეში 185 სმ-ია და 173 კილოგრამს იწონის (ქართველებში ყველაზე დაბალი და მძიმეა).

გუშინ კიუშუს ბაშოზე მე-11 გამარჯვება იზეიმა ელიტის ყველაზე მსუბუქმა (129 კგ) სუმოისტმა **ამამ**, მან ყველაზე მძიმე რიკიში **მიაბიამა** (185 კგ) დაამარცხა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სუმოში წონას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ამ მოგებით მონღოლმა ამამ ოძეკის ტიტულის მიღების კრიტერიუმი დააკმაყოფილა, ანუ იანვრის ბაშოზე უკვე ხუთი ოძეკი იჭიდავებს. 11 მოგება აქვს დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოსაც**. ორ ლიდერს კვალში მხოლოდ მე-12 მაეგაშირა **იოშიკაძე** უდგას, რომელსაც იმპერატორის თასისთვის ბრძოლაში სერიოზულ კონკურენტად არ განიხილავენ. როგორც ჩანს, თასი ისევ მონღოლს დარჩება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### XIII დღე

მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: **ტოჩინოშინი (მ 4)-ფუტენო (მ 1) 0:1 (იორიკირი); კოკაი (მ 11)-ტაკამისაკარი (მ 14) 0:1 (ცუკიოტოში); ჰაკუჰო (ი)-კოტოოშუ (ო) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-კოტომიცუკი (ო) 1:0; ამა (ს)-მიაბიამა (მ 7) 1:0; კისენოსატო (მ 4)-ბარუტო (ს) 1:0; გოეიდო (კ)-კოტოშოგიკუ (მ 3) 1:0; ამინიშიკი (კ)-დეჯიმა (მ 5) 1:0; კიოკუტენჰო (მ 6)-ტოიონოშიმა (მ 1) 1:0; ვაკანოსატო (მ 2)-ასასეკირიუ (მ 5) 1:0; იოშიკაძე (მ 12)-ტოკიტენკუ (მ 9) 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. **11-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა); ამა (სეკივაკე). 10-3: იოშიკაძე (მაეგაშირა 12). 9-4: კოტომიცუკი (ოძეკი); კისენოსატო (მ 4); კიოკუტენჰო (მ 6); მიაბიამა (მ 7)... 8-5: კოკაი (მ 11)... 2-11: ტოჩინოშინი (მ 4).**

XIV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: **ტოჩინოშინი (მ 4)-ამინიშიკი (კ); კოკაი (მ 11)-ჩიოჰაკუჰო (მ 16); ჰაკუჰო (ი)-ჩიოტაიკაი (ო); კოტომიცუკი (ო)-ამა (ს); კოტოოშუ (ო)-კიოკუტენჰო (მ 6); ბარუტო (ს)-დეჯიმა (მ 5); გოეიდო (კ)-ასასეკირიუ (მ 5); ტოიონოშიმა (მ 1)-ვაკანოსატო (მ 2); კოტოშოგიკუ (მ 3)-მიაბიამა (მ 7); კისენოსატო (მ 4)-ტაკამისაკარი (მ 14).**

მძლეოსნობა — საპრეზიდენტო არჩევნები



მაია აზარაშვილი და თამაზ მდინარაძე

# ალიაქოთი და შენარჩუნებული პოსტი

ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში გუშინ დიდი ვნებათაღელვა იყო. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტობა **თამაზ მდინარაძემ** შეინარჩუნა, რომელიც ამ თანამდებობაზე 1989 წლიდან მუშაობს. თუმცა ამჯერად ახალი ვადით ასარჩევად სერიოზული წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა.

მდინარაძის მთავარი კონკურენტი **გივი ბედოშვილი** იყო. მოქმედ პრეზიდენტს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, ასე მაგალითად - მორბენალი **დავით ილარიანი,** რომელმაც განაცხადა, რომ მის საოლიმპიადოდ მოსამზადებლად რეალურად გამოყოფილზე გაცილებით ნაკლები თანხა დაიხარჯა. საერთოდაც, ყრილობამ დაგეგმილ დროს გადააჭარბა და რამდენიმე საათს გასტანა. დარბაზში ხშირი იყო ხმამაღალი შელაპარაკება და ურთიერთსაწინააღმდეგო ბრალდებები. რამდენჯერმე საქმე კინაღამ ხელჩართულ შეხლა-შემოხლამდეც მივიდა. მძლეოსნებს დარბაში არ უშვებდნენ და სიტუაცია თავდაპირველად სწორედ ამან დაძაბა.

თითქმის ყველა გამომსვლელის სიტყვას ხმაურიანი რეპლიკები და გაუთავებელი კამათი სდევდა. განსაკუთრებით ილარიანის გამოსვლას. ეჭვების გასაქარწყლებლად მას ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მაია აზარაშვილმა** ყველა ფინანსური დოკუმენტის საკუთარი თვალით ნახვა შესთავაზა.

სანამ საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართებოდა, დელეგატებმა ფედერაციის წესდებაში ცვლილებები შეიტანეს, ასევე, დაამტკიცეს რეგიონული ფედერაციები და კომიტეტები. საანგარიშო მოხსენება თამაზ მდინარაძემ წაიკითხა.

არჩევნებში მან 26 ხმა მიიღო, გივი ბედოშვილმა 17, მესამე კანდიდატი - **გიორგი გოგიაშვილი** კი ხმების გარეშე დარჩა. სავარაუდოდ, მან ბედოშვილს დაუჭირა მხარი. მდინარაძე საპრეზიდენტო საქმიანობას კიდევ ოთხი წლით გაგრძელებს.

საარჩევნო ხმის უფლების მქონე 44 დელეგატიდან 43-მა თავისი ნება გამოხატა, მათ შორის ბირთვისმკვრელმა **მარიამ ქევხიშვილმა,** რომელიც საკუთარი არჩევანი აშშ-დან დააფიქსირა.

*"ჩვენი გუნდის დაშლის არა ერთი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი დაგვაკლეს. თუმცა კმაყოფილიც არ ვარ, რადგან ჩემმა კონკურენტმაც საკმაო რაოდენობის ხმები მიიღო. ჩემთვის გაუგებარია გოგიაშვილის გადაწყვეტილება"*, - განაცხადა თამაზ მდინარაძემ. მანვე იმედი გამოთქვა, რომ ქართულ მძლეოსნობაში ყველა დაპირისპირება მალე წარსულს ჩაბარდება.

მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივნად მაია აზარაშვილი დაამტკიცეს, პირველ ვიცე-პრეზიდენტად **ყარამან საბანაშვილი**, ვიცე-პრეზიდენტად კი **ვასილ ბერიშვილი**. საპატიო პრეზიდენტად რჩება **რობერტ შავლაყაძე**.

ყველაზე ბოლოს ფედერაციის გამგეობის ექვსი ახალი წევრი აირჩიეს: **ზიგმუნდ ზილბერშტეინი, რევაზ კობიაშვილი, რევაზ ბუკია, დავით ფრუიძე, გიორგი ჭანიშვილი** და **მიხეილ მალაზონია.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

რაგბი — პრესკონფერენცია

# შოტლანდიური გაკვეთილი: შვიდკაცას დიდი გამოცდა ელის

საქართველოს მორაგბეები შოტლანდიაში ამ ქვეყნის A ნაკრებთან დამარცხდნენ (მეორე შეხვედრა სტადიონზე შუქის გამორთვის გამო 29-ე წუთზე შეწყდა). ბრიტანულ ბატალიებთან და შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის ტურნირებთან დაკავშირებით ბორჯღალოსანთა თავკაცებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.

რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** აღნიშნა, რომ შოტლანდიელებთან პაექრობამ რეალურად წარმოაჩინა ის პრობლემები, რომლებიც ქართულ რაგბის გააჩნია.

- დიდ ბრიტანეთში, ფაქტობრივად, მეორე ნაკრებით ნავედით: წინასწარი შეთანხმების მიუხედავად, ზედ გამგზავრების წინ ფრანგულმა კლუბებმა ნაკრების 16 ძირითადი მოთამაშე არ გაათავისუფლეს, - გვითხრა გიორგი ნიჟარაძემ. - რადგანაც ამხანაგურ შეხვედრას ვმართავდით, საშუალება მოგვეცა, დებიუტანტები გამოგვეცადა. მხოლოდ ოცი წუთი გაუძლეს ჩვენებმა მასპინძლებს, შემდეგ კი მეტოქე გუნდის წევრები იმას აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ - უზარმაზარი სხვაობა იყო ფიზიკურ მომზადებაში, ამიტომაც ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა მოთამაშეებისთვის იქვე შეადგინეს შესაბამისი პროგრამა. ორი თვის შემდეგ ბიჭებს ტესტების ჩაბარება მოუწევთ. ვინც ამას ვერ შეძლებს, ნაკრებში ვერ მოხვდება.

რაგბი შოტლანდიელთა ცხოვრების ნაწილია. ედინბურგში, სასტუმროდან სავარჯიშო სტადიონამდე სულ რაღაც 10 წუთის სავალზე, რაგბის 64 მოედანი დავთვალე თავისი ინფრასტრუქტურით. ამიტომ არც მიკვირს, რომ ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ, თუმცა ერთი რამ მაინც მინდა გულისტკივილით აღვნიშნო - ჩვენს ზოგიერთ მორაგბეს, ეტყობა, დაავიწყდა ბორჯღალოსანთა მაისურის ფასი, რაც ქართული რაგბის ტრადიციებს არ შეესაბამება - მოედანზე რომ გადიხარ, ბოლომდე უნდა დაიხარჯო და შეუძლებელიც შეძლო. იმედია, ამას სამომავლოდ გაითვალისწინებენ, რადან გაისად ერთა თასზე მეტად დაძაბული ორთაბრძოლები გველის.

მართალია, შოტლანდიაში მწარე მარცხი ვიგემეთ, მაგრამ მერჩივნა, იმ ამხანაგურ შეხვედრაში წარმოჩენილიყო პრობლემები, ვიდრე ერთა თასზე.

ბევრი რამის შეცვლა მოგვიწევს სამერმისოდ. შეჯიბრებებისთვის უკეთ მოსამზადებლად წინასწარ გამოვაცხადებთ გაფართოებულ შემადგენლობას. 70-80 კაცი იბრძოლებს ეროვნულ, A და შვიდკაცა ნაკრებ გუნდებში მოსახვედრად. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე მორაგბეებიდან საუკეთესოებს კვირაში ერთხელ შევკრებთ და ვარჯიშებს ჩავუტარებთ. ვეცდებით სხვა სიახლეებიც დავნერგოთ, რათა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა და იქ წარმატებული გამოსვლა შევძლოთ...

პრესკონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა შვიდკაცა რაგბის სამომავლო ტურნირებზე.

2008 წლის ევროპის შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილის დაკავებით იმდენი სარეიტინგო ქულა მოაგროვა, რომ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებზე გამოსვლის უფლება მიიღო: შვიდკაცა ბორჯღალოსნები IRB-ის 2008-2009 წლების მსოფლიო სერიის ტურნირებსა და შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს თასზე იასპარეზებენ. ამ უკანასკნელს კი გაისად, 5-7 მარტს, დუბაი საგანგებოდ ამ ორთაბრძოლებისთვის აშენებულ გრანდიოზულ სპორტულ კომპლექსზე უმასპინძლებს. მსგავს შეჯიბრებებში ჩვენები აქამდე ორჯერ მონაწილეობდნენ: 2001 წელს არგენტინაში მე-10 ადგილზე გავიდნენ, ხოლო 2005 წელს ჰონ კონგში მე-11 ადგილით დაკმაყოფილდნენ. მესამე ცდაზე შედეგის გაუმჯობესება სურთ. საამისოდ აქედანვე ემზადებიან. ამჟამად შვიდკაცა ნაკრების მთავარი მწვრთნელის **კახა ალანიას** განკარგულებაშია 16 მორაგბე (მათ შორის სამი ლეგიონერი) - **სიმონ მაისურაძე (ლ), დავით ჩიტიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი, ბიძინა სამხარაძე (ლ), ლაშა ხმალაძე, ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი (ლ), ლექსო გუგავა, ირაკლი გეგენავა, დავით ჟამუტაშვილი, გიორგი შკინინი, ალექსანდრე ნიჟარაძე, ჯაბა ბრეგვაძე, ბექა წიკლაური** და **გოდერძი ჯოგლიძე**. კვირა საღამოს მწვრთნელი მათგან იმ თორმეტ მოთამაშეს დაასახელებს, რომლებიც ორშაბათს IRB-ის მსოფლიო სერიის დუბაის და ჯორჯის ტურნირებზე გაემგზავრებიან.

28-29 ნოემბერს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში 16 გუნდი იასპარეზებს. ისინი ოთხ ჯგუფში არიან განაწილებული: **A ჯგუფი**. ახალი ზელანდია, ავსტრალია, უელსი, ზიმბაბვე; **B ჯგუფი**. სამხრეთ აფრიკა, კენია, შოტლანდია, საამიროები; **C ჯგუფი**. სამოა, არგენტინა, საფრანგეთი, **საქართველო**. **D ჯგუფი**. ფიჯი, ინგლისი, აშშ, პორტუგალია. შაბათს ახალ სტადიონზე ჯგუფური მატჩები, კვირას კი პლეი ოფები გაიმართება.

ჯორჯის შვიდკაცას ტურნირი 5-6 დეკემბერსაა დაგეგმილი. მოასპარეზე გუნდები ასეა განთესილი: **A ჯგუფი**. ახალი ზელანდია, ინგლისი, საფრანგეთი, ტუნისი; **B ჯგუფი**. სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, აშშ, **საქართველო**. **C ჯგუფი**. ფიჯი, არგენტინა, შოტლანდია, ზიმბაბვე; **D ჯგუფი**. სამოა, კენია, უელსი, პორტუგალია. აქაც ჯერ ჯგუფებში გაირკვევა უძლიერესები, მომდევნო დღეს კი გადამწყვეტი მატჩების ჯერი დადგება.

კახა ალანიას ოცნებაა იმ დროის დაბრუნება, როცა საქართველოს შვიდკაცა ფრანგებს უპირობოდ უგებდა. ღმერთმა ქნას!

**ვაჟა დანელია**

კარატე

# პირველები ხორვატიაში

საქართველოს კიუ კუშინ კაი კარატეს გაერთიანებულმა ნაკრებმა ხორვატიაში A კლასის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა და ოთხ მედალთან ერთად გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა 12 ქვეყნის 16 ნაკრებთან კონკურენციაში.

ჩვენები – 70, 80, 90 და + 90 კილოგრამ წონებში გამოვიდნენ. ოქროს მედალი მოიპოვა **გიორგი მეხრიშვილმა** (90)- ფინალში თანამემამულე **ლევან პარწიკანაშვილი** დაამარცხა. + 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ემზარ ნიქაცაძემ**, ვერცხლის მედალი მოიპოვა. 80 კილოგრამში კი ბრინჯაოს **გიორგი გულისაშვილი** დაეუფლა.

საერთო მაჩვენებლებით ქართველმა კარატისტებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. ტურნირზე საქართველოს კიუ კუშინ კაი კარატეს ერთიანი ნაკრები წარდგა და სამომავლოდ ეროვნული ნაკრებები სწორედ ამ პრინციპით დაკომპლექტდება.

ევროპის საკლუბო თასზე ქართველი კარატისტების მონაწილეობის შესახებ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ფედერაციის პრეზიდენტი **ანზორ ჩუბინიძე**, ნაკრების მწვრთნელი **ირაკლი დოლაბერიძე** და ნაკრების წევრები შეხვდნენ.

**ირაკლი დოლაბერიძე:** *"მიხარია საქართველოს ნაკრების ასეთი წარმატება. განსაკუთრებით ის მახარებს, რომ ხორვატიაში ქართული ფინალი შედგა. ეს ყველაფერი აქტიური მუშაობის და სპორტის დეპარტამენტთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგია. მომავალში უფრო დიდი გამარჯვებების იმედი გვაქვს".*

**გიორგი ჭანიშვილი**

ჭიდაობა

# მეზობლებთან ძალების მოსასინჯად

ქალაქი განჯა (აზერბაიჯანი) 23-26 ნოემბერს ისაკ ჯაფაროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **მარლენ ოსიყმაშვილის** ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ნაკრები შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **გივი დავიდოვი** (55 კგ), **მალხაზ ქურდიანი** (60), **კობა კაკალაძე** (66), **გელა სალირაშვილი, ალექსანდრე პატარქალიშვილი** (ორივე-74), **არჩილ ქიტიაშვილი, ნიკოლოზ გაგნიძე** (ორივე-84), **ბელდუხ გავაშელიშვლი, ზვიად მეტრეველი** (ორივე-96), **გიორგი ნიკურაძე** და **ლაზარე მარსაგიშვილი** (ორივე-მძიმე წონა). ტურნირზე **ვაჟა გოგიაშვილიც** იმსაჯებს.

მართალია, წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებები უკვე მიილია, მაგრამ ჩვენს მოჭიდავეებს უქმობისთვის არ სცხელათ - მონდომებით ემზადებიან მომავალი სეზონისთვის, რომელსაც იანვრის მიწურულს ეროვნული ჩემპიონატი გახსნის. ფალავნები საამისოდ თადარიგს აქედანვე იჭერენ. მეზობლებთან ძალების მოსასინჯად გამგზავრებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

**ვაჟა დანელია**

ტყვიის სროლა

# გაიმარჯვა მაჭარაშვილმა

ოლიმპიური ჩემპიონის - **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში გუშინ დაიწყო **შოთა ქველიაშვილის** თასის გათამაშება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში.

ცეცხლის ხაზზე ჯერ 21 ვაჟი გავიდა. პირველი-მეხუთე ადგილები ასე განაწილდა: **ილია მაჭარაშვილი** - 655,5 ქულა, **ლევან ქადაგიძე** - 650, **ბექა გოგინაშვილი** - 649, **გივი ბურჭულაძე** - 646,2 და **გიორგი ნადირაშვილი** - 645,3 ქულა.

თასის გათამაშება დღეს დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი.

ინტერვიუ რაფაელ ნადალთან

# თითქმის იდეალური წელი მქონდა



**ესპანეთის** ჩოგბურთის ფედერაციის ექიმმა ანხელ რუის კოტორომ განაცხადა, რომ რაფაელ ნადალი 2009 წლის სეზონის სტარტს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდება. როგორც იცით, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა წლის შემაჯამებელი ტურნირი და ახლა ვერც ესპანეთის ნაკრებს ეხმარება დევისის თასის ფინალში.

არგენტინასა და ესპანეთს შორის ფინალი გუშინ დაიწყო, მანამდე კი რაფაელ ნადალმა ინტერვიუ მისცა არგენტინულ ვებგვერდ infobae.com-ს, სადაც მეტოქეთა შანსებზე ისაუბრა და წელს საკუთარი გამოსვლაც შეაფასა.

**- სამწუხაროა, რომ მონაწილეობას ვერ იღებთ დევისის თასის ფინალში. მსოფლიოს პირველ ჩოგანთან შეხვედრა არგენტინის ნაკრებისთვის ნამდვილი გამოწვევა იქნებოდა. როგორ გადაიტანეთ ეს?**

- რა თქმა უნდა, ძალიან მეწყინა, როცა მითხრეს, რომ ფინალში ვერ ვითამაშებდი. მაგრამ ჩემი აზრით, ესპანეთის ნაკრები ისედაც ძლიერია. ჩვენ ბრწყინვალე ჩოგბურთელები გვყავს, რომლებიც შეეცდებიან შეუძლებელი გააკეთონ და არგენტინა მისსავე მოედანზე დაამარცხონ. რა თქმა უნდა, მასპინძლები ფავორიტები არიან. იმის მიუხედავად, ვიქნები თუ არა გუნდში, არგენტინასთან ბრძოლა ყოველთვის რთულია, რადგან მისი სახით საქმე გვაქვს დიდ გუნდთან, რომელიც დიადი ჩოგბურთელებით არის დაკომპლექტებული.

**- 2008 წელი თქვენთვის წარმატებული იყო. თავად როგორ აფასებთ განვლილ სეზონს?**

- მე მგონი, ეს საუკეთესო წელი იყო ჩემს სპორტულ კარიერაში. სამწუხაროა, რომ მუხლის ტრავმამ სეზონის ბოლოს დევისის თასის ფინალში თამაშის საშუალება არ მომცა. ეს რომ არა, წლევანდელი წელი იდეალური იქნებოდა.

**- არგენტინაში 2005 წელს ხართ ნამყოფი, იქამდე, სანამ რეიტინგში თქვენი ალმასვლა დაიწყებოდა. თქვენი აზრით, როგორ დახვედრას მოუწყობენ იქაურები ესპანეთის ნაკრებს?**

- დახვედრა კარგი იქნება. მაგრამ ისიც ვიცი, რომ იქაური მაყურებლები მთელი გულით წარმატებას საკუთარ გუნდს უსურვებენ. არგენტინელები იმის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა უქომაგო შენს საყვარელ გუნდს და ამასთან, მეტოქის მიმართაც შეინარჩუნო პატივისცემა.

**- როგორ შეაფასებთ ამ მატჩში ესპანეთის ნაკრების შანსებს? ხომ არ გგონიათ, რომ სტუმრად თამაშის ფაქტორი გადამწყვეტი იქნება ფინალში?**

- ნებისმიერი გუნდისთვის გასვლაზე თამაში ნიშნავს იმას, რომ ის თავიდანვე უარეს სიტუაციაში იმყოფება. თუმცა ესპანეთისა და არგენტინის შანსებზე ლაპარაკი რთულია. დარწმუნებული ვარ, მატჩი მძიმე, მაგრამ სანახაობრივი იქნება.

**- თავიდანვე ამბობდნენ, რომ ფინალში მთავარი ფავორიტები თქვენ და დავიდ ნალბანდიანი იქნებოდით. რა ურთიერთობა გაქვთ მასთან კორტის მიღმა?**

- მეტოქეები არა ცალკეული ჩოგბურთელები, არამედ ნაკრებები იქნებიან. დევისის თასი უნიკალური ტურნირია, რომელშიც გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს და ამაშია მისი ხიბლი. იმარჯვებს და მარცხდება გუნდი. რაც შეეხება დავიდთან ურთიერთობას, ჩვენ კარგი მეგობრები ვართ და ხშირად ვატარებთ დროს ერთად. თანაც ერთი მენეჯერი გვყავს.

**- ვინ არის არგენტინის ნაკრებში ყველაზე სახიფათო მოთამაშე - ნალბანდიანი თუ დელ პოტრო?**

- ორივე. ყველამ იცის, რა კარგად თამაშობს დავიდი დარბაზებში. დელ პოტროც ბრწყინვალე ფორმაშია და ცოტა ხნის წინ მასტერსის თასზე მიიღო მონაწილეობა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- ვიცით, რომ არგენტინელი გულშემატკივრები ძალიან ემოციური ხალხია. რა უნდა მოიმოქმედონ ჩოგბურთელებმა, რომ კორტზე სიმშვიდე და კონცენტრაცია შეინარჩუნონ?**

- სიმართლე გითხრათ, პირადად ჩემზე ტრიბუნების ხმაური არ მოქმედებს. ამ შემთხვევაში მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრებდი და ჩემი მოგება ან წაგება ტრიბუნებზე არ იქნებოდა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ასეთი პუბლიკა ბევრი მოთამაშისთვის შეიძლება რთულ გამოცდად იქცეს, მაგრამ არა ჩემთვის.

**- საერთოდ, ასეთი რანგის მატჩებში პუბლიკის როლი მნიშვნელოვანია?**

- ვფიქრობ, მნიშვნელოვანია. მაგრამ არა მეტოქისთვის, არამედ საკუთარი მოთამაშისთვის, რადგან თამაშის გადამწყვეტ მომენტებში მაყურებლის მხარდაჭერამ შეიძლება დადებითად იმოქმედოს მის განწყობაზე. გარდა ამისა, არგენტინელი გულშემატკივრები კარგად ერკვევიან ჩოგბურთში.

**- როლან გაროსის, უიმბლდონისა და ოლიმპიადის მოგების შემდეგ, კიდევ რისი მიღწევა გსურთ პროფესიულ კარიერაში?**

- ყოველთვის არსებობს მიზნები, რომლისკენაც ისწრაფვი. მნიშვნელოვანია დაისახო ეს ამოცანები და ამავდროულად, რეალისტი იყო. ჩემი სურვილია, გავიმეორე წარმატებები იმ ტურნირებზე, რომლებზეც გამარჯვებას მივაღწიე და აგრეთვე თამაშის ხარისხიც გავაუმჯობესო.

**- არსებობს თუ არა ისეთი დღეები, როცა ამბობთ: „დასანახად ვერ ვიტან ამ ჩოგანს"?**

- სიმართლე გითხრათ, ასეთი რამ იშვიათად ხდება. უფრო ხშირად შინ ყოფნა მინდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმეები არც ისე კარგად მიდის. სახლში ვახერხებ ფიზიკურად და მორალურად მომძლავრებას და ტურნირებისთვის მომზადებას.

**- ყველა ამბობს, რომ რაფაელ ნადალი თიხნარზე დაუმარცხებელია. ამ საფარზე თამაშისას განსაკუთრებულ ძალასა და დამაჯერებლობას გრძნობთ?**

- არც ერთ საფარზე არ არსებობენ დაუმარცხებელი ჩოგბურთელები. არც მე ვარ გამონაკლისი. უბრალოდ, ხანდახან დამთხვევებსა და წარმატებულ სერიებთან გვაქვს საქმე.

**- ხომ არ არსებობს იმის საშიშროება, რომ მუხლის ტრავმამ შეიძლება აღარ მოგცეთ ძველებურად თამაშის საშუალება?**

- ვცდილობ ამაზე არ ვიფიქრო და ბოლომდე ოპტიმისტად დავრჩე. ტრავმები ადრეც მქონია, მათ შორის მუხლის დაზიანებაც. მაგრამ სჯობს ამას ყურადღება არ მიაქციო. უნდა გჯეროდეს შენი საქმისა და წარმატების.

კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი–დეტროიტი 98:80**

21:21, 28:19, 28:17, 21:23

ბ: რონდო (18+8 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (15+3 ჩაჭრა), ტ. ალენი (13+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), რ. ალენი (12), ჰაუსი (11), პერკინსი (2+10 მოხსნა).

დ: აივერსონი (16), რ. უოლასი (13+6 მოხსნა), ჰემილტონი (12), მაქსიელი (10+6 მოხსნა).

**ფინიქსი–ლეიკერსი 92:105**

24:26, 20:24, 23:30, 25:25

ფ: ა. სტაუდმაიერი (21+8 მოხსნა), შ. ო'ნილი (15+9 მოხსნა), ბარნსი (12+7 მოხსნა), ჰილი (11), დიაო (10), ნეში (8 + 10 პასი).

ლ: ბრაიანტი (24), რადმანოვიჩი (15), ოდომი (13+9 მოხსნა), ფარმარი (11), არიზა (10), ბინუმი (10+7 მოხსნა), პ. გასოლი (4+9 მოხსნა+9 პასი).

# ანა და ფერნანდო ერთად არიან



**როგორც** უკვე ვწერდით, სერბი ჩოგბურთელი **ანა ივანოვიჩი** დევისის თასის ფინალზე დასასწრებად არგენტინაში ჩავიდა. ცნობილია, რომ ანა მარდელ-პლატაში თავისი ახალი ბოიფრენდის, **ფერნანდო ვერდასკოს** გასამხნევებლად გაემგზავრა. გუშინ ამ წყვილის რომანი ესპანურმა პრესამ ოფიციალურად დაადასტურა.

ივანოვიჩისა და ვერდასკოს კავშირის შესახებ ეჭვი ნოემბრის დასაწყისში გაჩნდა, როცა ესპანელი ჩოგბურთელი დოჰაში იმ სასტუმროში დაბინავდა, სადაც ქალთა შემაჯამებელი ტურნირის მონაწილეები ცხოვრობდნენ, ივანოვიჩის მატჩების დროს კი ანას დედასთან ერთად იჯდა საპატიო ლოჟაში. სწორედ ამის შემდეგ დაიწყეს ესპანელმა ჟურნალისტებმა ამ წყვილის „დევნა".

ანამ წარუმატებლად ითამაშა დოჰაში, ვირუსის გამო ნაადრევად მოიხსნა ტურნირიდან და განაცხადა, რომ სერბეთში ბრუნდებოდა ნათესავების მოსანახულებლად. მაგრამ სინამდვილეში, წყვილი მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალის" მატჩის დროს დააფიქსირეს.

ჩოგბურთელებმა უკვე დაადასტურეს, რომ მათი რომანი ამერიკის ღია პირველობის დროს დაიწყო. *„ყველაფერი ნიუ იორკში მოხდა და მას შემდეგ კარგად გავიცანით ერთმანეთი. ფერნანდო შესანიშნავი ადამიანია და მასთან თავს ბედნიერად ვგრძნობ. მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან გოგონებს 'აკუთარი საიდუმლოებები უნდა ჰქონდეთ"*, - ამბობს ივანოვიჩი.

# გოლოვინი ჩოგბურთიდან მიდის?

**20 წლის ტატიანა გოლოვინმა** ქრონიკული ტრავმების გამო, შესაძლოა, სპორტული კარიერა დაასრულოს. 2008 წელს ფრანგმა ჩოგბურთელმა ჯამში მხოლოდ 8 მატჩის გამართვა შეძლო და რეიტინგში მე-12 ადგილიდან 251-ე პოზიციამდე ჩამოქვეითდა.

გოლოვინს დიდი ხანია ხერხემალი აწუხებს. გაუთავებელი ტკივილების გამო, ტატიანამ მომავალი სეზონისთვის მზადება გაურკვეველი ვადით გადადო. ოქტომბერში გოლოვინმა **ამელი მორესმოს** ყოფილ მწვრთნელთან **ლოიკ კურტოსთან** თანამშრომლობის შესახებ გამოაცხადა, მაგრამ ტატიანას ავადმყოფობამ ამ კავშირს ხაზი გადაუსვა. საბოლოოდ, კურტომ **პოლ-ანრი მატიოს** გაწვრთნა აირჩია.

თავად ჩოგბურთელი კომენტარებისგან თავს იკავებს, მისმა პრესატაშემ კი განაცხადა, რომ გოლოვინი საბრძოლო განწყობას არ კარგავს.

გასული წლის მარტში ფრანგმა ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ ხერხემალზე ტკივილმა არ გაუარა. ექიმები ეჭვობენ, რომ ტატიანას ქრონიკული სპონდილიტი აქვს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხერხემალს აზიანებს.

*„მაღალი დონის პროფესიონალ ჩოგბურთელს, რომელსაც მსგავსი ავადმყოფობა აწუხებს, არასტაბილური კარიერა აქვს - ყოველ წარმატებას მაშინვე ჩავარდნა მოჰყვება ხოლმე"*, - ამბობს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ექიმი **ტიერი ერმელი**.

გოლოვინმა კარიერის განმავლობაში ორი ტურნირის მოგება მოასწრო, ხუთჯერ კი ფინალში ითამაშა. 2004 წელს **რიშარ გასკესთან** წყვილში როლან გაროსის მიქსტი მოიგო.

ამბები

ჰოკეი

### ჩიკაგო ნიულანდერს ყიდულობს

„ჩიკაგო ბლეკჰოქსის" ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად მოაგვარა „ვაშინგტონ კეპიტალზის" შვედი ფორვარდის **მიკაელ ნიულანდერის** ტრანსფერის საკითხი.

36 წლის ჰოკეისტის დასამატებლად „ჩიკაგომ" სახელფასო ბიუჯეტში გარკვეული თანხა უნდა გამოათავისუფლოს. ამის გამო, კლუბი რუსი მეკარის **ნიკოლაი ხაბიბულინის** სხვა გუნდში გაშვებას გეგმავს. მაგრამ თუ ხაბიბულინის გაცვლა არ შედგა, მაშინ ნიულანდერის გადასაბირებლად გაცვლაში შეიძლება ჩართონ ფორვარდი **მარტინ ჰავლატი**, მცველები **ბრენტ სოპელი** და **დასტინ ბიფიგლენი**.

### ფორსბერგის მორიგი ოპერაცია

ცნობილმა შვედმა ჩოგბურთელმა **პეტერ ფორსბერგმა** ტრავმირებულ მარჯვენა ფეხზე მორიგი ოპერაცია გაიკეთა. *„ტრავმის პრობლემა ისევ არ არის მოგვარებული და ამ ეტაპზე მომავალზე ლაპარაკი არ ღირს„*, - განაცხადა ფორსბერგის აგენტმა **დონ ბეიზლიმ**.

ასე რომ, კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიდო შვედი ვეტერანის ყინულზე დაბრუნება. შეგახსენებთ, რამდენიმე კვირის წინ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფორსბერგით NHL-ის რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული.

ველოსპორტი

### ტურმა როტერდამი აირჩია

2010 წლის ტურ დე ფრანსი ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში აიღებს სტარტს. ამის შესახებ ფრანგული სუპერველომარათონის ორგანიზატორებმა გუშინ გამოაცხადეს.

ფრანგებმა არჩევანი ორ ჰოლანდიურ ქალაქს შორის გააკეთეს. როტერდამის გარდა, მსგავსი სურვილი უტრეხტის მთავრობას ჰქონდა. უკანასკნელად ტურ დე ფრანსმა ჰოლანდიაში სტარტი 1996 წელს აიღო. მაშინ პირველი ეტაპი ჰერტოგენბოშში ჩატარდა.

*„ასეთი არჩევანი ორ მიზეზს უკავშირდება. პირველი ის არის, რომ როტერდამი დიდი ქალაქია და ჩვენ იქ ველოსიპედს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას, გავუწევთ პოპულარიზაციას. გარდა ამისა, ამ ქალაქის მდებარეობა კარგად ჯდება 2010 წლის რბოლის მარშრუტში"*, - წერია ტურ დე ფრანსის ორგანიზატორთა ოფიციალურ განცხადებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ბოუ ბრუნდება



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი **რიდიკ ბოუ** დიდ სპორტში დაბრუნებას აპირებს. 41 წლის ამერიკელი მოკრივე სამწლიანი პაუზის შემდეგ 2008 წლის 13 დეკემბერს გერმანიაში გამართავს მორიგ ბრძოლას. ბოუს მეტოქე ჯერ არ დასახელებულა.

ბოუს ბრძოლა იმ საკრივო შოუს რანგში გაიმართება, რომლის მთავარი მოვლენა IBF-სა და WBO-ის ჩემპიონის, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკოსა** და ამერიკელი **ჰასიმ რაჰმანის** შეხვედრა იქნება.

რიდიკ ბოუ, რომელსაც კარიერაში მხოლოდ ერთი ბრძოლა აქვს წაგებული, თანამედროვეობის ერთ-ერთ სკანდალურ მოკრივედ ითვლება. 1992 წელს მან თვით **ევანდერ ჰოლიფილდი** დაამარცხა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. ამის შემდეგ ბოუს ბრიტანელ **ლენოქს ლუისთან** უნდა ეჩხუბა, რომელთანაც 1988 წელს სეულის ოლიმპიადის ფინალი წააგო. მაგრამ ამერიკელმა ლენოქსთან ბრძოლაზე უარი განაცხადა, რის გამოც WBC მას საჩემპიონო ტიტულის ჩამორთმევით დაემუქრა. ბოუმ საპასუხოდ პრესკონფერენცია გამართა და ყველას თანდასწრებით WBC-ის საჩემპიონო ქამარი სანაგვე ყუთში ჩააგდო.

ბოუმ პროფესიულ რინგზე ერთადერთი მარცხი 1993 წელს, იმავე ჰოლიფილდთან ბრძოლაში იწვნია. 1995 წელს კვლავ შეხვდა ევანდერს და მეორედ დაამარცხა კრივის ლეგენდა.

2003 წელს ბოუ ციხეში მოხვდა. მას წელიწად-ნახევარი მიუსაჯეს თავისი პირველი ცოლისა და ბავშვების გატაცების გამო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ამერიკელი რინგზე დაბრუნდა, ორი წარმატებული ბრძოლა ჩაატარა და ისევ წავიდა სპორტიდან.

კალათბურთი

# ლებრონი მომავალზე არ ფიქრობს

„კლივლენდ კავალიერზის“ ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** ჯერჯერობით არ ფიქრობს იმაზე, თუ სად გააგრძელებს კარიერას ამჟამინდელი კონტრაქტის დასრულების შემდეგ. „კლივლენდისა“ და ლებრონის მიმდინარე ხელშეკრულებას 2010 წლის ზაფხულში ეწურება ვადა და როგორც ამერიკული პრესა წერს, 23 წლის ფორვარდს მსურველთა დიდი რიგი უდგას. ამათგან ყველაზე აქტიურები „ნიუ იორკ ნიქსი“ და „ნიუ ჯერსი ნეტსი“ არიან.

*„ამ მომენტისთვის ჩემს მომავალ კარიერაზე არ ვფიქრობ. მთლიანად თამაშზე ვარ კონცენტრირებული. მინდა „კლივლენდისთვის“ რაც შეიძლება მეტი გავაკეთო“*, - განაცხადა NBA-ის ვარსკვლავმა cleveland.com-თვის მიცემულ ინტერვიუში. - *როცა შესაბამისი მომენტი დადგება, ახალი კლუბის ძიებისას ძირითადად შემდეგი პრინციპით ვიხელმძღვანელებ - ახალ გუნდში ჩემპიონის ტიტულის რამდენჯერმე მოგების საშუალება უნდა მქონდეს. თუ ამ შანსს „კლივლენდი“ მომცემს, არსად გადავალ და აქ დავრჩები“.*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 3:1**
0:0, 1:0, 2:1
**გოლები:** 1:0 ელიაში-8 (ჯონტა-9, ზუბრუსი-7), 2:0 მარტინი-1 (კლარკსონი-2, მადენი-5), 3:0 ჯონტა-4 (ელიაში-7, ზუბრუსი-8), 3:1 ფროლიკი-1 (ბოუმისტერი-7, მაკეიბი-4).

**ატლანტა-პიტსბურგი 2:3**
1:1, 1:1, 0:1
**გოლები:** 1:0 ვიაჩ. კოზლოვი-11 (კოვალჩუკი-11, შნაიდერი-4), 1:1 შატანი-9 (დუპუი-1, კროსბი-7), 1:2 კროსბი-7 (ტ. კენედი-7), 2:2 სლეიტერი-2 (პერენი-4, ენსტრიომი-6), 2:3 სიკორა-4 (კროსბი-18, მალკინი-24).

**ოტავა-მონრეალი 2:3 (ბ)**
1:1, 0:0, 1:1, 0:0
**გოლები:** 1:0 პიტლი-11 (ალფრედსონი-14, პიკარი-4), 1:1 ს. კოივუ-7 (კოვალიოვი-9, ს. კოსტიცინი-5), 2:1 ფოლინო-3 (პიკარი-5, ფილიპსი-2), 2:2 მარკოვი-2 (ლანგი-6, ს. კოსტიცინი-6).
**ბულიტები გაიტანეს:** სპეცა (ოტავა), მარკოვი (მონრეალი), ტანგეი (მონრეალი).

**მინესოტა-ვანკუვერი 2:3**
0:0, 2:2, 0:1
**გოლები:** 1:0 მ. კოივუ-4 (მიეტინენი-7, ვეილო-2), 1:1 ბერნიე-5 (უ. მიტჩელი-7, უელვუდი-2), 2:1 მ. კოივუ-5 (კ. იონსონი-6), 2:2 დემიტრა-5 (ედლერი-5, ჰ. სედინი-14), 2:3 დ. სედინი-8 (დემიტრა-5, ჰ. სედინი-15).

**დალასი-ჩიკაგო 3:6**
1:1, 2:3, 0:2
**გოლები:** 1:0 მოროუ-5 (პერიში-1, მოდანო-7), 1:1 კეინი-9 (იგერი-1, მ. უოკერი-1), 1:2 იგერი-2 (ბოლანდი-8), 2:2 მოდანო-6 (ბ. რიჩარდსი-9, ზუბოვი-4), 2:3 ბ. კემპბელი-4 (ვერსტეეგი-11, ბროუერი-5), 3:3 ნილი-3 (მ. ეივერი-7, ბ. რიჩარდსი-10), 3:4 ვერსტეეგი-7 (ბ. კემპბელი-10, ხაბიბულინი-2), 3:5 ჰავლატი-6 (ბროუერი-6, შარპი-8), 3:6 კეინი-10 (ტეუვზი-12, ვერსტეეგი-12).

**კოლორადო-კალგარი 0:1**
0:0, 0:1, 0:0
**გოლი:** 0:1 ლენგკოუ-5 (ჯორდანო-8, იგინლა-12).

**ედმონტონი-დეტროიტი 3:4**
0:3, 1:1, 2:0
**გოლები:** 0:1 ჰუდლერი-5 (ლილია-3, ლებდა-2), 0:2 დაციუკი-6 (რაფალსკი-11, ლიდსტრიომი-11), 0:3 კოპეცკი-1 (ლიდსტრიომი-12, რაფალსკი-12), 1:3 კოლიანო-5 (ნილსონი-4, გილბერტი-9), 1:4 ჰუდლერი-6 (მიჩი-2, ზეტერბერგი-8), 2:4 ვიშნოვსკი-4 (გრებეშკოვი-7, ე. კოული-4), 3:4 სურეი-7 (ვიშნოვსკი-8, ჰემსკი-16).

**ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი 5:2**
1:0, 1:1, 3:1
**გოლები:** 1:0 დოუტი-3 (დ. ბრაუნი-6, გოტიე-2), 1:1 ბექსტრიომი-4 (ვიქ. კოზლოვი-6, ოვეჩკინი-15), 2:1 ო'სალივანი-4 (მ. გრინი-2), 3:1 დ. ბრაუნი-7 (ქუინსი-7, სტოლი-3), 3:2 ლეიჩი-5 (ნიულანდერი-10), 4:2 ჰანძუში-5 (ო'დონელი-5), 5:2 კოპიტარი-3 (ჰანძუში-5).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| სუონსი-ბირმინგემი | 2:3 |
| **II ლიგა** | |
| გრიმსბი-ბორნმუთი | 3:3 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| პიაჩენცა-აველინო | 1:2 |
| **გერმანია** | |
| კარლსრუე-დორტმუნდი | 0:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალენი-ინგოლშტადტი | 3:0 |
| ალემანია-ოსნაბრიუკი | 3:1 |
| დუისბურგი-ფრანქფურტი | 0:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-ბრაუნშვაიგი | 2:1 |
| რეგენსბურგი-უნიონი | 0:2 |
| ერფუტი-შტუტგარტი A | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ბაბელსბერგი-ჰერტა II | 3:1 |
| ჰანოვერი II-პლაუენი | 3:2 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| აინტრახტი A-კარლსრუე II | 2:0 |
| როიტლინგენი-უნტერჰახინგი II | 2:1 |
| მიუნხენი II-ვიქტორია | გადაიდო |
| **ჰოლანდია** | |
| ვოლენდამი-როდა | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ტელსტარი | 2:3 |
| ექსელსიორი-დორდრეჰტი | 1:1 |
| ომნივორლდი-ცვოლე | 3:3 |
| ფორტუნა-აპელდორნი | 2:4 |
| ჰაარლემი-მაასტრიხტი | 0:3 |
| ჰელმონდი-ვენლო | 3:2 |
| ვაალვიკი-ეინდჰოვენი A | 2:2 |
| ტოპ ოსი-როსენდალი | 0:3 |
| ვეენდამი-ემენი | 1:1 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნამური-ლიეჟი | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| რიუ ავე-ლეიქსოეში | 1:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუსტენაუ-ავსტრია (ლ) | 1:0 |
| გრატკორნი-ავსტრია A | 2:0 |
| ლეობენი-ზალცბურგი A | 1:0 |
| ფოკლაბრუკი-გრიოდიგი | 0:2 |
| ვინერი-სტ. პოლტენი | 3:1 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-რილი | 1:3 |
| პრესტატინი-ქონეჰსი | 1:1 |
| უელშპული-ქერსოუსი | 1:0 |
| **უკრაინა** | |
| მეტალისტი-ზორია | 2:1 |
| მეტალურგი (ზ)-კრივბასი | 0:0 |
| შახტარი-ლვოვი | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| პოლონია (ბ)-ლსკ | 2:3 |
| რუხი-ლეგია | 0:1 |
| **რუმინეთი** | |
| პანდური-კლუჟი | 2:1 |
| უნივერსიტატეა-სტიაუა | 0:0 |
| **ბულგარეთი** | |
| სპარტაკი-ლოკომოტივი (ს) | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ჰავრი-სტრასბური | 73:83 |
| ვილერბანი-რუანი | 94:69 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-სიბირი | 3:2 |
| ს. იულიაევი-დინამო (მ) | 6:6 |
| ლადა-ნეფტიხიმიკი | 0:2 |
| აკ ბარსი-ბარისი | 7:0 |
| ატლანტი-მეტალურგი (ნ) | 2:1 |
| ტორპედო-მვდ | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| ვილახი-ვენა | 1:1 |
| ინსბრუკი-გრაცი | 4:1 |
| ლინცი-ალგა | 3:3 |
| ოლიმპია-აკრონი | 4:3 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-კრეფელდი | 5:1 |
| ჰამბურგი-აუგსბურგი | 4:0 |
| ინგოლშტადტი-ჰანოვერი | 3:2 |
| იზერლონი-შრაუბინგი | 5:5 |
| კასელი-ფრანქფურტი | 2:1 |
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 2:2 |
| **დანია** | |
| ნორდსილანდი-ოდენსე | 3:4 |
| ოლბორგი-ფრედრიკსჰავნი | 4:1 |
| სენდერიისკი-ჰერლევი | 3:1 |
| ესბერგი-ტოტემპო | 4:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ჟილინა | 4:2 |
| კეჟმაროკი-ზვოლენი | 4:1 |
| კოშიცე-მიკულაში | 3:5 |
| მარტინი-პოპრადი | 5:1 |
| სლოვანი-სკალიცა | 6:1 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ლუკო | 3:1 |
| პელიკანსი-კერპეტი | 1:7 |
| ტაპარა-ილვესი | 0:1 |
| ესეტი-ჰიფკ | 2:3 |
| იუვიასკიულა-კალპა | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ზლინი-პარდუბიცე | 1:5 |
| ტრშინეცი-სლავია | 2:2 |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | 1:2 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 2:4 |
| პლზენი-ზნოიმო | 3:3 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-ამბრი | 6:2 |
| კლოტენი-ლანგნაუ | 7:0 |
| რაპერსვილი-ბილი | 6:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **დევისის თასი** | |
| ნალბანდიანი-ფერერი | 6:3, 6:2, 6:3 |
| დელ პოტრო-ლოპესი | 6:4, 6:7, 6:7, 3:6 |

TV სპორტი

### 22 ნოემბერი. შაბათი

**იმედი**
11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
14:00 იმედის ფსონი.
01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია (LIVE).

**I არხი**
14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-ოლიმპი (LIVE).
16:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-თბილავიამშენი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**
07:35 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი.
09:20 საფეხბურთო კლუბი.
10:10 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
11:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
12:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:00 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-დორტმუნდი.
14:45 რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-ტერეკი (LIVE).
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 საფეხბურთო კლუბი.
18:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი (LIVE).
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ (LIVE).
23:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ფულჰემი.
03:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ნიუკასლი.
05:40 გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შტუტგარტი.

**SPORT 1 (უკრაინა)**
08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.
09:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:00 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი. კვალიფიკაცია. მალაიზია (LIVE).
11:55 სპორტკლუბი.
12:55 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
13:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-დორტმუნდი.
15:10 სპორტის სამყარო. ტელეჟურნალი.
15:40 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ბაფალო.
17:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
18:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
18:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-შტუტგარტი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო - სერია A-ს მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ იუნ (LIVE).
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი (LIVE).
01:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია (LIVE).
03:20 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. მიმოხილვა.
04:15 სპორტის სამყარო. ტელეჟურნალი.
04:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-დორტმუნდი.
06:25 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. II ეტაპი. კვალიფიკაცია. მალაიზია.

**EUROSPORT**
11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. თავისუფალი სტილი. ქალები. გალივარე. შვედეთი (LIVE).
15:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
16:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 15 კმ. თავისუფალი სტილი. კაცები. გალივარე. შვედეთი (LIVE).
17:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
18:00 სნუკერი. მსოფლიოს სერია. მოსკოვი. რუსეთი.
23:00 პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. სუპერმძიმე წონა. ნ. ვალუევი (რუსეთი)-დ. რუისი (აშშ). ბერლინი. გერმანია.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ინგლისი. ჩილე.
03:00 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**
10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
14:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
14:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXXII ტური (LIVE).
17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ნორვეგია. ჩილე.
18:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვისლა პლოცკი (პოლონეთი)-რაინი (გერმანია).
19:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. VII ტური (LIVE).
21:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
22:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ზაგრები (ხორვატია)-ვეგედი (უნგრეთი).
23:30 ახალი ამბები.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი-საფრანგეთი. ჩილე.
02:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXXII ტური.
22:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ზაგრები (ხორვატია)-ვეგედი (უნგრეთი).
03:00 ახალი ამბები.

### 23 ნოემბერი. კვირა

**იმედი**
11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.

**I არხი**
14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სიონი-მგლები (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**
07:30 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
09:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი.
11:10 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ფულჰემი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
15:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-აიაქსი (LIVE).
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბლექბერნი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-ვესტ ჰემი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბილბაო (LIVE).
01:55 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ტიგრე (LIVE).
03:55 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
05:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბლექბერნი.

**SPORT 1 (უკრაინა)**
08:20 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. მიმოხილვა.
09:15 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
09:45 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი. მალაიზია (LIVE).
12:15 ფეხბურთელთა ცხოვრება.
12:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
14:25 ნიჩბოსნობა.
14:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.
16:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო - სერია A-ს მიმოხილვა.
17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ჯენოა (LIVE).
19:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-სან პაულუ (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბილბაო.
03:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
04:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
05:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.
07:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**
11:30 მულტისპორტი.
12:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ჩილე-ახალი ზელანდია. ჩილე.
13:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 10 კმ. თავისუფალი სტილი. ქალები. გალივარე. შვედეთი (LIVE).
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x5 კმ. თავისუფალი სტილი. ქალები. გალივარე. შვედეთი (LIVE).
15:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 15 კმ. თავისუფალი სტილი. კაცები. გალივარე. შვედეთი.
16:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x10 კმ. თავისუფალი სტილი. კაცები. გალივარე. შვედეთი (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს სერია. მოსკოვი. რუსეთი.
20:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x5 კმ. თავისუფალი სტილი. ქალები. გალივარე. შვედეთი.
20:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. 4x10 კმ. თავისუფალი სტილი. კაცები. გალივარე. შვედეთი.
21:30 სნუკერი. მსოფლიოს სერია. მოსკოვი. რუსეთი.
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ბრაზილია. ჩილე.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-იაპონია. ჩილე (LIVE).
03:00 სნუკერი. მსოფლიოს სერია. მოსკოვი. რუსეთი.

**EUROSPORT-2**
10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ზაგრები (ხორვატია)-ვეგედი (უნგრეთი).
14:00 ავტოსპორტი. ფორმულა სუპერლიგა. ხერესი. ესპანეთი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-არგენტინა. ჩილე.
17:00 ავტოსპორტი. ფორმულა სუპერლიგა. ხერესი. ესპანეთი.
18:00 ფარიკაობა. მასტერსი. საფრანგეთი.
20:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. VII ტური.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. მექსიკა-ბრაზილია. ჩილე.
00:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჰამბურგი (გერმანია)-ბელგრადი (სერბეთი).
00:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კილი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
01:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჟურნალი.
02:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული სეზონი. პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი.
03:00 ახალი ამბები.

რაგბი

# უილკინსონს ნაკრები აღარ უნდა?



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრების ლიდერმა **ჯონი უილკინსონმა** აღიარა, რომ შესაძლოა, სანაკრებო კარიერა დაასრულოს. გარდა ამისა, "უილკომ" ჟურნალისტებს **დენი სიპრიანიზე** საკუთარი მოსაზრებები გააცნო. დღეს სწორედ ეს ახალგაზრდა მორაგბე ცვლის უილკინსონს ინგლისის ნაკრებში. შეგახსენებთ, რომ მუხლის ტრავმის გამო ჯონი ექვსი ერის თასის გათამაშებას გამოტოვებს და მხოლოდ გაზაფხულზე შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

*"მთავარია, მინდორზე დაბრუნების შემდეგ, ძველებურად კარგად ვითამაშო - არ აქვს მნიშვნელობა ეს ინგლისის ნაკრებში მოხდება თუ კლუბში. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ყველაფერს სწორად გავაკეთებ, ჩემი სპორტში დაბრუნება წარმატებული იქნება.*

*მე რომ ახლა ინგლისის ნაკრებში თამაში მოვინდომო, ამის გაკეთება ისევე მომიწევს, როგორც ადრე – ტრავმებით უნდა გავიდე მოედანზე. და სიამოვნებას ვერ მივიღებ. შეიძლება რამდენიმე შეხვედრას გავუძლო, მაგრამ თვის ბოლოს თვალცრემლიანმა საწოლში უნდა გავატარო რამდენიმე კვირა. ვარჯიში, უძილობა, მორიგი ტრავმა და კარიერის დასრულება – ასეთი იქნება ჩემი პერსპექტივა. ამის შემდეგ კი იმაზე მომიწევს ფიქრი, რა ვაკეთო მომავალში.*

*მეორე მხრივ, შემიძლია ფანტასტიკური დრო გავატარო – მნიშვნელობა არ აქვს, რომელ გუნდში. დავეხმარო მას პროგრესში, დავიხარჯო ბოლომდე... ადრე ჩემს ცხოვრებაზე მოპოვებული ტიტულებით ვმსჯელობდი. მინდოდა ინგლისის ღირსების დაცვა და მსოფლიოს თასის მოგება. ეს გავაკეთე, მაგრამ ბედნიერი მაინც ვერ გავხდი. ამაშია პრობლემა.*

*დენი სიპრიანი – ფეთქებადი ხასიათის ბიჭია, რომელიც სცენაზე უდიდესი ნიჭით შემოიჭრა. და ამ ნიჭს გაქანება უნდა მიეცეს. კლუბში მან ბევრი მატჩის ჩატარება მოასწრო და კარგადაც გააკეთა ეს. ახლა კი სანაკრებო დონეზე თავის გამოჩენის დროა.*

*მასთან ერთად თამაშის საშუალება მქონდა – დენი სხვა ბიჭებში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. მან იცის, რაც უნდა და ეს კარგი ნიშანია მორაგბისთვის, რომელიც ისეთ პოზიციაზე თამაშობს, სადაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო. დენი ახლა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას სწავლობს. ის აუცილებლად უკეთესად ითამაშებს"*, - განაცხადა უილკინსონმა BBC-ის ეთერში.



# ქეთრინი უელსის ჰიმნს აღარ იმღერებს

უელსის რაგბის კავშირმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წყვეტს კონტრაქტს მომღერალ **ქეთრინ ჯენკინსთან**, რომელიც ეროვნული ნაკრების ყოველი მატჩის წინ უელსის ჰიმნს ასრულებდა.

ხელშეკრულების გაუქმების მიზეზი მომღერალის აღიარება გახდა. ჯენკინსმა ნარკოტიკულ ნივთიერებებთან საკუთარი ექსპერიმენტების შესახებ გაუმხილა ჟურნალისტებს.

როგორც ბრიტანული პრესა წერს, გოგონამ მძიმედ გადაიტანა კონტრაქტის გაუქმება.



# IRB-იმ წლის ფოტო გამოავლინა

რაგბის საერთაშორისო კავშირმა (IRB) წლის საუკეთესო ფოტოს კონკურსის გამარჯვებული გამოავლინა.

კონკურსის სახელწოდება იყო "რაგბის სული" და იქ განსახილველად დაახლოებით 200 სურათი იყო გამოტანილი.

მთავარი პრიზი ერგო ფოტოს სახელად – "გლადიოტორი". ეს გახლავთ ამა წლის მაისში გადაღებული ფოტო: პრემიერლიგის ფინალი "ლონდონ უოსპსა" და "ლესტერ ტაიგერსს" შორის. სურათზე აღბეჭდილია ლონდონელთა მოთამაშე **რაფაელ იბანიესი**, რომელიც პირველ ლელოს ზეიმობს.

*"თავიდან დარწმუნებული არ ვიყავი, რომ კარგი ფოტო გამომივიდოდა, რადგან მორაგბეები ერთმანეთზე ეყარნენ. მაგრამ უცებ, იბანიესი საიდანღაც გამოძვრა და რომის გლადიატორივით აღნიშნა წარმატება. ამ სურათმა სრულად გადმოსცა მატჩის ემოცია"*, - ამბობს ფოტოს ავტორი **მეტიუ იმპი.**

პრიზის სახით იმპის შვიდკაცა რაგბის საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის საგზური ერგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ფორმულა !

# როსიმ ფერარი გამოსცადა

მოტოგრანპრის კლასში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა **ვალენტინო როსიმ** "ფერარის" სატესტო სერიაში მიიღო მონაწილეობა. ლეგენდარული იტალიელი ადრეც მჯდარა სკუდერიას ბოლიდის საჭესთან (2005, 2006), მაგრამ მაშინ სერიოზულად განიხილებოდა როსის "ფერარიში" ჩარიცხვის საკითხი. ამჯერად კი მუჯელოში გამართულ ტესტებს საზეიმო ხასიათი ჰქონდა – "ფერარი" კონსტრუქტორთა თასზე გამარჯვებას ზეიმობდა, როსი - მოტოგრანპრიში მორიგ ჩემპიონობას.

ვალენტინო იმ ბოლიდს მართავდა, რომლითაც ფინელი **კიმი რაიკონენი** ჩინეთისა და ბრაზილიის გრანპრიზე გამოდიოდა. ბოლიდს "ერთიანის" ნაცვლად ნომერი 46 დააწერეს, რომლითაც როსი მოტოსპორტში გამოდის. ტესტები დაახლოებით ხუთი საათი გაგრძელდა. იტალიელმა 320 კილომეტრი გაიარა და საუკეთესო წრეზე არც ისე ცუდი დრო აჩვენა – 1.22,55.

*"ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შესაძლებლობა მომეცა და ამისთვის უდიდეს მადლობას ვუხდი პრეზიდენტ ლუკა დე მონტეძემოლოსა და სტეფანო დომენიკალის. მუჯელოს ტრასაზე "ფერარის" მართვა და აქაურ პროფესიონალებთან მუშაობა ნამდვილი ზეიმი იყო ჩემთვის. ყოველ წრეზე ვცდილობდით წინა შედეგის გაუმჯობესებას. უნდა ვაღიარო, რომ მონდომებული მუშაობის პირობებში, ფორმულა 1-ში ყველაფერი გამომივიდოდა. ძნელი სათქმელია, გავხდებოდი თუ არა ჩემპიონი, მაგრამ გარკვეული პოტენციალი ნამდვილად გამაჩნია"*, - განაცხადა კმაყოფილმა როსიმ, რომელსაც მუჯელოს ტრასაზე მოტორბოლაში შვიდი ეტაპი აქვს მოგებული..

*"სასიამოვნოა დაძაბული და წარმატებული სეზონის შემდეგ ასეთ კომპანიაში ყოფნა. ერთი მხრივ, ეს ტესტები გასართობ ხასიათს ატარებს, მაგრამ ამავდროულად გუნდი შედეგზე მუშაობს და თქვენ ხედავთ, რამდენად კარგად შეასრულა ეს სამუშაო როსიმ. მისგან ფორმულა 1-ის კარგი პილოტი დადგებოდა, მაგრამ ვალენტინომ სხვა გზა აირჩია. როსი ჩვენი ოჯახის წევრია და ამიტომაც ჩავახედეთ ის შიდა სამზარეულოში. ბედნიერებაა, რომ ერთად ვართ იტალიის ორი სიმბოლო – "ფერარი" და ვალენტინო როსი"*, - ეს "ფერარის" სპორტული დირექტორის **სტეფანო დომენიკალის** სიტყვებია.